ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 28 (2401) ოთხშაბათი, 5 თებერვალი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი. თბილისის გარეთ 45 თეთრი.


## ჟაკ შირაკი: ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულო იყო, რომ შევხვდი არა მარტო დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტს, არამედ ჩემს ძველსა და ნაცად მეგობარს



ელისეს სასახლეში შეხვედრის დროს.
სერგო ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საფრანგეთში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ელისეს სასახლეში ეწვია საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ჟაკ შირაკს, რომელიც სასახლის ზღურბლზე შეეგება საპატიო სტუმარს.

გაიმართა ორი ქვეყნის ლიდერთა საუბარი.

– ეს არის ახალი ეტაპი საქართველოსა და საფრანგეთის ურთიერთობის განვითარების თვალსაზრისით, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა შეხვედრის შემდეგ პრესისათვის გამართულ ხანმოკლე ბრიფინგზე. – ჩვენ განვიხილეთ თანამშრომლობის მომავალი პერსპექტივები და საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, დავადასტურეთ, რომ ვესწრაფვით ურთიერთხელსაყრელი კონტაქტების გააქტიურებასა და ინტენსიფიკაციას.

– ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულო იყო, რომ შევხვდი არა მარტო დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტს, არამედ ჩემს ძველსა და ნაცად მეგობარს, – აღნიშნა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა. – ჩემს ქვეყანას დიდი სურვილი აქვს გაააქტიუროს თავისი მონაწილეობა კავკასიის რეგიონში, რომელიც ევროპული სივრცის შემადგენელი ნაწილია.

ედუარდ შევარდნაძემ და ჟაკ შირაკმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს რეგიონული და გლობალური პრობლემების მოგვარების საკითხს. როგორც საფრანგეთის პრეზიდენტმა განაცხადა, საქართველომ საკუთარი მაგალითით დაამტკიცა, რომ ბევრი ამ პრობლემათაგან შეიძლება გადაიჭრას. ორი სახელმწიფოს ლიდერებმა დაადასტურეს, რომ ისინი მზად არიან მეტი დინამიკურობა მიანიჭონ მოძრაობას კონფლიქტების მოგვარებისა და საყოველთაო სტაბილიზაციის დამყარებისათვის.

საფრანგეთის პრეზიდენტი კმაყოფილებით დათანხმდა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მოწვევას ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ ვიზიტად.

შეხვედრის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა ასე შეაფასა ვიზიტის პირველი დღის შედეგები საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში:

– საქართველოს დელეგაცია პირველი დღის შეხვედრებით კმაყოფილია. საუბარი ორ პრეზიდენტს შორის ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. საქართველოსათვის საარსებოდ მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტმა შირაკმა თანხმობა განაცხადა საფრანგეთის სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია „კოფასმა" დააზღვიოს საფრანგეთის კომპანიების ინვესტიციები საქართველოში. ეს კი ფრანგული ფირმებისათვის, მათ შორის, გიგანტებისთვისაც, მწვანე შუქის ანთებას ნიშნავს.

ელისეს სასახლეში საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის პატივსაცემად საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სახელით გაიმართა სადილი.

* * *

ნაშუადღევს საქართველოს პრეზიდენტმა ინტერვიუ მისცა საფრანგეთის წამყვან ტელეკომპანიებს.

* * *

ვიზიტის პირველ დღეს საქართველოს საელჩოში გაიმართა რამდენიმე საქმიანი შეხვედრა, რომლებზეც ხელი მოაწერეს დოკუმენტებს პარტნიორობის კონკრეტული მიმართულებების შესახებ. კერძოდ, გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმები მსოფლიოში ცნობილ კომპანია „ალკატელ-ალსტომსა" და საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროსა და საქართველოს სასაზღვრო დაცვის დეპარტამენტს შორის. ხელი მოაწერეს, აგრეთვე, მემორანდუმს „ალკატელ-ალსტომსა" და საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს შორის სენაკის აეროპორტის ტექნიკური განახლების შესახებ. დოკუმენტებს კომპანია „ალკატელ-ალსტომის" სახელით ხელი მოაწერა კომპანიის დირექტორმა საგარეო ურთიერთობის დარგში ჟან-მიშელ კალომ, საქართველოს მხრიდან – კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრმა ფრიდონ ინჯიამ, სასაზღვრო დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხეიძემ და ტრანსპორტის მინისტრმა მერაბ ადეიშვილმა.

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრმა ფრიდონ ინჯიამ და საფრანგეთის საერთაშორისო რადიოს პრეზიდენტმა ჟან-პოლ კლუზელმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს საფრანგეთის საერთაშორისო რადიოს გადაცემების საქართველოში გავრცელების შესახებ. როგორც ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ ჟან-პოლ კლუზელმა განაცხადა, რადიო სიამოვნებით მიესალმება მილიონობით ქართველ მსმენელს, რომლებიც საფრანგეთის საერთაშორისო რადიოს მრავალმილიონიან აუდიტორიას შეემატებიან. მისი განცხადებით, რადიოგადაცემები, რომლებიც 24 საათის განმავლობაში გავა ეთერში, მსმენელს გააცნობს ინფორმაციას მსოფლიოს ყველა კუთხიდან და მოასმენინებს საუკეთესო მუსიკას. თავდაპირველად რადიოარხი მხოლოდ ფრანგულ ენაზე იმუშავებს, ახლო მომავალში კი გადავა ქართულ მაუწყებლობაზეც.

საერთაშორისო რადიოს პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ერთ-ერთი პირველია, რომელთანაც ასეთ პარტნიორობას ჩაეყარა საფუძველი.

იხ. მე-2 გვ.

## ამბობენ, მართალია?

### უშვილობას იწვევსო (?!)

თბილისში ჭორი დადის, თითქოს დიფტერიის საწინააღმდეგო ვაქცინები, რომლებიც უცხოელებმა უფასოდ ჩამოგვიტანეს, უშვილობას იწვევს. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორი პაატა იმნაძე განგვიმარტავს:

– ეს ჭორი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. გაეროს ბავშვთა ფონდ იუნისეფის ვაქცინა მარტო საქართველოში კი არა, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში შექვს, ყოველმხრივ გამოცდილი და შემოწმებულია. დიფტერიის აცრებმა საქართველოში კარგი შედეგი გამოიღო: თუ 1995 წელს დიფტერიით დაავადებული იყო 429 ადამიანი, 1996 წელს მათი რიცხვი 348-მდე შემცირდა, განახევრდა სიკვდილიანობა. აცრის შედეგად არც ერთ სერიოზულ გართულებას ადგილი არ ჰქონია.

აცრები გრძელდება და უკეთდება იმათ, ვინც 1995-1996 წლებში ვერ მოახერხა ამ საჭირო, მეტად საშიში დაავადების წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიების ჩატარება.

ლარისა ხუბულური.

## დიდთოვლობა საქართველოში

ამბობენ, რომ ასეთი უხვი ნალექი რაღაც კატაკლიზმების შედეგია.

ჰიდრომეტეოროლოგიის ეროვნული ცენტრის უფროსმა ჯემალ დოლიძემ ჩვენს კორესპონდენტს აცნობა, რომ ასეთი დიდთოვლობა ათ-თხუთმეტ წელიწადში ერთხელ მეორდება ხოლმე.

დღეისათვის თოვლის საფარის სისქე ასეთია: გოდერძის გადასასვლელზე ოთხ მეტრზე მეტი სიმაღლის თოვლი დევს, ჯვრის უღელტეხილზე – 280 სანტიმეტრი სიმაღლისა, ხულოში – 275, გუდაურში – 200, წიფაში – 135, ტყიბულში – 195, ცენტეხში – 102, ამბროლაურში, საჩხერეში – 61, ლაგოდეხში – 40, გურჯაანში – 32, ხაშურში – 30, სამტრედიაში – 23, ქუთაისში, გორში – 20, თბილისში – 15 სანტიმეტრი.

იმის გამო, რომ სვანეთის, სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმის მაღალმთიანეთში მეტეოროლოგიური სადგურები არ მუშაობს, სინოპტიკოსებს იქიდან მონაცემები არა აქვთ.

ხვალ-ზეგ საქართველოში კვლავ ღრუბლიანი ამინდი იქნება, მოთოვს, ორ-სამ დღეში შედარებით გამოიდარებს, 8 თებერვლიდან კი კვლავ მოსალოდნელია ამინდის გაუარესება, დაუბერავს დასავლეთის ქარი, ისევ ითოვებს.

ლარისა ხუბულური.



თოვლი თბილისში.
ჯავარ ლომაძის ფოტო

## აჭარის მთებში დაუთოვია

აჭარის მთებში დიდთოვლობის გამო ბევრი სოფელი მიუვალი გახდა. ბათუმი-ხულოს ცენტრალური ავტომაგისტრალი კი ძლივს მუშაობს მხოლოდ ქედამდე. თოვლის საფარის სიმაღლე ხულოში არ იძლევა ტექნიკის გამოყენების საშუალებას. მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობა შოთა აბაშიძის მეთაურობით ყოველ ღონეს ხმარობს ვითარების შესამსუბუქებლად. მთავარი, რასაც ახლა ადამიანები აკეთებენ, – თქვა გამგებელმა, – ეს არის სახურავებისა და გზების გაწმენდა, ჯერჯერობით სოფლებში სურსათის მარაგი აქვთ.

თითქმის იგივე ვითარებაა შუახევის რაიონშიც. უგზოობის მიუხედავად, აღნიშნა გამგებელმა ტარიელ ნიჟარაძემ სოფლებთან კავშირს ამყარებენ ტელეფონით, თუმცა ელექტროენერგიის შეფერხებების გამო ზოგჯერ იგი წყდება. 33 ოჯახი დროულად გადაიყვანეს ზვავსაშიში ზონიდან უსაფრთხო ადგილას. ისეთი შემთხვევებიც იყო, როცა ადამიანები თოვლისაგან სახურავების წმენდისას ქარბუქის გამო თავს თოკებით იბამდნენ. 3 თებერვლიდან სწავლა ბევრ სკოლაში ისევ დაიწყო.

ქედის რაიონში შედარებით ნაკლები თოვლია – 1,5-2 მეტრი. მთელი ტექნიკა და ადამიანები დარაზმულნი არიან გზების გასაწმენდად, საარსებო მნიშვნელობის ძირითადი ობიექტები ნორმალური რიტმით მუშაობს, გვაცნობა გამგებლის მოადგილემ ნოდარ ბარამიძემ. ბათუმიდან აქ შეძლებისდაგვარად იგზავნება პროდუქტები და სათბობი.

მთიან აჭარაში მდგომარეობას მუდმივად აკონტროლებს საგანგებოდ შექმნილი შტაბი, რომელსაც ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე ხელმძღვანელობს.

თამაზ გენძეხაძე,
საქინფორმის კორ.

## ინფორმაცია

### პარლამენტმა განაახლა მუშაობა

4 თებერვალს მუშაობა დაიწყო საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესიამ.

დეპუტატებს საგაზაფხულო სესიის დაწყება მიულოცა და გახსნილად გამოაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ. ამ ფაქტთან დაკავშირებით სხდომათა დარბაზში აღიმართა საქართველოს დროშა, აჟღერდა სახელმწიფო ჰიმნი.

საგაზაფხულო სესიის პირველ სხდომას ესწრებოდა 158 დეპუტატი, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მიიღო დადგენილება საქართველოს პარლამენტის 1997 წლის საგაზაფხულო სესიის დაგეგმვის შესახებ, რომლის თანახმადაც მიმდინარე სესია დაიგეგმება ორკვირიანი ციკლით – კვირამონაცვლეობით. პირველი კვირა – 4-7 თებერვალი დაეთმობა პლენარულ სხდომებს, რომლებიც გაიმართება სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს, მეორე კვირა კი – კომიტეტების მუშაობას და ადგილებზე ამომრჩევლებთან შეხვედრას.

პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ პარლამენტის წევრს, ცნობილ მწერალს, საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარეს გენო კალანდიას მიულოცა ღირსების ორდენი, რომლითაც ამ დღეებში იგი საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დაჯილდოედა.

შემდეგ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ გააკეთა მოხსენება, რომლის შინაარსს „სრ" ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

### საიმიგრაციო კვოტა 150 ერთეულით განისაზღვრა

4 თებერვალს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილების თანახმად, საქართველოს 1997 წლის საიმიგრაციო კვოტა განისაზღვრა 150 ერთეულით.

შარშან საქართველოს ხელისუფლებას შუამდგომლობით მიმართა საქართველოში მიგრაციის მსურველმა 150 პირმა. მათგან 67-ს მიენიჭა იმიგრანტის სტატუსი.

### ადა მარშანიამ დატოვა ფრაქცია

საქართველოს პარლამენტის წევრმა ადა მარშანიამ ნებაყოფლობით დატოვა საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთი".

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე დაწერილ განცხადებაში იგი ამ ფაქტს არანაირად არ ხსნის და აღნიშნავს, რომ თავს იკავებს როგორც ოფიციალური, ასევე არაოფიციალური ხასიათის განცხადებებისა და კომენტარებისაგან.

### რუსეთის აუცილებელი შუამავლობა

„ჩვენთვის მიუღებელია ქართულ-ოსური მოლაპარაკება რუსეთის შუამავლობის გარეშე", განაცხადა „მოამბე-ექსპრესის" კორესპონდენტთან საუბარში ცხინვალის ხელისუფლების ინფორმაციის მინისტრმა სლავა კოჩიევმა. „რუსეთის როლის გააქტიურება, შემდეგ კი სხვა ორგანიზაციების მონაწილეობა ჩვენი პრინციპული პოზიციაა", – თქვა მან.

კოჩიევის განცხადებით, ოსური მხარე, რომელიც ყველა დონეზე კონტაქტების გაღრმავების მომხრეა, არ დაუშვებს შეხვედრების კერძო პირთა ურთიერთობამდე დაყვანას.

ამასთან, იგი მზად არის თებერვლის ბოლოსათვის მოსკოვში დაგეგმილ შეხვედრაში მიიღოს მონაწილეობა.

### ეუთოს ელჩის იმედიანი აქცენტი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან მჭიდრო ურთიერთობა საფუძველს გვაძლევს კიდევ უფრო წინ წავიწიოთ კონფლიქტების სამხედრო-პოლიტიკური მოგვარების საქმეში, განაცხადა ეუთოს ელჩმა საქართველოში მიხაილ ლიბალმა გენერალ-ლეიტენანტ ვარდიკო ნადიბაიძესთან შეხვედრის დროს, რომელზეც ქართულ-ოსური კონფლიქტის პრობლემებზე იმსჯელეს.

კონფლიქტის ზონაში ეუთოს სამხედრო მისიის ხელმძღვანელის გენერალ რომან პარამოზის თქმით, შერეული საკონტროლო კომისიის მომავალ რაუნდზე მხარეებს გადაწყვეტილი აქვთ განიხილონ სამხედრო, ეკონომიკური და ლტოლვილთა დაბრუნების საკითხები.

### მიზანი: საბრძოლო მზადყოფნის ამაღლება

სამხედრო ძალების წინაშე მდგარი უმთავრესი ამოცანა წლეულსაც კვლავ საბრძოლო მზადყოფნის ამაღლება და დისციპლინის განმტკიცება იქნება, ითქვა თავდაცვის სამინისტროში გამართულ გაფართოებულ თათბირზე, რომელშიც ყველა სამხედრო ნაწილის მეთაური და ცენტრალური აპარატის მუშაკები მონაწილეობდნენ.

თათბირზე შეჯამდა ახალი სასწავლო წლის ორი თვის შედეგები.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, საინფორმაციო სააგენტო „მოამბე-ექსპრესმა".

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 19 იანვარი ქ. თბილისი

ა. დვალიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი აკაკი დვალიშვილი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 28 იანვარი ქ. თბილისი

გ. ციციშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მწერალი გიორგი ციციშვილი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

## რეაქცია

### ზღვარი ფანტაზიასაც აქვს

პრესაში კვლავ ამოტივტივდა ლოთი ქობალიასა და სხვათა საქმე: ამჯერად „7 დღე" სკანდალური სათაურით – „მოსამართლემ მარგიანის ჩვენება დამალა". თურმე ყოფილმა ვიცე-პრემიერმა 1995 წლის 3 ოქტომბერს წინასწარ გამოძიებას მისცა ჩვენება, რომლის დამალვა ნებისმიერ ქვეყანაში გამოიწვევდა არნახულ აჟიოტაჟს. ჩვენთან კი... ეს ჩვენება ავთანდილ მარგიანს წარუდგენია საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილის ანზორ ბალუაშვილისათვის, ამტკიცებს გაზეთი.

იხ. მე-4 გვ.

## ფაქტი

### აქციის მაგიერ – შეხლა-შემოხლა

ბანკ „ამიკოს" მეანაბრეებს, გუშინ საპროტესტო აქციის მოწყობა და რუსთაველის პროსპექტის გადაკეტვა ჰქონდათ განზრახული. სალმა აზრმა გაიმარჯვა. ბანკის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, მათ სამართლიან მოთხოვნას დაჰყოლოდა და კრების გამართვაზე თანხმობა განეცხადებინა.

მეანაბრეებს აუწყეს კრების დანიშვნის თარიღი და ადგილი. ნანატრი შეხვედრა გუშინ ვაჭრობის მუშაკთა კულტურის სახლში გაიმართა და მეტად მწვავე შეხლა-შემოხლის ვითარებაში ჩაიარა.

დაპირებებით დაიმედებული მეანაბრეები ბანკის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ იმედიანად დაიშალნენ.

თეიმურაზ კინწურაშვილი.

## უკანასკნელ საათს



მოსკოვი. ერთ საათს გასტანა რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინისა და პრემიერ-მინისტრის ვიქტორ ჩერნომირდინის შეხვედრამ, რომელიც მიეძღვნა პრემიერის მომავალ ვიზიტს შეერთებულ შტატებში „გორ-ჩერნომირდინის კომისიის" პროგრამით მუშაობისათვის, იმსჯელეს აგრეთვე სხვა საკითხებზე.

შემდეგ რუსეთის სახელმწიფოს მეთაურმა მიიღო უშიშროების ფედერალური სამსახურის უფროსი კოვალიოვი. საუბრისას აღინიშნა, რომ ბოლო დროს უჩვეულოდ გააქტიურდა უცხოეთის სპეცსამსახურების საქმიანობა რუსეთში.

* * *

რუსეთის ფედერაციის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე ივანჩენკომ ჩეჩნეთის არჩევნებთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნა, რომ 27 იანვრის არჩევნების დამსწრე უცხოელ მეთვალყურეთა აზრით, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ კერძო პირების აზრი, ვინაიდან ისინი ოფიციალურად უნდა მოეწვია ფედერალურ ხელისუფლებას, და არა ჩეჩნეთის მთავრობას. ამდენად, განაცხადა კომისიის თავმჯდომარემ, მათს აზრს არჩევნების შესახებ არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება.



* * *

ჰოპარზალა. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენელი ჩეჩნეთში ტიმ გულდემანი, რომელიც 27 იანვრის არჩევნების წარმატების სულისჩამდგმელად ითვლებოდა, იჩქერიის ჩეჩენთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პერსონა ნონგრატად გამოაცხადა.

* * *

დუბლინი. რუსეთის პრემიერი ვიქტორ ჩერნომირდინი, რომელიც შეერთებულ შტატებში მიემგზავრება, დღეს გზად ჩამოხდება ირლანდიის შენონის აეროპორტში, სადაც გაიმართება მისი სამუშაო შეხვედრა ირლანდიის პრემიერ-მინისტრთან ჯონ ბრუტონთან.

* * *

დავოსი. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ანატოლი ჩუბაისმა შვეიცარიის ამ ქალაქში გამართულ პრესკონფერენციაზე მკაცრი ნეგატიური შეფასება მისცა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების გეგმებს და წამოაყენა წინადადება, დაიდოს შეთანხმება ნატოსა და რუსეთს შორის გაფართოების დაწყებამდე.

* * *

ვარშავა. გუშინ დასრულდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი პოლონეთში. პარლამენტის ქვედა პალატის სპიკერი გენადი სელეზნიოვი შეხვდა პოლონეთის პრეზიდენტს ალექსანდრე კვასნევსკის.

საქართველოს რესპუბლიკა
№28. ოთხშაბათი, 5 თებერვალი 1997 წელი.

# საქართველო და საფრანგეთი განსაზღვრავენ თანამშრომლობის პრიორიტეტებს

**პარიზი, 4 თებერვალი. (საქინფორმის სპეც. კორესპონდენტები მაია ალუდაური და ედუარდ ედიბერიძე).** მეორე დღეა, გრძელდება საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი საფრანგეთში. პარიზსა და თბილისს შორის ოთხი საათის სხვაობა არ იძლევა შესაძლებლობას, ოპერატიულად გავადევნოთ თვალი ისედაც მეტისმეტად გადატვირთულ ვიზიტის პროგრამას.

გუშინ, დღის მეორე ნახევარში საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა და ესაუბრა საფრანგეთის ეროვნული კრების პრეზიდენტს ფილიპ სეგენს. საქმიანი, დაინტერესებული სჯა-ბაასი გაიმართა ორი ქვეყნის საპარლამენტო ურთიერთობის მდგომარეობისა და პერსპექტივის, საფრანგეთისა და საქართველოს კანონმდებელთა თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავების აუცილებლობის შესახებ. გულახდილი დიალოგის დროს აღინიშნა, რომ ორივე მხარე დაინტერესებულია პარტნიორული ურთიერთობის გაფართოებით, იმ კონკრეტული გზების ძიებით, რომლებიც მეტ დინამიკასა და მასშტაბურობას მიანიჭებს ორივე მხარისათვის საინტერესო, როგორც ტაქტიკური, ისე სტრატეგიული ამოცანების რეალიზაციას ცხოვრების ყველა სფეროში.

საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში „მორნის" გალერეაში, იქ, სადაც გამოყოფილია ეროვნული კრების ერთ-ერთი შესანიშნავი დარბაზი, გაიხსნა გამოჩენილი ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის ნაწარმოებების გამოფენა. საფრანგეთმა, მისმა დედაქალაქმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს მაშინ ახალგაზრდა შემოქმედის ოსტატობის სრულყოფაში. მისი დიდი ნიჭი, რომელიც თავისი განუმეორებელი ინდივიდუალობით, ჰუმანიზმით, ფილოსოფიური სიღრმითა და პოეტური შთაგონებით აჯადოებს ყველას, აქ შესანიშნავად გამოვლინდა. მონმარტრზე თავის სახელოსნოში მუშაობას იმხანად ნაკლებად ცნობილი მხატვარი ათავსებდა რონსონის „თავისუფალ აკადემიაში" და პარიზის სამხატვრო აკადემიაში მეცადინეობასთან. პარიზის კაფე „როტონდაში" პიკასოსთან და მატისთან, ფერნან ლეჟესთან და მორის უტრილოსთან შეხვედრები, მეგობრობა ამადეო მოდილიანისთან, ურთიერთობა ცნობილ პოეტებთან, პროზაიკოსებთან, ხელოვნებათმცოდნეებთან, მათთან გაცხარებული კამათი და დისკუსიები ხელს უწყობდა მხატვრის შემოქმედებითს აღმაფრენას. სწორედ პარიზში შეიქმნა ლადო გუდიაშვილის უამრავი ნაწარმოები, რომლებიც ახლა, სამოცდაათ წელზე მეტი ხნის შემდეგ კვლავ წარსდგა მომთხოვნი ფრანგი ხელოვნების მოყვარულების წინაშე. გამოფენაზე წარმოდგენილია 22 ფერწერული ტილო და გრაფიკული კომპოზიცია, რომლებიც ასახავს ძველ თბილისს, ფანტაზიებს ქართულ თემებზე. მხატვრის პრაქტიკულად ყველა ნამუშევარი გამოირჩევა გუდიაშვილისეული ლირიკული, რომანტიკული, ფანტასტიკური საწყისით, რაც ახასიათებდა მის ჩამოყალიბებას მადლიან პარიზულ გარემოში.

დიდოსტატის ეს თავისებურება განსაკუთრებით აღნიშნეს მისი ნამუშევრების ვერნისაჟზე საფრანგეთის ეროვნული კრების პრეზიდენტმა ფილიპ სეგენმა და საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. როგორც ბატონმა სეგენმა განაცხადა, ამ გამოფენის გახსნით ეროვნული კრება გამოხატავს თავის აღტაცებას საქართველოთი, მისი ფასდაუდებელი კულტურით. მან მადლობა გადაუხადა გამოფენის ინიციატორებსა და ორგანიზატორებს და ხაზი გაუსვა, რომ ნინო ახვლედიანი-შევარდნაძესთან ერთად, რომელმაც შეარჩია ლადო გუდიაშვილის პარიზული პერიოდის საუკეთესო ნამუშევრები, ბევრი რამ გააკეთა ეროვნული კრების ქვედა პალატის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელმა ჟანკლოდ ეტიენმა. მან გამოთქვა რწმენა, რომ ფრანგი კანონმდებლები თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ ორი ქვეყნის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში, წარმატება უსურვა საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალურ ვიზიტს.

ეროვნული კრების პრეზიდენტის თვალსაზრისი სავსებით გაიზიარა საქართველოს მეთაურმა. გამოფენის გახსნაზე თავის გამოსვლაში ედუარდ შევარდნაძემ, კერძოდ, აღნიშნა, რომ როცა საქართველო ევროპაზე ლაპარაკობს, უწინარესად საფრანგეთი აქვს წარმოდგენილი. საქართველოს პრეზიდენტის თქმით, პარიზი იყო და არის სილამაზის დედაქალაქი. ამიტომ სწორედ მას მიელტვის ყველა, ვისაც ცხოვრებაში მიზნად დაუსახავს სილამაზის ძიება და მუზების მსახურება.

დღეს, 70 წლის შემდეგ, თქვა მან, ლადო გუდიაშვილი კვლავ ეწვია პარიზს, ამჯერად როგორც საქართველოს დიდი მხატვარი, ეწვია ქალაქს, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი შემოქმედებითი გზა. ეს ნიკო ფიროსმანის მერე მეორე ქართველი მხატვრის გამოფენაა მსოფლიო ხელოვნების დედაქალაქში. ნიშანდობლივია ისიც, აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ, რომ ლადო გუდიაშვილი პარიზში დაბრუნდა მას შემდეგ, რაც მისმა საყვარელმა სამშობლომ ისევ მოიპოვა დამოუკიდებლობა, ამჯერად სამუდამოდ.

ამავე დღეს სასტუმრო „რიტცში", სადაც დაბინავებულია საქართველოს დელეგაცია, გაიმართა საქართველოს პრეზიდენტის საუბარი საფრანგეთის ფინანსთა და საგარეო ვაჭრობის მინისტრ-დელეგატთან ივ გალანთან. ხელი მოაწერეს სამთავრობათშორისო ხელშეკრულებას ორ ქვეყანას შორის კაპიტალდაბანდებების წახალისებისა და ურთიერთმხარდაჭერის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს საფრანგეთის მხრიდან ივ გალანმა, საქართველოს მხრიდან — ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის მინისტრმა კონსტანტინე ზალდასტანიშვილმა.

იმავე საღამოს საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ერვე დე შარეტს. გაიმართა საუბარი, რომელშიც მონაწილეობდა აგრეთვე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი.

მოლაპარაკების შედეგების მიხედვით საქართველოსა და საფრანგეთის საგარეო-პოლიტიკური უწყებების მეთაურებმა ხელი მოაწერეს ორი ქვეყნის მთავრობათა ხელშეკრულებას კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. ირაკლი მენაღარიშვილმა და ერვე დე შარეტმა ხელი მოაწერეს აგრეთვე სამთავრობათშორისო ოქმს სოფლის მეურნეობისა და სასოფლო საქმეების განვითარების დარგში განზრახულობათა შესახებ, შეთანხმებებს ტრანსპორტის სფეროში, საქართველოსა და საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროებს შორის თანამშრომლობის შესახებ. ხელი მოაწერეს, აგრეთვე, ორი სახელმწიფოს საქმიანი ურთიერთობის მარეგულირებელ სხვა დოკუმენტებს.

საქართველოს პრეზიდენტისა და მისი მეუღლის პატივსაცემად საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გამართა სადილი, რომელზეც ედუარდ შევარდნაძემ და ერვე დე შარეტმა სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

* * *

საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტს უდიდესი ყურადღებით შეხვდნენ საფრანგეთის არა მარტო პოლიტიკური და საქმიანი წრეები, არამედ პრესა და ქვეყანაში აკრედიტებული მსოფლიოს სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოები და ტელეკომპანიები. ამ უდიდესი ინტერესის დასტური იყო 4 თებერვალს საფრანგეთის დიპლომატიური პრესის შეხვედრა ჩვენი ქვეყნის მეთაურთან.

სწორედ ამ შეხვედრით, უფრო სწორედ, რესტორან „ფუკეტსში" გამართული საქმიანი საუზმით დაიწყო საფრანგეთში საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტის მეორე დღე.

ედუარდ შევარდნაძემ საფრანგეთში პირველი ვიზიტის შემდგომ განვლილი პერიოდი შეაფასა, როგორც უაღრესად ნაყოფიერი, გამოცდილების შეძენისა და ურთიერთობის ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრის თვალსაზრისით.

— გუშინდელი შეხვედრები და საუბრები, მიღწეული შეთანხმებები და ხელმოწერილი დოკუმენტები მოწმობს, რომ საქართველოსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობა შედის ახალ ფაზაში, სრულიად ახალ მასშტაბურ ხასიათს იძენს, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. — მან განსაკუთრებით დიდი შეფასება მისცა იმ ფაქტს, რომ საფრანგეთმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა თავისი პოლიტიკა კავკასიის რეგიონის სახელმწიფოთა მიმართ. უმთავრესია ის, რომ ეს პოლიტიკა არ ითვალისწინებს რომელიმე ქვეყნის ინტერესების შელახვას, — აღნიშნა საქართველოს სახელმწიფოს ლიდერმა.

შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი მოკლედ შეეხო საფრანგეთის პრეზიდენტთან ჟაკ შირაკთან განხილული საკითხების თემას და განაცხადა, რომ ამ უაღრესად საინტერესო შეხვედრაზე შეეხნენ უმნიშვნელოვანეს საკითხთა საკმაოდ ფართო სპექტრს. — ძალზე სასიამოვნო იყო იმის მოსმენა, რომ საფრანგეთი, მთელ ევროპასთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად მზად არის გააქტიუროს თავისი როლი კავკასიის რეგიონში კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში.

ჩვენი სახელმწიფოს მეთაურმა ფუნდამენტური უწოდა ვიზიტის დროს ხელმოწერილ ხელშეკრულებებს ინვესტიციების დაცვისა და ორმაგი დაბეგვრის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ამ დღეებში გაფორმდება საქართველოსა და საფრანგეთს შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის ოცზე მეტი დოკუმენტი, დაგეგმილია საფრანგეთის უდიდესი კომპანიების ხელმძღვანელებთან შეხვედრები, რომელთა დროსაც განისაზღვრება, თუ როგორი კონკრეტული მიმართულებებითა და ფორმით წარიმართება თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის ეკონომიკის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგებში.

ედუარდ შევარდნაძემ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტებს, რომ მასპინძელი სახელმწიფოს ხელმძღვანელებთან შეხვედრების დროს საუბრისა და დისკუსიის საგანი იყო არა მარტო საქართველოსა და კავკასიის რეგიონი, არამედ ევროპისა და მთლიანად მსოფლიოს რეალობებიდან გამომდინარე პოლიტიკური პრობლემები.

შეხვედრის მონაწილე ჟურნალისტთა საერთო შეფასებით, ამ უშუალო და უაღრესად ამომწურავი საუბრების დროს პრეზიდენტმა უპასუხა მრავალ, მათთვის საინტერესო კითხვას, რომლებიც მოიცავდა საკითხთა მრავალფეროვან სპექტრს, იქნებოდა ეს საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, თუ მსოფლიოს გლობალური მნიშვნელობის პრობლემები.

დიპლომატიური პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ კი დადგა ვიზიტის, შეიძლება ითქვას, ყველაზე ემოციური მომენტი. საქართველოს პრეზიდენტი თანმხლებ პირებთან ერთად ლევილს გაემგზავრა. ლევილის ქართველთა სასაფლაოზე, სადაც განისვენებენ პირველი ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწეები და ემიგრაციაში გადახვეწილი ქართველები, ედუარდ შევარდნაძე მიეახლა და პატივი მიაგო ნოე ჟორდანიას, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, სხვა მამულიშვილთა საფლავებს, რომელთა სახელებიც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში სამუდამოდ არის დამკვიდრებული.

შემდეგ პრეზიდენტი ეწვია ლევილის მკვიდრ ქართველებს, რომელთა გონებასა და გულში, როგორც მასპინძელთა სახელით განაცხადა ირენ გედევანიშვილმა, ლევილის სასაფლაოს მარადიულ განსასვენებელში დამკვიდრებულ დიდ წინაპართა წყალობით სამუდამოდ ჩაიბეჭდა შორეული სამშობლო — საქართველო.

* * *

იმავე დღეს საფრანგეთის რესპუბლიკის სენატის შენობაში გაიმართა საქართველოსადმი მიძღვნილი კოლოკვიუმი: მისმა ორგანიზატორებმა — საფრანგეთის სენატმა და საგარეო ვაჭრობის ცენტრმა ამ სემინარში მონაწილეობისათვის მოიწვიეს საქართველოს დელეგაციის წევრები — მინისტრები და უწყებათა ხელმძღვანელები, ბანკირები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები. გაიმართა საქმიანი სჯა-ბაასი ორი ქვეყნის ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის გაფართოება-გაღრმავების პერსპექტივებთან დაკავშირებული ფართო წრის საკითხებზე. საფრანგეთის უდიდესი ფირმებისა და კომპანიების წარმომადგენლებმა გამოხატეს სერიოზული დაინტერესება საქართველოს მხარის მიერ წარმოდგენილი წინადადებებისა და პროექტების მიმართ. მომავალი პარტნიორობის ორმხრივი დაინტერესების სფეროა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, ტელეკომუნიკაციის, ნავთობ და გაზსადენების მშენებლობის საქმეში საქართველოს პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის აღმავლობა, კერძოდ, მისი ისეთი ტრადიციული დარგისა, როგორიც არის მევენახეობა და მეღვინეობა, და სხვა სფეროების მაქსიმალური გამოყენება.

კოლოკვიუმის მონაწილეებს მიესალმნენ საფრანგეთის რესპუბლიკის სენატის პრეზიდენტი რენე მონორი და საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

საფრანგეთის საქმიანი წრეების წინაშე გამოსვლისას საქართველოს მეთაურმა აღუთქვა, რომ მთლიანად უჭერს მხარს სახელმწიფო დონეზე მათ მიერ დასახულ პროექტებს ქვეყნისათვის პრიორიტეტულ ეკონომიკისა და სოციალურ სფეროებში.

საქართველოს პრეზიდენტის პატივსაცემად საფრანგეთის რესპუბლიკის სენატის პრეზიდენტმა გამართა დარბაზობა, რომელზეც სიტყვები წარმოთქვეს რენე მონორმა და ედუარდ შევარდნაძემ.

პარალელურად, დღის განმავლობაში გრძელდებოდა საფრანგეთისა და საქართველოს ერთობლივ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა ხელმოწერა, რომლებმაც უნდა ჩაუყარონ მყარი სამართლებრივი საფუძველი სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობას. კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხეიძემ და საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს „სოფრემის" სპეციალური ტექნიკის გამოშვებაზე დასპეციალიზებული საზოგადოების პრეზიდენტმა ბერნარ დიუბუამ ხელი მოაწერეს მემორანდუმს ურთიერთგაგების შესახებ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საფრანგეთის აღმოსავლური ენებისა და ცივილიზაციის ინსტიტუტს შორის თანამშრომლობის შესახებ ოქმს ხელი მოაწერეს მათმა ხელმძღვანელებმა როინ მეტრეველმა და ანდრე ბურჟემ.

კიდევ ერთ ოქმს განზრახულობათა შესახებ ხელი მოაწერეს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა ბაკურ გულუამ და საფრანგეთის ცნობილი ფირმის „სიუკდენის" პრეზიდენტმა სერჟ ეარსანმა. ხელი მოაწერეს აგრეთვე, შეთანხმებას საქართველოს გაერთიანებულ ბანკსა და „კრედიტ კომერსიალ დე ფრანს" ბანკებს შორის.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა „ლოქემას" კომპანიის როტშილდის ჯგუფის ხელმძღვანელობას.

ნაშუადღევს იგი შეხვდა და ესაუბრა პარიზის მერს ჟან ტიბერის, რის შემდეგაც გაიმართა საქართველოსა და საფრანგეთის დედაქალაქებს შორის მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონია. დოკუმენტებს ხელი მოაწერეს თბილისისა და პარიზის მერებმა — ბადრი შოშიტაიშვილმა და ჟან ტიბერმა.

საღამოს, საქართველოს პარიზის საელჩოში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მეუღლითურთ გამართა დარბაზობა ქართული სათვისტომოს პატივსაცემად.

## საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ერვე დე შარეტის სიტყვა

### საქართველოს პრეზიდენტის პატივსაცემად გამართულ სადილზე

ბატონო პრეზიდენტო, ქალბატონო,
ბატონო მინისტრებო,
ბატონო ელჩებო,
ქალბატონებო და ბატონებო!

დღეს, ჩვენ უდიდესი პატივი გვხვდა წილად ვუმასპინძლოთ საგარეო საქმეთა სამინისტროს სასახლეში საქართველოს პრეზიდენტს, ქვეყნისა, რომელიც არის საფრანგეთის მეგობარი და სადაც, ეს კარგად ვიცი, უყვართ ჩვენი ქვეყანა.

მე მინდა დავარღვიო ტრადიცია. თქვენ მიჩვეული ხართ, ბატონო პრეზიდენტო, რომ გესალმებიან, როგორც გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს, თანამედროვე ისტორიის ერთი ეპოქიდან მეორეში გადასვლის ერთ-ერთ ავტორს. იმ ეპოქისა, როდესაც დემოკრატიას ეზიარა მთელი ჩვენი კონტინენტი.

ვიცი, რომ 1987 წელს საფრანგეთი ამავე დარბაზებში მასპინძლობდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს. დღეს საღამოს არ მინდა გავიხსენო არც იმ ეპოქის ადამიანი და არც ის იმპერია. დღეს, ამავე ადგილას, საფრანგეთი მასპინძლობს დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიულად არჩეულ პრეზიდენტს.

და დღეს მინდა განსაკუთრებულად მივესალმო მას, — გაბედულ ადამიანს, რომელმაც არჩია ყოფილიყო პირველი თავის სამშობლოში, ვიდრე მეორე — რომში. ადამიანს, ვინც მოღვაწეობის პერიოდში მიხვდა, რომ უფრო იოლია დაანგრიო უძლიერესი იმპერია, ვიდრე ააშენო პატარა, მაგრამ თავისუფალი, დემოკრატიული და სუვერენული ქვეყანა.

ბატონო პრეზიდენტო! დღეს თქვენი ქვეყანა თავისუფალია და ისევ ის მარადიული საქართველოა — იბერიისა და კოლხეთის ძველი სამეფოებისა, რომლებიც მრავალ ფიქრს აღგვიძრავენ. საქართველო იაზონის, არგონავტების და პრომეთეს ანტიკური ლეგენდებისა, რომლებმაც ასაზრდოვეს ბერძნული მითოლოგია და ჩვენი კულტურების საერთო საგანძურს წარმოადგენენ. იგი ვაზისა და ღვინის ქვეყანაა, სადაც, როგორც საფრანგეთში, უყვართ სიცილი და სიმღერა, ღვინო და ცეკვა. ქვეყანა, სადაც პოეტ რუსთაველს პატივს სცემენ უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე პოლიტიკურ მოღვაწეს. ქვეყანა, სადაც ბევრი სხვა პოეტი ხოტბას ასხამდა ულამაზეს ქალებს, რომელთაც აგრერიგად მოხიბლეს ამდენი ფრანგი მოგზაური. მათ შორის იყო შარდენი, ერთ-ერთმა პირველმა რომ შეადგინა თბილისის გეგმა, რომელიც შემდგომში ვოლტერმა გამოიყენა თავის „სპარსულ წერილებში". ალექსანდრე დიუმა, რომლის შესანიშნავი კავკასიური მოთხრობები ისე აქტუალურია, რომ ისინი ახლახან კიდევ გამოიცა. აღმოსავლეთმცოდნე ბროსე უფრო ცნობილია საქართველოში, ვიდრე საფრანგეთში. ამ ორი ადამიანის სახელებს ატარებს თბილისის ორი ქუჩა.

საქართველო, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ქრისტიანული სამყაროსა და ისლამის მიჯნაზე, სადაც დადგენილი და გათავისებული არ არის ყოველი ზღვარი, მუდამ იყო შეტაკებების ასპარეზი, დღეს კი მას სურს გახდეს ხალხთა და კულტურათა ურთიერთგაცვლის გზაჯვარედინი.

ამიტომაც იქცა დღეს საქართველო, თავის მეზობელ აზერბაიჯანთან ერთად, ევროკავშირის ამბიციური პროექტის „ტრასეკის" მთავარ რგოლად და აუცილებელ ელემენტად. ამ პროექტის მიზანია აღადგინოს „XXI საუკუნის აბრეშუმის გზა" — ისტორიულად არსებული კომუნიკაციები ევროპასა და აზიას შორის შავი და კასპიის ზღვების გავლით.

ამ გიგანტურ, და მე ვიტყოდი, „პრომეთესეულ" პროექტში საქართველო მოგვევლინება როგორც ევროკავშირის პარტნიორი. მთელ ამ რეგიონში, პირველად თქვენს ქვეყანაში შევიდა ძალაში ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული შეთანხმება. თუკი 1996 წელს საქართველოს ჰქონდა ევროპის საბჭოში სპეციალური სტატუსი, ვიმედოვნებ, რომ იგი ახლო მომავალში ამ ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი გახდება.

დღეს საქართველო უდავოდ „ევროპამია" და საფრანგეთი ამის მოხარულია. ან კი როგორ შეიძლებოდა ეს სხვაგვარად ყოფილიყო, როცა საუკუნეების მანძილზე, როგორც თქვენ აუხსენით თქვენს სტუმრებს, ქართულ ენაში სიტყვა „ფრანგი" ნიშნავდა ფრანგს და ევროპელს.

ცნობილია, რომ ურთიერთობა ჩვენს ორ ქვეყანას შორის საუკუნეების მანძილზე არსებობდა. ისიც ცნობილია, რომ ეს ურთიერთობა მტკიცდება ხოლმე განსაცდელის ჟამს. თავსდატეხილი უბედურების დროს ქართველმა ლტოლვილებმა თავშესაფარი მეორე სამშობლოში — საფრანგეთში პოვეს. მეორე მსოფლიო ომში მათი შვილები იცავდნენ ქვეყანას, რომელმაც შეიფარა მათი მშობლები, ისინი წინააღმდეგობისა თუ თავისუფალი საფრანგეთის მოძრაობის მონაწილენი იყვნენ. ერთი მათგანი იყო ელ-ალამეინში დაღუპული განთავისუფლების გმირი ლეიტენანტ-პოლკოვნიკი თავადი დიმიტრი ამილახვარი, რომლის სახელს ატარებს სენ-სირის სამხედრო აკადემიის ერთ-ერთი გამოშვება.

ომის დამთავრების შემდეგ გენერალმა დე გოლმა სათანადოდ დააფასა მათი გმირობა. მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ საფრანგეთში შენახული რელიგიური და კულტურული ფასდაუდებელი განძეული თბილისში დაბრუნდა, რაც საქართველოში დღესაც კარგად ახსოვთ.

დღეს ჩვენს ქვეყანაში მშვიდობა სუფევს. თქვენმა ქვეყანამ, ბატონო პრეზიდენტო, გადაიტანა მრავალი ახალი განსაცდელი და ბევრი თქვენი თანამემამულე იძულებული იყო მიეტოვებინა თავისი კერა. გაჭირვების ჟამს, თქვენ იცით, რომ საფრანგეთმა შექმნა „საქართველოს მეგობრების" ჯგუფი, რომ საფრანგეთი იყო და იქნება თქვენს გვერდით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში ჩვენ მხარს დავუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს.

ყველაზე უკეთ მოგეხსენებათ, ბატონო პრეზიდენტო, რომ კავკასიონის სამხრეთით მდებარე თითოეული ქვეყნის განვითარება და აყვავება მჭიდროდ არის დაკავშირებული მეზობლების განვითარებასთან და აყვავებასთან.

კომუნიკაციებისა და ნავთობპროდუქტების წარმოების გამო მსოფლიოს ეს რეგიონი სტრატეგიული მნიშვნელობის ზონა ხდება. მშვიდობა საარსებო აუცილებლობაა არა მარტო რეგიონის სამი მეგობარი ქვეყნისათვის, არამედ ევროპის და საფრანგეთისათვის.

ამიტომაც არის, რომ მხარს ვუჭერთ, ბატონო პრეზიდენტო, თქვენს ინიციატივას „მშვიდობიანი კავკასიის" თაობაზე. ამ მხრივ, საქართველოს ძალუძს შეასრულოს განსაკუთრებული როლი.

როგორც დავადასტურე, წლეულს, ოქტომბერში ერევანში, თბილისსა და ბაქოში, საფრანგეთი მზად არის მონაწილეობა მიიღოს თქვენი რეგიონის განვითარებასა და აყვავებაში, მისი პოტენციალისა და სიმდიდრეთა გამოყენებაში. ჩვენ შეგვიძლია, მაგალითად, მონაწილეობა მივიღოთ იმ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებში, რომლებიც აუცილებელი იქნება, უწინარეს ყოვლისა, ტრანსპორტის დარგში, სადაც ჩვენი სპეციალიზებული ფირმების გამოცდილება ყველასათვის კარგად არის ცნობილი.

მზად ვართ, მონაწილეობა მივიღოთ როგორც მრავალმხრივ ევროპულ პროექტებში, რომელთა უდიდეს ნაწილს ჩვენ და გერმანია დავაფინანსებთ, ისე ორმხრივი თანამშრომლობის დარგში.

ზემოთქმულთან დაკავშირებით, ბატონო პრეზიდენტო, თქვენს საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად პოლიტიკური თვალსაზრისით გადავწყვიტეთ თბილისში ყოფნისას, რომ 1997 წელს ჩვენი ურთიერთობა ავიყვანოთ განსაკუთრებულ დონეზე. 1994 წელს, თქვენი, როგორც პრეზიდენტის პარიზში პირველი ვიზიტის დროს, ხელი მოვაწერეთ ჩვენს ორ ქვეყანას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას. თქვენი ოფიციალური ვიზიტი პარიზში, რესპუბლიკის პრეზიდენტის მოწვევით, იმის კარგ შესაძლებლობას გვაძლევს, რათა განვახორციელოთ ეს მიზნები.

პოლიტიკური თვალსაზრისით, 1996 წელს ჩვენი აზრთა გაზიარება და დიალოგი უფრო ინტენსიური გახდა, რასაც ადასტურებს თქვენი დღევანდელი საუბრები პრეზიდენტ შირაკთან.

კულტურის დარგში ჩვენ ბევრი რამ გვაერთიანებს. ფრანგულ ენას საქართველოში ძალიან ბევრი ფლობს. ჩვენი ქვეყნების კინომოღვაწენი დიდი ხანია თანამშრომლობენ. წლეულს ერთიანი ძალებით შეიქმნა ორი ახალი ფილმი. დღეს ეს ჩვენი მსგავსება კონკრეტულ გამოხატულებას პოვებს ეროვნული კრების სასახლეში, სადაც მისი თავმჯდომარის ხელშეწყობით იმართება ლადო გუდიაშვილის ნაწარმოებთა ვერნისაჟი. პარიზში, სადაც იგი ცხოვრობდა და ხატავდა, გუდიაშვილი შეხვდა პიკასოს და მოდილიანს. მომავალში ჩვენი ურთიერთობა კიდევ უფრო გაძლიერდება, რადგან ხელი მოვაწერეთ ძალზე სერიოზულ შეთანხმებას კულტურული, მეცნიერული და ტექნიკური თანამშრომლობის დარგში. თბილისში ამუშავდება რადიო „ფრანს ინტერნაციონალი". ითანამშრომლებენ აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და აღმოსავლური ენების ეროვნული ინსტიტუტი.

ჩაეყარა იურიდიული და ფინანსური საფუძველი ჩვენ მომავალ ეკონომიურ თანამშრომლობას სხვადასხვა დარგებში, მოვაგვარეთ ინვესტიციათა დაცვის და დაბეგვრის პრობლემები, რაც სამომავლოდ დიდი კაპიტალია. გარდა ამისა, საფრანგეთმა უფრო ხელსაყრელი გახადა საქართველოსთვის განკუთვნილი საექსპორტო კრედიტების დაზღვევა. ყოველივე ამან ბიძგი უნდა მისცეს ჩვენს შორის ეკონომიკურ ურთიერთობას.

თქვენი დელეგაციის წევრები შეხვდებიან ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი, გაქანებული და საუკეთესო ფირმების პრეზიდენტებს. მათი ყოფნა აქ, დღეს საღამოს, ხვალ, სენატის თავმჯდომარის ხელშეწყობით გამართულ სემინარზე, მოწმობს იმ დიდ ეკონომიკურ ინტერესს, რომელიც გამოიწვია თქვენმა ქვეყანამ და მისმა განვითარების პოტენციალმა. მე ვიტყოდი, ბატონო პრეზიდენტო, რომ თქვენზე ბევრადაა დამოკიდებული ამ პოტენციალის ამოქმედება.

ამ სასმისით ვუსურვებ უდიდეს წარმატებებს ყველა ამ პროექტს. ასევე ვთხოვ ყველას, ძვირფასო მეგობრებო, ვუსურვოთ ჯანმრთელობა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს და მის მეუღლეს. ვუსურვოთ ბედნიერება და აყვავება ქართველ ხალხს. დაე, გაძლიერდეს ძველი და განახლებული მეგობრობა საფრანგეთსა და საქართველოს შორის.

საქართველოს გაუმარჯოს!

## საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა

### საფრანგეთის საგარეო ურთიერთობის მინისტრის ერვე დე შარეტის მიერ გამართულ სადილზე

პატივცემულო ბატონო მინისტრო,
პატივცემულო ქალბატონო დე შარეტ,
ქალბატონებო და ბატონებო,

დიდ მადლობას მოგახსენებთ გულითადი მიღებისა და საუცხოო სადღეგრძელოსათვის.

მეც ამავე სულისკვეთებით გიპასუხებთ.

საფრანგეთის პრეზიდენტთან ბატონ ჟაკ შირაკთან დღევანდელი შეხვედრა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ახალ ეტაპს მოასწავებს. ეს მნიშვნელოვანი იქნება არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი კავკასიისთვისაც. მე დღეს ბატონი პრეზიდენტი საქართველოში მოვიპატიჟე. დარწმუნებული ვარ, ეს ვიზიტი ისტორიული მნიშვნელობის იქნება კავკასიის სახელმწიფოებისა და ხალხებისათვის.

კარგი სიტყვის მოსმენას რა სჯობს, მეტადრე ასეთ ადგილას.

მინდა გითხრათ, კე დ' ორსეს რეზიდენციასთან სულ სხვადასხვაგვარი მოგონებანი მაკავშირებს, სერიოზულიც და კურიოზულიც. ერთხელ აქ მოლაპარაკების დროს, გიგანტური ლარნაკი წაიქცა და მე და ბატონი როლან დიუმა ყვავილების წვიმაში მოგვაყოლა.

ვიფიქრე, ავანსი თუა-მეთქი ახალი ევროპის მომავალი ქარტიისათვის.

შემცდარვარ: ეს იყო გაფრთხილება, მითითება, ზეგარდმო ნიშანი.

ყოველი დიადი პროექტისათვის საზღაურიც დიდი უნდა გაიღო, ზოგჯერ ეს საზღაური დიდზე დიდია. ძვირად უჯდებათ ადამიანებსაც და ქვეყნებსაც. ერთიანი ევროპის სასიკეთოდ ღვწისათვის მე მარტოოდენ ყვავილები როდი მიმიღია. გაჭირვება და ტანჯვა-ვაება გადაიტანა ჩემმა ქვეყანამ, ჩემმა ხალხმა ჩემთან ერთად.

უკანასკნელი ხუთი წლის უმძიმეს წუთებში ჩვენ არაერთგზის გვიხმია საშველად საქართველოს ევროპელი მეგობრები, მათ შორის — საფრანგეთიც. სამართალი უნდა აღდგეს, გვითქვამს საკუთარი თავისთვის, ისტორიის შეცდომები — უნდა გამოსწორდეს.

თვალწინ კი სხვა მაგალითები გვედგა. 1714 წლის აპრილი. ვერსალში ფეხი შემოდგა საქართველოს მეფის ვახტანგ VI-ის დესპანმა, მისმა აღმზრდელმა, ჩვენმა ქართველმა ლაფონტენმა, ლექსიკოგრაფმა და დიპლომატმა სულხან-საბა ორბელიანმა.

— დიდო მეფეო, — მიეახლა ლუი XIV-ს, — თქვენი სახელმწიფო გახდა მემწე მეფეებისა და მფარველი სარწმუნოებისა, ისეთ შორეულ მხარეებშიც კი, როგორიც არის ჩვენი ქვეყანა...

ეს ქათინაური ორ წინადადებას გულისხმობდა.

პირველი: სთავაზობდა საფრანგეთს სატრანზიტო საქარავნო გზას საქართველოს გავლით, „ყველაზე მოსახერხებელსა და მსუბუქს", როგორც იმხანად წერდა ფრანგი მისიონერი რიშარი.

მეორე: საქართველო — უძველესი ქრისტიანული მართლმადიდებლობის ქვეყანა — კარს უღებდა კათოლიციზმის გავრცელებას.

„საქართველო, მისი მშვიდობიანობა და თანხმობა, მისი უშიშროება ერთ მესად ღირს" — ისტორიული პარაფრაზი ანრი ნავარელის განთქმული აფორიზმისა — „პარიზი მესად ღირსო".

ორბელიანის ვიზიტმა ვერ დაიფარა საქართველო მისი ისტორიის ბართლომეს ღამეებისაგან. იმ ეპოქაში საფრანგეთმა ვერ მიიღო საქართველოს წინადადება და ვერ გადმოლახა ნაბიჯი მის შესახვედრად.

საუბარი ქათინაურების თავაზიანი გაცვლით შემოიფარგლა. მზე-მეფემ თავისი ასაკოვნება დაიჩივლა.

— თქვენი უდიდებულესობა ისე ღირსეულად ატარებს ამ ასაკს, რომ ყოველი კაცი ინდომებდაო მის ტარებას, — მიუგო სულხან-საბამ.

ეს პასუხი დიპლომატიის სახელმძღვანელოში შევიდა, მაგრამ საქართველოს სვე-ბედი ვერ შემოაბრუნა.

მე გამახსენდა ეს ისტორია, როდესაც საფრანგეთის ინიციატივით შეიქმნა არაფორმალური გაერთიანება „საქართველოს მეგობრების" ჯგუფი. მე მახსენდებოდა ეს ამბავი ყოველთვის, როდესაც თქვენი ქვეყნისა და ევროპის კავშირიდან მხსნელი იმპულსი მოგვდიოდა. მე მახსოვდა იგი, ბატონო მინისტრო, როდესაც შარშან, შემოდგომაზე თქვენ ჩამობრძანდით ამიერკავკასიის სახელმწიფოებში და მათ შორის — ჩვენს ქვეყანაში.

არავითარი ანალოგია მზემეფესთან და სულხან-საბა ორბელიანთან. არავითარი, გარდა ერთისა: საფრანგეთმა ინტერესით გამოიხედა ჩვენსკენ და საქართველო არ შეიძლება არ მისალმებოდა ამ მზერას.

სხვათა შორის, თქვენ შესანიშნავ კვალს გამოყევით. ბევრი თქვენი სახელოვანი თანამემამულე ჩამოსულა საქართველოში და ყოველ მათგანს დაუტოვებია ესა თუ ის კვალი.

ჟან შარდენის შემდეგ დაგვრჩა ნახატები და აღწერილობა.

ტურნეფორის შემდეგ — გეგმები და ნახატები.

ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს შემდეგ — წიგნი.

შევალიე დე გამბას შემდეგ — სანიმუშო ფერმა.

აშილ მიურატის, ნაპოლეონის მარშლის შვილიშვილის, ქართველთა სიძის შემდეგ — საფრანგეთის ისტორიის რელიქვიები.

ამ ღირსეულ ადამიანთა მიერ საქართველოში დატოვებულ კვალზე მინდა ვისაუბრო სენატში და მთავარი ყურადღება მივაპყრო ასეთ აზრს:

— კვალი, რომელიც საქართველოში დატოვა საფრანგეთის საგარეო ურთიერთობის მინისტრის ბატონ ერვე დე შარეტის ვიზიტმა, უნდა გარდაიქმნას საქართველო-საფრანგეთის ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ფართო ორმხრივ მაგისტრალად.

ყველა და ყველაფერი განგვაწყობს საამისოდ — ისიც კი, თქვენ რომ ბრძანეთ თბილისიდან დაბრუნებისას: ფრანგებს ბევრი რამ აქვთ ქართველებთან საერთო, მაგალითად, ღვინის სიყვარული.

ამ გახსენებაზე მინდა გაგაცნოთ ერთი დოკუმენტი: „ბატონ ალექსანდრე დიუმას პატივსაცემად გამართულ სადილზე მან ქართველებზე მეტი ღვინო დალია" — ეს ცნობა, რომელიც „სამი მუშკეტერის" ავტორს მიეცა, მისი თქმით, თბილისში, 1858 წლის 28 ნოემბერს, სულაც არ ბღალავს ჩვენს ეროვნულ ღირსებას. დიუმა-მამას უპრეცედენტო ფანტაზიის გათვალისწინებითაც კი იგი ისე მიმზიდველად ჟღერს, რომ მზად ვარ, ეპიგრაფად წარვუმძღვარო ჩემს საპასუხო სადღეგრძელოს:

— გაუმარჯოს საფრანგეთს, ჩემი სამშობლოს მეგობართა ქვეყანას.

— გამარჯვებას ვუსურვებ მის პრეზიდენტსა და მთავრობას.

— ვადღეგრძელებ ჩვენს გულუხვ სტუმართმოყვარე მასპინძელს და მის მეუღლეს.

— დღეგრძელობას გისურვებთ, ბატონო მინისტრო.

— ბედნიერება და სიკეთე ნუ მოგვკლებოდეთ ნურავის.

საქართველოს რესპუბლიკა

№23. ოთხშაბათი, 5 თებერვალი, 1997 წელი.



# ქალი პარლამენტში

**— როცა მოქალაქეთა კავშირი ჩამოყალიბდა, რესპუბლიკური პარტიის წევრი ვიყავი, უკვე აღარ ვეთანხმებოდი ამ პარტიის საქმიანობას და ამიტომ შევედი მოქალაქეთა კავშირში.**

**ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო, როდესაც ბატონმა ზურაბ ჟვანიამ ადამიანთა უფლებების დაცვის ჯგუფის ჩამოყალიბება და მოქალაქეთა კავშირში თანამოაზრეთა შეკრება შემომთავაზა. იმ დროს პირველი გამოვედი საჯაროდ იგორ გიორგაძის და მხედრიონის წინააღმდეგ და დავასახელე პიროვნებები, ვინც ადამიანის უფლებებს არღვევდნენ. ყარყარაშვილსაც მე ვუთხარი, რომ უნდა გადამდგარიყო. — ასე დაიწყო ჩემთან საუბარი ქალბატონმა ელენე თევდორაძემ.**

— როგორც კი ეს სფერო დამევალა, მართალი გითხრათ, ცოტა დავიბენი, მაგრამ მაშინვე შევხვდი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, ესენი იყვნენ პატიმართა უფლებების დაცვის ასოციაცია, წამების წინააღმდეგ ბრძოლის ასოციაცია... ბევრის პოზიცია მისაღები არ იყო, ძალიან პოლიტიზირებულნი იყვნენ, მე ვთვლი, ადამიანის უფლებას როცა იცავ, ყოველგვარი პარტიისა და პოლიტიკის გარეთ უნდა იდგე. ისევ ბატონ ზურაბ ჟვანიას რჩევით შევხვდი საზოგადოება „ვერტიკის“ წარმომადგენლებს. პირველად მაშინ შევიტყვე, რომ ჩვენს ციხეებსა და კოლონიებში უმძიმესი მდგომარეობაა და ეს საზღვარგარეთ დიდ გამოხმაურებას იწვევს. ციხეში და კოლონიაში რაც ვნახე, ენით აუწერელია. იმდენად შევშფოთდი, რომ ორი კვირა გაოგნებული ვიყავი... მაშინ გადავწყვიტე, ამ საქმისათვის სერიოზულად მიმეხედა.

ერთი წელი ასე ვიმუშავე. ეს იყო, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი დატვირთვა, მაგრამ ის ჩემს ძირითად საქმიანობად იქცა. ძალიან კარგი და დიდი შედეგები გვქონდა. რაც შეეხება დეპუტატობას, ამაზე არასოდეს მიოცნებია, რადგან უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა მქონდა ყოველთვის და ვფიქრობდი, კანონშემოქმედებას თავს ვერ გავართმევდი. საარჩევნო პერიოდში სააგიტაციო საქმიანობაში მონაწილეობა არ მიმიღია, სიაში 75-ე ვიყავი. როცა დეპუტატი გავხდი, მაშინ მე თვითონ ვთხოვე ბატონ ზურაბს, ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხზე ვიმუშავებ-მეთქი, რომ მართლაც კონკრეტული საქმეები მეკეთებინა, ხელი შემეწყო სისტემის რეფორმებისათვის, თორემ რა გამოვიდა, პენიტენციალური სისტემა ძველსაც ძველ, საბჭოთა წყობილების დროინდელ კოდექსებზე მუშაობს და ძალიან ხშირად კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში მოდის.

*— თვითონ ვარ დღეს ამის მოწმე, რომ თქვენ ერთი წუთით არ გცალიათ, ძალიან ბევრი გაჭირვებული გაკითხავთ...*

— უამრავი განცხადება შემოდის. დღე ისე არ ღამდება, სულ მცირე 15-20 ადამიანს არ მოვუსმინო. ამას ტელეფონით გადაწყვეტილი საკითხებიც ემატება.

დღეს პარლამენტს რომ ასე ბევრი ადამიანი სთხოვს დახმარებას, ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ სახალხო დამცველი ჯერჯერობით არა გვყავს. პატიმრების პატრონების გარდა, ჩემთან სხვა საკითხებზეც მოდიან, მაგალითად, ისინი, ვინც სამსახურიდან უკანონოდ დაითხოვეს, მრავალშვილიანი დედები. მე იმდენად მეცოდება ჩემი ხალხი, რომ მიღებაზე არავის არ ვეუბნები უარს და შეძლებისდაგვარად ვეხმარები. სამი ადამიანის სამსახურის პრობლემა გადავწყვიტე. მართლაც უკანონოდ იყვნენ გათავისუფლებულნი, მრავალშვილიანებს დავეხმარე. თენგიზ გაზდელიანმა კიდეც მითხრა: ერთი გული რამდენს იტევსო. რა ვქნა?

ძალიან ბევრი შვილმოკლული დედა მაკითხავს, ვისი შვილების მკვლელებიც უსამართლობით დაუსჯელნი გარეთ დაპარპაშებენ. ეს კატეგორია ყველაზე ძალიან მაღიზიანებს და ყველანაირად ვეხმარები. ხშირად მაკითხავენ პატიმრის პატრონები, ზოგჯერ იგივე მეორდება სახლშიც. მთხოვენ, მათი პატიმარი არ აწამონ, ფიზიკური ზეწოლა არ მოახდინონ, დიდხანს არ დააკავონ წინასწარი პატიმრობის საკანში.

მეხანძრესავით ვარ, არც ერთი წუთი არ უნდა დავაყოვნო, თორემ მერე საქმეს აღარ ეშველება. თუ პატიმარი თბილისშია, თვითონ მივდივარ, ვაკითხავ, თუ რაიონში, მაშინვე ვუკავშირდები რაიონის შესაბამის სამსახურს, მათ უკვე იციან, რომ ეს საქმე კონტროლზეა აყვანილი და ცდილობენ, უფრო სამართლიანები იყვნენ.

ხუთშაბათობით საგამომძიებლო იზოლატორში დავდივარ. ვხვდები პატიმრებს, თუ საშუალება მაქვს, იქვე, ადგილზე ვეხმარები, ან ვინიშნავ და შემდგომ ვცდილობ ყველაფერი კანონიერად მოვაგვარო.

*— წინასწარი გამოძიების იზოლატორში დაკავებულებს ძირითადად რა პრეტენზიები აქვთ?*

— სამწუხაროდ, ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანები თვეობით კი არა, ზოგჯერ წლობით ელოდებიან სასამართლოს, გამოძიება დიდი ხნის დამთავრებულია, და ასე უკანონოდ ზის კაცი ციხეში, დარბიან მისიანები, მაგრამ სამართალს ვერ პოულობენ, ანდა ფული არა აქვთ, რომ გადაიხადონ და...

მაგალითად, პატიმარი ბეთაშვილი ხუთი წელიწადი ელოდა სასამართლოს, იური ავაკიანი 3 წელი. მე დავეხმარე და 2 კვირაში გადაწყდა მათი საკითხი, განაჩენი გამოუტანეს. ი. ავაკიანი ამასობაში, მძიმედ დაავადდა ტუბერკულიოზით, საწოლს არის მიჯაჭვული, მას მართალია, სასამართლომ მიუსაჯა, მაგრამ ასეთი პატიმარი გათავისუფლებას ექვემდებარება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იგი სხვებსაც დააავადებს, რადგან საპატიმროში მედპერსონალიც კი არ არის, მსგავს ავადმყოფს რომ მოუაროს. ასევე იყო ამირან ლულუნიშვილი, რომელიც დიაბეტიანი ავადმყოფია, მერე სეფსისიც დაემატა და სპეციალიზებულ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

თელავის ციხეში ზის ზ. სეხნიაშვილი, რომელიც დაკავების შემდეგ, ფიზიკური ზეწოლის გამო შეურაცხადი გახდა. აგერ უკვე ათი წელი გავიდა, კონტაქტში ვერ შედის ადამიანებთან, ის კი მაინც ციხეში ზის. დედამისი დადიოდა კარდაკარ, დახმარებას ითხოვდა, მაგრამ ამაოდ. სასამართლო მაინც ჭიანურდება, მე ველაპარაკე თელავის სასამართლოს თავმჯდომარეს, და, ალბათ, მას შესაბამის საავადმყოფოში გადაიყვანენ და გაათავისუფლებენ კიდეც.

ჩემი მიზანია, რომ დამნაშავეს დროზე მიუსაჯონ ან გაათავისუფლონ, რომ იგი პატიმრობაში თავს უკანონო პატიმრად არ გრძნობდეს.

უამრავი მსგავსი მაგალითის მოყვანა შემიძლია, მაგრამ ერთიც აუცილებლად მინდა აღვნიშნო. ეს გახლავთ გიორგი ბუთიკაშვილი, ძიების დროს რომ ვერაფერი დაუდასტურეს, ბოლოს საშინლად აწამეს. როგორღაც მოახერხა და სიგარეტის ქაღალდზე მომწერა წერილი, სადაც აღწერდა იმ საშინელებას, რაც მას გაუკეთეს.

მე იძულებული ვიყავი, პარლამენტში გამოვსულიყავი. იმ სადამოსვე გაათავისუფლეს ბუთიკაშვილი. სხვათაშორის, ასეთ ფაქტსაც ჰქონდა ადგილი: ერთი მსჯავრდებული, რომელიც ამნისტიით ჯერ კიდევ 2 წლის წინ უნდა გასულიყო ციხიდან, ისევ იჯდა და ჩვენ რომ არ ჩავრეულიყავით, ალბათ, კიდევ დიდხანს იქნებოდა ციხეში. მოსამართლემ ბოდიში მოიხადა, დამავიწყდა, მისი საქმისათვის არ გადამიხედიაო!

*— საზოგადოებამ ნაწილობრივ იცის ის, თუ რა უსამართლობას აქვს ზოგჯერ ადგილი ჩვენს სამართალდამცავ ორგანოებში, მაგრამ თვითმხილველის ნათქვამს უფრო დაეჯერება. როდის მოეღება ამ უსამართლობას ბოლო?*

— ახლა რომ დიდი ბრძოლაა გაჩაღებული კორუფციის წინააღმდეგ. მე ამ ბრძოლას სამართალდამცავი ორგანოებიდან და სასამართლოებიდან დავიწყებდი. ცოტა უხერხულიც კი არის, ამას რომ ვამბობ, მაგრამ არ შემიძლია სიმართლეს ვუღალატო. ისინი, ვისი მოვალეობაც კორუფციასთან ბრძოლაა, თვითონ ყველაზე კორუმპირებულები არიან. მაგანნი, როგორც კი წაიკითხავენ ამ წერილს, მაშინვე მისაყვედურებენ, უდანაშაულობის პრეზუმპციას არღვევო. შეგნებულად არავის არ ვასახელებ, ღრმად ჩაიხედონ თავიანთ გულში. მაღალი ღმერთი ყველაფერს ხედავს, ხალხმა ყველაფერი იცის.

ამბობენ, წერილის შეტანა 50 ლარი ღირს, ციხის საავადმყოფოში მოხვედრა 800 დოლარი, მიმაგრებაში გაყვანა 200 დოლარი და... ვინ მოსთვლის კიდევ, ისედაც გაუბედურებულ ადამიანებს, ოჯახებსაც უძარცვავენ და სულს ხდიან. სხვის უბედურებაზე, თუ ოდნავ მაინც სინდისი გაქვს, ხელს არ უნდა ითბობდე.

სასწრაფოდ სასამართლო ხელისუფლებისა და პენიტენციალური სისტემის რეფორმაა საჭირო. ვფიქრობ, თუ ჩვენ, ინტენსიურად არ დავიწყებთ კორუფციასთან ბრძოლას, მაშინ სულ დაგვეღუპება ის ახალგაზრდობა, რომლის იმედიც გვაქვს. ამაზეც ძალიან ბევრს ვფიქრობ და ვნერვიულობ.

*— რომელ ახალგაზრდებზე ბრძანებთ?*

— რუსთავის პირველი, მეორე და გეგუთის კოლონიები გავსებულია ახალგაზრდებით. მათ ათასნაირი დანაშაული აქვთ ჩადენილი: ყაჩაღობა, მკვლელობა, ქურდობა, ძალიან ბევრი იარაღის უკანონო ტარების გამო ზის, უამრავი მათგანი იბრძოდა სამაჩაბლოში, აფხაზეთში, თავის დროზე მართლა თავს სწირავდნენ საქართველოსთვის. არ მინდა, რომ ეს ახალგაზრდები დაიკარგონ. სადაც სასჯელს იხდიან, იქ არ არსებობს არავითარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. არავინ მათ სულიერ სიწმინდეზე არ ფიქრობს. მსჯავრდებულები არაფრით არ არიან დაკავებულნი. არავითარი სამუშაო იქ არ არის. პრაქტიკულად თავის თავთან მარტო რჩებიან და ვისაც ნებისყოფა არა აქვს, ისეთ სამყაროში ხვდება, საიდანაც გამოსვლა ძალიან ჭირს, ისინი უარეს დამნაშავეებად ყალიბდებიან.

დამეთანხმებით, მსოფლიოში არსად, არც ერთ ქვეყანაში, არ არის ციხე ან კოლონია, რომელიც აღზრდიდა ან გამოასწორებდა ახალგაზრდა დამნაშავეს.

ბევრს, ალბათ, აღიზიანებს პატიმრების ასე დაცვა, მაგრამ მინდა ერთხელ კიდევ შევახსენოთ საყოველთაო ჭეშმარიტება, რომ საზოგადოება იმითაც ფასდება, თუ როგორ ექცევა პატიმრებს.

მე რუსთავისა და გეგუთის კოლონიებზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ იქ პირველად ნასამართლევი ადამიანები არიან და მათი შველა ჯერ კიდევ შეიძლება.

*— ქალბატონო ელენე, მე ყველაზე უფრო არასრულწლოვანთა ბედი მაღელვებს, ქუჩაში გამოსული ბავშვები, დამნაშავედ რომ ყალიბდებიან.*

— გულახდილად უნდა გითხრათ, შემაშფოთა მათთან შეხვედრამ. არასრულწლოვანთა კოლონიაში ძალიან ცოტა თუ ინანიებს თავის დანაშაულს. ერთი კი გასათვალისწინებელია, იქ ჯერჯერობით ქურდული სამყარო არა აქვთ. მისი ჩამოყალიბების მიდრეკილება კი არის და აი, სწორედაც აქ გვმართებს სიფხიზლე. ვფიქრობ, არასრულწლოვანებისთვის ხშირად უნდა იყოს ალტერნატიული სასჯელი. თორემ რა გამოდის, ნამდვილი ქურდი და ის ბავშვი, ვინც იმიტომ იქურდა, რომ ავადმყოფი დედისთვის წამალი ან პური ეყიდა, ერთად სხედან საკანში. ხშირად მიფიქრია, ხომ არ დავანებო დიდ პატიმრებს თავი და ბავშვებს მივხედო-მეთქი!

*— თქვენ უამრავი ადამიანის ბედი გაღელვებთ. ეხმარებით სამართლიანობის აღდგენაში. ძალიან დაკავებული ბრძანდებით, მაგრამ თქვენი ძირითადი საქმე ხომ მაინც კანონშემოქმედებაა, ამისათვის როდისღა იცლით?*

— მე შეწყალების კომისიაშიც ვმუშაობ, ამჯერად ათი შვილის მამას მინდა დავეხმარო, რომელსაც 5 არასრულწლოვანი შვილი ჰყავს, ქურდობისთვის ზის. ის რომ არ გამოვიდეს, ამ ბავშვებს რა ეშველებათ?!

ვერასოდეს დავეხმარები ადამიანს, თუ ის ამას არ იმსახურებს.

იმედი მაქვს, როგორც კი დაინიშნება სახალხო დამცველი, მე მთლიანად კანონშემოქმედებას მივხედავ.

ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების კომიტეტის პენიტენციალური რეფორმების და მსჯავრდებულთა საკითხების ქვეკომიტეტი რომ ბევრ საქმეს აკეთებს, ეს პირველ რიგში ჩემი ექსპერტ-კონსულტანტის გელა ნიკოლაიშვილის დამსახურებაა. იგი ძალიან მეხმარება.

*— ამბობენ, ციხე — ეს არის სახელმწიფო სახელმწიფოში...*

— დიახ, და ის არის ჩვენი სახელმწიფოს ანარეკლი. კოლონიებში ცოტა უკეთესობისაკენ დაიძრა საქმე. ეს საქართველოში სასიკეთოდ დაძრული საერთო საქმის ანარეკლია.

ჩვენი სახელმწიფოს დიდი დახმარებაა ის, რომ ბიუჯეტიდან პატიმარს თვეში 23 ლარი ეძლევა კვებაზე. ეს მაშინ, როცა ქვეყანას ჯერ კიდევ უჭირს. ზოგ ადგილებში პატარ-პატარა რემონტებიც გაკეთდა, ზოგან სახურავი გამოცვალეს, ზოგან კანალიზაცია გაკეთდა. თბილისში არასრულწლოვანთა კოლონიაში და საგარეჯოში განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა ციხის ახალი შენობები აშენდა. პრეზიდენტმა რომ მორატორიუმი გამოაცხადა სიკვდილის დასჯის სისრულეში მოყვანაზე, მე ვთვლი, ეს ძალიან კარგი მაგალითია იმისა, რომ მართლაც მივდივართ დემოკრატიისაკენ, თუმცა, ძალიან მძიმედ, ძალიან ნელა, მაგრამ მაინც წინ მივდივართ. გასაკეთებელი კვლავ ბევრია.

*— იმდენად გაითავისეთ ეს საქმე, ისეთი აქტიური ცხოვრებით ცხოვრობთ, არ გიფიქრიათ, დეპუტატობის ვადა რომ გავა, რა უნდა აკეთოთ?*

— სწორედ ამიტომ ჩამოვაყალიბე არასამთავრობო ორგანიზაცია „ციხის რეფორმა“.

*— მიზანი?*

— პატიმრების რეაბილიტაცია და მათი სოციალური ადაპტაცია გახლავთ. კოლონიებში ვატარებთ კონსულტაციებს. ხშირად ღია ცის ქვეშ 800 პატიმარი იკრიბება. ნეტავი გაჩვენათ, როგორ გვისმენენ. ჩემთან ერთად არიან იურისტები, ეკონომისტები, ფსიქოლოგები და ახსნა-განმარტებით საუბრებს ვატარებთ, ვაცნობთ იმ კანონებს, რომლებსაც პარლამენტში ვღებულობთ. ეს ძალიან საჭიროა, რადგან ხვალ ან ზეგ პატიმარი ციხიდან გამოვა და ჩემი სურვილია, ისინი წინასწარ მოვამზადო იმ სიახლეებისათვის, რაც გარეთ დახვდებათ.

ჩვენმა ორგანიზაციამ იტვირთა, აგრეთვე, ყოფილი პატიმრების სამსახურში მოწყობაც. ეს ჯერ კიდევ კომუნისტების დროს იყო ძნელი, მითუმეტეს, რთულია ახლა, როცა სამუშაოს ასეთი დეფიციტია. მაგრამ მაინც ვახერხებთ. ზოგიერთ მსხვილ ბიზნესმენთან და შრომის ბიუროსთან ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული, ჩვენ შუამავლის როლი გვაკისრია და ციხიდან გამოსულებს ვეხმარებით სამსახურის მოძებნაში.

მე ვერაფრით ლიცეუმს ვერ მივატოვებ. მედიკო-ბიოლოგიური ლიცეუმი ხომ ჩემი დაარსებულია. შარშან უკვე გვქონდა პირველი გამოშვება. მეამაყება, ისეთი კარგი ცელა იყო.



## ელენე თევდორაძე:
# ვერასოდეს დავეხმარები ადამიანს, თუ ის მართალი არ არის
## ანუ 1200 დანთებული სანთელი

ელენე თევდორაძე პედაგოგი გახლავთ. გერმანული ენის სპეციალისტი, 30 წელიწადი იმუშავა სკოლაში. რიგითი მასწავლებლობიდან დაიწყო, გახდა დირექტორის მოადგილე, მერე დირექტორი. ერთხანს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მეთოდური კაბინეტის გამგედაც იმუშავა. შემდეგ ლიცეუმის დირექტორი იყო.

დავამთავრე წერა და ვფიქრობდი, კიდევ რამდენი რამ მქონდა სათქმელი. მე ისიც არ მითქვამს, როგორ ამაყობს თავისი ვაჟიშვილით (კოტე თევდორაძე — მოქალაქეთა კავშირის გენერალური მდივნის თანაშემწეა), თავისი რძლით და ორი შვილიშვილით.

არაფრით არ მეგონა, თუ იგი იურისტი არ იყო — მისი გამოსვლები ხომ ყოველთვის კანონების უმაღლესი ცოდნით გამოირჩევა. ადრე რომ მეგონებოდა, აღარ გამიკვირდებოდა, ერთმა მადლიერმა ქალბატონმა კარები როგორ შეუღო და დაუჩოქა მადლობის სათქმელად... მეც შევუერთდებოდი შობა დღეს იმ 1200 პატიმარს, რომლებმაც რუსთავის კოლონიის ეკლესიაში ქალბატონ ელენე თევდორაძის სახელზე სანთლები დაანთეს.

ვუსმენდი, ვუყურებდი როგორ საქმიანობდა და დავრწმუნდი, ეს ის ქალბატონია, რომელიც დღეს ასე სჭირდება ჩვენს ქვეყანას.

**მარადი ანასაშვილი.**

## აფხაზეთი - ტკივილი ჩვენი

# საქართველოში ჩეჩენთა ბრძოლა იყო დიდი შეცდომა და დანაშაული!

— განაცხადა 30 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს პარლამენტის წევრმა, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, საქართველოს მწვანეთა პარტიის სპიკერმა გიორგი გაჩეჩილაძემ. იგი, როგორც საქართველოს მწვანეთა პარტიის სპიკერი და პარტიის რამდენიმე წევრი ოფიციალურ მეთვალყურეებად იყვნენ მიწვეული ჩეჩნეთში გამართული პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნებში. პრესკონფერენციაც სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა.

გიორგი გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ ჩეჩნები განსაკუთრებით თბილ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ საქართველოდან წარგზავნილთა მიმართ, და არა მხოლოდ ჩეჩნეთის ოფიციალური წრეები, არამედ რიგითი მოქალაქეებიც.

ჩეჩნეთში გამართულ არჩევნებთან დაკავშირებით გიორგი გაჩეჩილაძემ განაცხადა, რომ ეს იყო მართლაც ობიექტური, მაღალ დონეზე ჩატარებული არჩევნები, აქ გამოიყენეს ხელსაწყოები რომლებიც გამორიცხავდა ორმაგი ხმის მიცემას და ასეთი ფაქტი არც დაფიქსირებულა.

გიორგი გაჩეჩილაძემ ილაპარაკა პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატთან ვალერი უდუგოვთან — ე. წ. ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის იდეოლოგთან და ნაციონალური პარტიის თავმჯდომარესთან რუსლან კუტაევთან შეხვედრებზე. ეს უკანასკნელი ასლან მასხადოვის მარჯვენა ხელია და ლომის წილი მიუძღვის პრეზიდენტის არჩევნებში მის გამარჯვებაში. ამდენად, რუსლან კუტაევის აზრი ჩეჩნეთ-საქართველოს მომავალ ურთიერთობაზე ანგარიშგასაწევი უნდა იყოს. მისი აზრით, თანამეგობრობის ქვეყნებიდან ჩეჩნეთს უპირველესად სამი სტრატეგიული პარტნიორი ეყოლება — უკრაინა, საქართველო, ყაზახეთი. საუბრებში მრავალგზის გაიჟღერა საქართველოსთან დამაკავშირებელი გზის საკითხმა. თუ მისი გაყვანა მოხერხდა, ეს გზა რეალურად იქნება ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის გარანტი.

საუბარში რუსლან კუტაევმა თვითონ წამოჭრა აფხაზეთის საკითხი და აღნიშნა, რომ ზოგიერთი ჩეჩენის ქმედება აფხაზეთში იყო დანაშაული და დიდი შეცდომა. არაერთგზის გავაფრთხილეთ ბასაევი, მონაწილეობა არ მიეღო აფხაზეთის ომში, რაც მან ყურად არ იღო, თუმცა დღეს მონანია კიდეც. კუტაევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფხაზეთის ომში ჩეჩნების მონაწილეობა ჩეჩნეთის არც მაშინდელი ხელისუფლების პოზიცია იყო და არც ახლანდელისა, და რომ საქართველო და ჩეჩნეთი სტრატეგიული პარტნიორები უნდა იყვნენ.

რაც შეეხება დე-იურედ აღიარებას, ისინი ამას ჯერჯერობით არ მოითხოვენ და მიაჩნიათ, რომ ეს უფრო მომავლის საკითხია. როგორც ამბობენ, ჩეჩნეთის ახალი პრეზიდენტი ასლან მასხადოვი ის პიროვნებაა, რომელსაც შეუძლია ჩეჩნეთს სტაბილურობა მოუტანოს.

გიორგი გაჩეჩილაძეს მიაჩნია, რომ პირველი ნაბიჯები ჩეჩნეთთან ურთიერთობაში ძირითადად ეკონომიკური ხასიათის უნდა იყოს. შესაძლებელია ურთიერთობა კულტურის სფეროშიც დამყარდეს.

და ბოლოს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: აფხაზები არასოდეს დაეხმარებიან ჩეჩნებს მათი მენტალიტეტიდან გამომდინარე, უთქვამს ქართველ პარლამენტართან საუბარში ჩეჩნეთის ერთ-ერთ საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირს. მისივე თქმით, ჩეჩნები არ აღიარებენ აფხაზებს ერთიანი კავკასიური სახლის წევრებად. ჩეჩნეთის განცხადება კი, განსაკუთრებით ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე, საერთოდ, ტონის მიმცემია, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიაში.

**ნინო თათრულაიძე,**
საქინფორმის კორ.

# ორჯერ წაგებული ომი აფხაზეთში, მისი დამოუკიდებლობის ცნობის ტოლფასი იქნება

— არ ვარ მომხრე, რომ სამშვიდობო ჯარები ისეთი ფორმით ასრულებდნენ მოვალეობას, როგორც ეს ხდება ამჟამად საქართველოში, მაგრამ არც იმის მომხრე ვარ, ეს ჯარები ისე გავიყვანოთ ქვეყნიდან, რომ არ გვქონდეს გააზრებული, თუ რა ფორმით უნდა მოხდეს მოსალოდნელი ვაკუუმის შევსება. არ შეიძლება გაუთვალისწინებელი ნაბიჯის გადადგმა, ვინაიდან ორჯერ წაგებული ომი აფხაზეთში, მისი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობის ტოლფასი იქნება, — ასეთი აზრისაა საქართველოს ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე, საპარლამენტო ფრაქცია „ამომრჩევლის“ თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი, რაც მან 30 იანვარს ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა.

## საპარლამენტო კომიტეტი და ბიუჯეტი
# ფული ყველას უნდა!

**საკომიტეტო მოსმენა საპარლამენტო მუშაობის აქტიური ფორმაა. ამ დღეებში განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტმა მორიგი სხდომა საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს მიუძღვნა, კომიტეტის დასახელებაში ჩამოთვლილ სფეროებზე „მიბმული“ დაწესებულებებისა თუ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა საკმაოდ მრავალრიცხოვანი აუდიტორია შეადგინეს. აქ იყვნენ ცნობილი სწავლულები, ხელოვანნი, სპორტსმენები, მეცნიერებაში, განათლებაში, კულტურასა თუ სპორტში არსებული საპატიო წოდებების მფლობელნი. ყველას ფიქრთა მპყრობელი კი საქართველოს წლიური ბიუჯეტი იყო.**

**რომან მიმინოშვილი** — კომიტეტის თავმჯდომარე:

— გასაგებია, რომ აქ ჩასმული თანხები მინიმალურადაც ვერ გვაკმაყოფილებს, მაგრამ ისიც ხომ გასაგებია — ქვეყანას მეტი არა აქვს და ჩვენ იმაზე უნდა ვიმსჯელოთ, თუ რამდენად არის შესაძლებელი, ჩვენი რეალური ვითარებიდან გამომდინარე, ბიუჯეტის გაუმჯობესება. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომელ დარგებს ვეკუთვნით: ბიუჯეტში რომ ვერაფერი შეგვაქვს და [illegible] იდან კი გამოგვაქვს... და მაინც, განათლება, მეცნიერება, კულტურა, მასობრივი ინფორმაცია, სპორტი — სწორედ ის დარგებია, რომელთა დაფინანსება აუცილებელზე აუცილებელია. და ეს უნდა გაითვალისწინონ საფინანსო ორგანოებმა...

ამონაწყვეტები გამომსვლელთა სიტყვებიდან:

**[illegible] ზოიძე** — განათლების მინისტრის მოადგილე:

— აუცილებელია განათლების რეგიონული სამმართველოების შექმნა; სამი რეგიონი გვყავს მხედველობაში — მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი. მათი დაფინანსება უნდა ჩაიდოს ცენტრალურ ბიუჯეტში, ეს დაახლოებით 50 ათასი ლარია. სამაჩაბლოს [illegible] ული სოფლების სკოლების კაპიტალური რემონტისათვის 300 ათასი ლარი გვჭირდება, 105 ათასი ლარი გვინდა ქართული დიასპორის სკოლების მიხედვით (საინგილო, მოსკოვი).

**ივერი ფრანგიშვილი** — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი:

— აკადემიაში ხელშეკრულებო სისტემაზე გადავედივართ. 2000 კანდიდატი, 600 დოქტორი, ახალგაზრდა მკვლევარები — სულ 3000 კაცამდე უნდა იყოს გრანტებით მოცული. ბიუჯეტში ჩადებული 1 მილიონი ლარი 2 მილიონამდე უნდა გავზარდოთ, როგორც ეს განზრახული იყო. ჩვენ უნდა მოგვეცეს საშუალება კონკურსის სახით დავაკმაყოფილოთ თანამშრომელთა საჭირო რაოდენობა.

**ნოდარ ამაღლობელი** — განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე:

— ქართული ენა თუ გვინდა შევინარჩუნოთ, განათლების რეგიონული სამმართველოები აუცილებელია. ფინანსისტებო, ნუ შეუკვეცავთ ფონდებს უმაღლეს სასწავლებლებს. იქაური მეცნიერება არის იმის საფუძველი, რომ ჩვენი განათლება მსოფლიო სტანდარტებს გაუტოლდეს. დაუჭირეთ მხარი გრანტულ სისტემას, 2 მილიონი ლარი — მხოლოდ მინიმალური მოთხოვნაა.

**მალხაზ ზაალიშვილი** — აკადემიკოსი:

— მეცნიერებათა აკადემიაში ტექნიკური პოტენციალიც მსოფლიო სტანდარტების დონეზეა, დანადგარები კი მწყობრიდან გამოსულია. ინტელექტუალურმა პოტენციალმა ტექნიკური უნდა აამაღლოს. ორივე პოტენციალი უთუოდ უნდა შევინარჩუნოთ.

**რამაზ ხუროძე** — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი:

— სულ ცალმხრივად ვსაუბრობთ მერამდენე სხდომაა. ფინანსთა მინისტრი ვერ მოვიყვანეთ (როგორც გამოირკვა, ბატონი დავით იაკობიძე იმ დღეს თურქ დელეგატებს ახლდა). მეორე თუ მესამე მომატება წავიდა ხელფასებისა და სასწავლო-დამხმარე პერსონალს ვერაფერი მოვუმატეთ. სპეცსამსახურებს იოლად ნუ შევეხებით და სამეწარმეო საქმიანობას ნუ მივაყენებთ ზიანს. ხელფასებიდან ხომ ვუქვითავთ მილებს, ჯილდოებიდან და პრემიებიდან რატომღა ვუქვითავთ? არც ერთ ქვეყანაში ეს არ ხდება!

**გიზო ჟორდანია** — თეატრისა და კინოს ინსტიტუტის რექტორი:

— აქედან რომ მივალ ინსტიტუტში, კედლები შეიძლება დაქცეული დამხვდეს. შენობა ნაპრალებად არის ქცეული. ზემო სართულზე აუდიტორიები დავკეტეთ. რუსთაველის თეატრში იგივე სურათია. მთაწმინდიდან ჩამომავალი კოლექტორი მარტო ჩვენს შენობებს კი არა, მთელ რუსთაველის გამზირს უქმნის საფრთხეს, განსაკუთრებით წვიმიან დღეებში, როცა შიგ წყალი მდინარესავით ჩამოდის. ახლო ხანში შესაკეთებელი სამუშაოები თუ არ დაიწყო, გამზირზე კიდევ ერთი სასტუმრო „თბილისი“ გვექნება. 1992-დან ამაზე ვლაპარაკობთ, 20 წერილია შედგენილი, 21 კომისიაა გამოყოფილი, 18 დასკვნაა დაწერილი. მშენებლობის მინისტრი მობრძანდა, დაგვათვალიერა, იქ მუშაობა აგვიკრძალეს, მაგრამ ჩვენ შენობიდან მაინც არ გამოვალთ — რადგან იქაურობას გაამაგრებენ, ააშენებენ და... „ლავკებს“ გააშენებენ...

**ლევან ჩიქვანაია** — პროფესორი, პარლამენტარი:

— ხაზინაზე, სპეცსახსრებზე ადრეც იყო ლაპარაკი — არაფერი არ იცვლება... ხაზინა დაწესებულებებს დაბრკოლების მეტს არაფერს უქმნის, თუ კონტროლისთვის არის მოწოდებული, კონტროლს ვერ ახორციელებს. სპეცსამსახურები სულის მოსათქმელი ფული იყო, მისი გაუქმება უმძიმესი ამოცანების წინაშე დაგვაყენებს; რაც რომ ფინანსდება, სამინისტრო მარტო თავისი შესაძლებლობებიდან არ უნდა გამოდიოდეს.

**რეზო ჩხეიძე** — სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ გენერალური დირექტორი:

— ჩვენ ვფიქრობთ, რომ პროექტი არ არის სწორად შედგენილი. მეცნიერების დასახმარებლად გადაგიდგიათ რაღაც ნაბიჯები, კულტურამ რა დაგიშავათ? ამ დარგში ბიუჯეტი ფინანსურად ცუდად არის გამოხატული და მკაცრად უნდა გადაიხედოს. კინოს 5 მილიონი ლარი ეკუთვნოდა, ამის ნახევარია ჩადებული, რა პრინციპით დაგვაკლეს თანხა, რა შევცოდეთ; ანდა, რასაც გვაძლევთ, როდის უნდა მივიღოთ, თუ ახლავე გვჭირდება?..

**ზურაბ ლომიძე** — ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი:

— ჩვენი თეატრი გადარჩა, ვაგრძელებთ არსებობას. კარგია, რომ დასი ხელფასს იღებს. ეგებ, ხეზონში ერთი სპექტაკლი მაინც დაიდგათ. ბზარები ჩვენს შენობასაც გაუჩნდა. ბიბლიოთეკებზე მინდა ვთქვა — ხალხი გაზეთებს, წიგნებს ველარ ყიდულობს, ბიბლიოთეკებს მიუბრუნდა, იქ მაინც რომ წაიკითხოს; ბიბლიოთეკები კი როგორ დახვდება, თუ არ დავაფინანსეთ?

**ნოდარ გურეშიძე** — საავტორო უფლებათა დაცვის სააგენტოს დირექტორი:

— ჩვენ მოწოდებული ვართ, საავტორო უფლებათა დაცვის საქმეში სახელმწიფო პოლიტიკა გავატაროთ. შარშან 2000 ლარი გვქონდა წელიწადში, წლეულს შესაბამის გრაფაში „ნული“ გვიზის. ეს მარტო ლიკვიდაციის ზღვარზე კი არ გვაყენებს, სახელმწიფო სტატუსსაც გვართმევს. ის 2000, როგორი მიზერულიც უნდა ყოფილიყო, გვეხმარებოდა საქვეყნო პოლიტიკა გაგვეტარებინა. გთხოვთ, ჩვენი მხრიდანაც გადახედოთ პროექტს...

**აპაკი ბრეგვაძე** — პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის კორპორაციის დირექტორი:

— ნოდარ გურეშიძემ, საბიუჯეტო ნუსხაში ვარ და „ნული“ ვეწერიაო, ჩვენი კორპორაცია სიაში საერთოდ არ არის. საქართველოში წიგნის გამოცემის საქმე სრულიად მიტოვებულია, ეს ცინიკური დამოკიდებულებაა. ჩვენ, „შუშანიკის წამებიდან“ თუ ავითვლით, წიგნის გამოცემის მხრივ ხომ 1500 წლის ისტორია მაინც გვაქვს? უწიგნოდ ხომ შეუძლებელია ყოველგვარი სახელმწიფო იდეოლოგია.

**გიგა ლორთქიფანიძე** — კულტურის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე:

— მათხოვრულ მდგომარეობაშია კულტურა. რას იზამ, დრო დადგა ასეთი, მაგრამ გამოუსწორებელ შეცდომებს ნუ დაეუშვებთ. სამ თეატრს (საოპერო, რუსთაველის, მარჯანიშვილის) მივეცით პრივილეგია, 2 მილიონ 90 ათასი ლარი ჩავუხსენით, დანარჩენ ექვსზე (მუსიკალური, გრიბოედოვის, მოზარდთა, მესხეთის, ცხინვალის, საინგილოს) 309 ათასი ლარია გამოყოფილი. ესენი გერები ხომ არ არიან?.. ჩემი უდიდესი თხოვნაა, 900 ათასამდე გავუზარდოთ, — 150 ათასი მაინც რომ შეხვდეს თითოეულს.

თელავის თეატრს 200-300 წლის ისტორია აქვს — ფაქტიურად დაიხურა თელავის თეატრი. კახეთის რვა რაიონმა ერთი თეატრი ვერ შეინახა.

ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო ორკესტრი უნდა გადავიდეს სახელმწიფო ბიუჯეტზე. ჯანსუღ კახიძეს უნდა ჰყავდეს საკუთარი ორკესტრი — იმხელა შემოქმედია, მაგრამ ეს სახელმწიფო ორკესტრის შევიწროებით არ უნდა მოხდეს.

ჩაიზე არ უთქვიათ ჩემთვის უცხოეთში, კარგი გაქვთო, ჩვენი გამოშვებული ფეხსაცმელი არ უქიათ და კოსტუმი — კულტურა გაქვთ გადასარევიო, გვითხრეს! ამიტომაც არის კულტურა ჩვენი გადასარჩენი.

**რამაზ საყვარელიძე** — მასობრივი ინფორმაციის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე:

— რა პოლიტიკაა ჩადებული ბიუჯეტში — ისევ ცაიტნოტში ვართ. პარლამენტი უნდა ატარებდეს ქვეყნის საბიუჯეტო პოლიტიკას და არა ფინანსთა სამინისტრო. მასმედიას, სხვა სფეროებთან შედარებით, უკეთესად აქვს საქმე, უფრო მეტი შეხედა დაფინანსება, ვიდრე შარშან. წიგნი მომგებიანი არ არის, მაგრამ აუცილებელია, იმიტომ, რომ უწიგნოდ ერის არსებობა არ შეიძლება.

თანხები უნდა გაეუზარდოთ შესაბამის უწყებებს — პოლიგრაფიის კორპორაციასა და საქინფორმს.

**რომან მიმინოშვილი:**

— გალახულივით ვზივარ, როგორც სხდომის ხელმძღვანელი. ჩემს უძლურებას, უსუსურობას მივსტირი. მივმართავ ჩვენს ფინანსისტებს, რომლებიც რა თქმა უნდა, ჩვენი მტრები არ არიან: არსებობს პრეზიდენტის პროგრამა, ის უნდა შესრულდეს!

... საკომიტეტო მოსმენაზე შეკრებილნი პირობითად ორ ნაწილად შეიძლებოდა გავეყო: ფინანსთა სამინისტროს ორი წარმომადგენელი და... ყველა დანარჩენი. ძალთა თანაფარდობა აშკარად უთანაბრო იყო, მაგრამ ის ორი — სოციალური სფეროს დაფინანსების სამმართველოს უფროსი თამარ ზაალიშვილი და საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსი არონ სოხაძე ღონიერი ახალგაზრდა სპეციალისტები აღმოჩნდნენ და ყოჩაღად „იგერიებდნენ“ ფინანსებს მოწყურებულთა შემოტევებს. ხაზინის დაცვაც კი სცადეს, რომელსაც უკანასკნელად ბატონი რომანი „დაესხა“ თავს: ყველა, ვინც ხაზინას „მიება“, დიდ საყვედურს გამოთქვამს, ან მორიგი ბიუროკრატიული მექანიზმი შეგვიქმნია, რომელიც ვერ მუშაობს. რა მოგვეცა ხაზინამ, საიდან რა ხორციელდება, რა კონტროლია — გამოიტანენ ფულს და არ დახარჯავენ? რატომ ამბობს ხაზინა ხშირად — ფული არა გვაქვსო? ბანკებს ხომ ჰქონდათ?..

**არონ სოხაძე:** — ჩვენ, რასაკვირველია, დიდ ფინანსურ სიძნელეებს განვიცდით. შარშან ცენტრალურ ბიუჯეტს 13 პროცენტი დააკლდა — 47 მილიონი ლარი. განათლება პრიორიტეტულ მიმართულებად არის მიჩნეული, მასზე 105 მილიონს დავხარჯავთ — ორჯერ მეტს, ვიდრე შარშან. პრეზიდენტმა ამ სფეროსთვის გაითვალისწინა 6 მილიონი ლარის დამატება. ქართული ენის სახელმწიფო პალატის საკითხი ვერ გავითვალისწინეთ ბიუჯეტში და კომიტეტს ვთხოვეთ დააყენოს ეს საკითხი.

ხაზინას რაც შეეხება, იგი სახელმწიფო სახსრების ხარჯვის ახალი მექანიზმია. ახალი საქმე ყოველთვის ძნელი ასათვისებელია. შეიძლება ხაზინის მეშვეობით სახსრების გამოყოფის სირთულეები აღარ გვქონდეს, მინდა ვუპასუხო ბატონ გიზო ჟორდანიას — კულტურის სამინისტროს ბიუჯეტში ჩადებულია სარემონტო ფული, პრივატიზაციის ფონდიდანაც გამოყოფილია გარკვეული თანხა. ასე რომ, ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს.

ასე დამთავრდა ის მოსმენა — ბჭობა — განსჯა.

ბიუჯეტის პროექტის განხილვა სხვა კომიტეტებშიც შედგა. ზოგიერთ მათგანს — კერძოდ, ეკონომიკური რეფორმებისა და პოლიტიკის კომიტეტში, დავით იაკობიძე ესწრებოდა და პრობლემურ საკითხებს დამაჯერებლად განმარტავდა.

ვნახოთ, მომავალ კვირას რას იტყვის პარლამენტი.

**თამაზ ეგანოიძე.**

გვერდი მოამზადა **სპარტაკ ძოგულიამ.**

საქართველოს რესპუბლიკა
№28. ოთხშაბათი, 5 თებერვალი 1997 წელი

ღირსება

# ეროვნულ საქმეთათვის თავდადებული

აკაკი დვალიშვილი იმ დროს გამოვიდა ასპარეზზე, როცა რუსთაველის თეატრში აუცილებელი გახდა ახლებური თეატრალური აზროვნება. იგი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც იგრძნო ცვლილებათა აუცილებლობა, რომანტიკულ თეატრში თავი იჩინა ცრუ პათოსმა, ნეოკლასიცისტურმა ტენდენციებმა, საჭირო გახდა უბრალო ადამიანურ ურთიერთობათა სიმართლით გამოხატვა, საჭირო იყო მეტი დამოუკიდებლობა და თავისუფლება რეპერტუარის ფორმირებაში, ანსამბლური, თანამედროვე თეატრის განახლება. ბრძოლა ადვილი არ იყო. მე მაშინ თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგედ ვმუშაობდი და ვიცი, ვინ რას წარმოადგენდა თეატრში. სიმართლე უნდა ითქვას. ბატონი აკაკის გარეშე თეატრში ვერავინ ფეხს ვერ დგამდა, ხშირად მის ზურგს იყვნენ ამოფარებულნი. ბატონი აკაკი გამოირჩეოდა პრინციპულობით, მაღალი ზნეობით, თანმიმდევრული, დაჟინებული სწრაფვით, რათა განეახლებინათ თეატრი. ფსიქოლოგიურ-რეალისტურ ძიებათა რთულ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ვიქტორ როზოვის „ხალისიანი მეგობრები“, გენო ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი“, ხოლო მიხეილ ჯაფარიძის „ჩვენებურები“ — საეტაპოს. თეატრის განახლებაში ბატონი აკაკის წვლილი ჯეროვნად არ არის დაფასებული. ეს ალბათ იმითაც აიხსნება, რომ იგი მალე გადავიდა სამინისტროში სამუშაოდ.

უნდა ითქვას, რომ ეს მოხდა იმ კონფლიქტური სიტუაციის შემდეგ, რომელიც „ჩვენებურების“ გამო შეიქმნა, მისი ახალგაზრდა რეჟისორი კი სახელმწიფო თანამდებობაზე დააწინაურეს — კულტურის მინისტრის მოადგილედ დანიშნეს.

მიხეილ ჯაფარიძის „ჩვენებურებს“ დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა. ატყდა ერთი აურზაური ზემდგომ ინსტანციებში. სპექტაკლი რამდენჯერმე გასინჯეს „დახურული“ ფორმით. არ უშვებდნენ. თეატრში გარკვეული ძალები ეხმარებოდნენ ცეკას, ებრძოდნენ სპექტაკლს. კარგად მახსოვს, ერთი მეელი მსახიობი ხმამაღლა ყვიროდა — პარტიის მანდატს დავტოვებ, თუ ამ სპექტაკლს გაუშვებენო. სპექტაკლი კი ადამიანურ სითბოზე, ჰუმანიზმზე, ქართველთა „ჭირსა შიგან გამაგრებაზე“ გველაპარაკებოდა. იმდენად დიდი იყო პარტიული იდეოლოგიური ზეწოლა და საზოგადოების ნაწილი ისე მოუმზადებელი ახლებური აზროვნებისათვის, რომ სპექტაკლის მაღალი ჰუმანიზმიც კი ვერ დაინახეს. მახსოვს, პიესაში ეკლესიის დარაჯი გეგელა (რომელსაც შესანიშნავად თამაშობდა ბ. კობახიძე) ამბობდა — რაიკომის მდივანმა მიხედოს სასაფლაოს, მასაც ხომ დასჭირდებაო. აი, ეს სიტყვებიც კი ამოიღო ცენზურამ. თითქოს რაიკომის მდივნები არ კვდებოდნენ. პარადოქსია? ალბათ, მაგრამ ასეთი იყო მაშინდელი რეალობა. სპექტაკლი ბიურომ გასინჯა. მახსოვს, თეატრის დირექტორის პ. კანდელაკის კაბინეტში ვ. მჟავანაძემ უშიშროების უფროსს ა. ინაურს ჰკითხა: რას ერჩიან სპექტაკლს? რა არის აქ ტყუილი? კითხვები პასუხსაც გულისხმობდა. ასე გადარჩა წარმოდგენა. მაშინ მე სხვისი გვარით გამოვაქვეყნე წერილი „ლიტერატურულ გაზეთში“. მის რედაქტორს გიორგი ნატროშვილს მოეწონა წარმოდგენა და წერილიც შემიკვეთა. ამ რთულ სიტუაციაში ბატონმა აკაკიმ გამოავლინა საოცარი პრინციპულობა, სიახლის გრძნობა, შემართება, რაც საფუძველი გახდა მისი დაწინაურებისა.

ერთი შეხედვით, მართლაც გულსატკენია, რომ ბატონი აკაკი ადრე ჩამოშორდა შემოქმედებას, მაგრამ ვის შეუძლია კატეგორიულად ამტკიცოს, რომ ის, რაც ბატონმა აკაკიმ „ჩინოვნიკობის“ წლებში გააკეთა ქართული კულტურისთვის, ნაკლები არის? კომუნისტური სისტემის კრიტიკის დროს, ზოგჯერ მავანთა და მავანთ ავიწყდებათ, რომ ბატონი აკაკის მსგავსმა ადამიანებმა ხალხის სამსახურად, სამოღვაწეო ასპარეზად აქციეს სახელმწიფო მოხელის თანამდებობა, მაშინ ეს უბრალო საქმე არ იყო. ბატონი აკაკი ნამდვილი მოღვაწე იყო. არ მახსოვს არც ერთი მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა, მას რომ მონაწილეობა არ მიეღო. თავისი პოზიციით ყოველთვის გამოირჩეოდა, როგორც მაღალზნეობრივი, გულწრფელი. ეროვნულ საქმეთათვის თავდადებული ადამიანი. მამულიშვილობის გრძნობა არ მოშორებია მთელი ცხოვრება. როცა კინოკომიტეტში მუშაობდა, ყველაფერი გააკეთა, რათა შეექმნა კინოს ახალი კადრების მოსამზადებელი პირობები. მან დიდი წვლილი დასდო კინოფაკულტეტის შექმნას. პიროვნული კეთილშობილება, ყველასადმი მზრუნველი დამოკიდებულება, უანგარობა, თავმდაბლობა, თანადგომის ნიჭი — ყველაფერი ეს აკაკი დვალიშვილის დამახასიათებელი თვისებებია. ამ თვისებათა გამო უყვართ და აფასებენ. მართლაც ღირსეული ადამიანია და ზუსტად შეესატყვისება მის კაცურ კაცობას ღირსების ორდენი.

**ვასილ კიკნაძე,**
აკადემიკოსი.

რეაქცია

# ზღვარი ფანტაზიასაც აქვს

(დასასრული)

*— ბატონო ანზორ, ალბათ, გაეცანით ამ პუბლიკაციას.*

— ამ პუბლიკაციაში მოყვანილი ფაქტები არ შეესაბამება რეალურ გარემოებებს. ჩემთვის წარმოუდგენელი, პირდაპირ გამაოგნებელია ის არაკომპეტენტურობა, რომელსაც ჟურნალისტი ამ პუბლიკაციაში ამჟღავნებს. ბატონი ავთანდილ მარგიანი ლოთი ქობალიასა და სხვათა საქმეზე (იგი უკვე განიხილა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ) და არც იმ სხვა სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებიც აღძრულია 1993 წელს დასავლეთ საქართველოში მომხდარ მოვლენებზე, არ დაკითხულა არც ჩემს და არც რომელიმე სხვა გამომძიებლის მიერ. ამდენად, ვერც სასამართლო გამოიყენებდა ავთანდილ მარგიანის თითქოსდა ამ მიცემულ ჩვენებას. ასეთი ჩვენება ბუნებაში, საერთოდ, არ არსებობს.

*— მაშ, რა დოკუმენტზეა ლაპარაკი? ალბათ, რაღაც მაინც არის, ავტორი მთლად პაერზეც არ დაწერდა ასეთ ბრალდებას...*

— პუბლიკაციაში მითითებულია ბატონ ავთანდილ მარგიანის მიერ ჩემს სახელზე გამოგზავნილი მომართვა, რომელიც დათარიღებულია 1995 წლის 3 ოქტომბრით. მე მას ნამდვილად ვთხოვე, — ეპასუხა თუ როდის, რა ვითარებაში შემოვიდნენ ქ. ფოთში ადმირალ ბალტინის სამხედრო მოსამსახურეები. ბატონმა ავთანდილ მარგიანმა პროკურატურაში გამოგზავნა მომართვა, სადაც მიუთითა: „1993 წლის ნოემბრის დასაწყისში ფოთის საზღვაო პორტში შემოვიდა შავი ზღვის ფლოტის რამდენიმე საბრძოლო ხომალდი“. მან აქვე მიუთითა, რომ ამ ხომალდების ეკიპაჟს არავითარი შეხება არ ჰქონიათ ექსპრეზიდენტის შეიარაღებულ ფორმირებებთან. ბატონ ავთანდილ მარგიანის მომართვა დართული აქვს ლოთი ქობალიასა და სხვათა საქმეს და იგი სათანადო წესით გამოიკვლია საქართველოს უზენაესმა სასამართლომ.

ვიმეორებ: გამოძიებას არ დაუკითხავს ბატონი ავთანდილ მარგიანი და „7 დღეში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში მოყვანილი გარემოებები ან წმინდა წყლის მონაჭორი, ან ავტორის ფანტაზიის შედეგია.

*— თქვენ ამბობთ, ეს წმინდა წყლის მონაჭორი ან ავტორის ფანტაზიის შედეგიაო. მაშ რისთვის დასჭირდათ ამ ჭორის მოგონება ან ფანტაზიის ფრთაშესხმა?*

— მინდა მოგახსენოთ, რომ ამ წერილს სულ სხვა დატვირთვა აქვს... მავანი და მავანი ცდილობს რეალურ ფაქტებში გაუთვითცნობიერებელ პირებს შეუქმნას აზრი, თითქოს საქართველოს ხელისუფლება ლოთი ქობალიასა და მის თანამზრახველებს ებრძოდა რუსეთის ჯარების მეშვეობით. ეს ტყუილია. წინასწარი ძიებითაც და სასამართლო განხილვითაც უტყუარად დადგინდა, რომ ადმირალ ბალტინის დაქვემდებარებაში მყოფი სამხედრო ტექნიკა და პირადი შემადგენლობა ფოთში შემოვიდა 1993 წლის 3 ნოემბერს. ისიც უცილობლად დადგინდა, რომ ლოთი ქობალიას შეიარაღებული ბანდები ქ. ფოთში შევიდნენ 1993 წლის 2 ოქტომბერს და ისინი იქიდან სამთავრობო ჯარებმა განდევნეს 26 ოქტომბერს. ასე რომ, რუსეთის ჯარებს აქ, ისევე როგორც მთელს საქართველოს ტერიტორიაზე, არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ ლოთი ქობალიას შეიარაღებული ბანდების განდევნაში.

*— ბატონო ანზორ, ჯერ ერთი, პუბლიკაციის სათაური ასეთია, — „ლოთი ქობალია: მოსამართლემ მარგიანის ჩვენება დამალა“. ესე იგი, თვით ქობალიამ თქვა, რომ მოსამართლემ მარგიანის ჩვენება დამალა. მეორეც, — ავტორი იქვე მიუთითებს: — „სიკვდილმისჯილ ქობალიას მტკიცებით“, სასამართლომ საქმის მოსმენისას არ წარმოადგინა ბატონ ავთანდილ მარგიანის ჩვენება. ესეც მეტყველებს იმაზე, რომ ეს სიტყვები თვით ლოთი ქობალიამ — სიკვდილმისჯილმა პატიმარმა თქვა, — უფრო სწორად, უთხრა ჟურნალისტს შეხვედრისას...*

— საიდან მიიღო ასეთი მონაცემები ჟურნალისტმა ლია ტოკლიკიშვილმა, — სრულიად გაურკვეველია. წინასწარი პატიმრობის იზოლატორის ხელმძღვანელობაც და თვით ლოთი ქობალიაც კატეგორიულად უარყოფენ ჟურნალისტ ლია ტოკლიკიშვილთან შეხვედრის ფაქტს. სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ზოგიერთები სენსაციურ პუბლიკაციებს აცხობენ სწორედ „სიკვდილმისჯილ პატიმრებთან გასაუბრებით“.

ესაუბრა
**ბონდო გულიაშვილი.**




იყიდება სამოთახიანი იზოლირებული, ინდივიდუალური პროექტის ბინა ქ. ხაშურში, ფასი 2 500 დოლარი. ან იცვლება ქ. თბილისში 1,5 ოთახზე. მსურველმა მიაკითხოს ქ. ხაშურში ჩაიკოვსკის ქ. № 1-ში (პატარა ბაზართან). აუთო.

ვაქირავებ ქალაქის ცენტრში, ლერმონტოვის ქუჩაზე 300 კვ. მ. ფართობის გარემონტებულ ნახევრადსარდაფს ტელეფონით ოფისისათვის, საწყობისათვის ან სხვა დანიშნულების ობიექტისათვის. დარეკეთ: 94-09-48, საღამოს საათებში.

იყიდება სამოთახიანი ბინა ვაკეში, ყიფშიძის ქუჩა № 8, 12-სართულიანი სახლის მე-6 სართულზე, საშუალო რემონტით, ტელეფონით, სარდაფით, გარაჟით ორი მანქანისათვის და გარაჟის ქვეშ სარდაფი 12 კვ. მ. ბინის საერთო ფართია 100 კვ. მ. ტელეფონი: 29-34-11.

იყიდება საკუთარი ბინა ბელეტაჟზე; სამი ოთახით, ლოჯიით, სამზარეულოთი და ტელეფონით. 55 კვ.მ. სათავსოებით. აქვს პატარა ბაღი, ხეხილით. მისამართი: ნაძალადევის რ-ნი, კ/თ. „საქართველოსთან“. საწყისი ფასი. 14 000 დოლარი. ტელ: 60-73-12. დარეკეთ საღამოს საათებში.

ქირავდება ქალაქის ცენტრში ერთი ოთახი თავისი სათავსოებით, მისამართი: მთაწმინდა, ყიფიანის 7. მე-3 სართული. მიქელაძე ეთერი. 93-52-07.

იყიდება, წყნარ და ეკოლოგიურად სუფთა ადგილას 2-სართულიანი სახლი, ეზოთი, ხეხილიანი ბაღით, ტელეფონით. I სართულზეა მარანი, სამზარეულო, დიდი დარბაზი, გარაჟი; II სართულზეა 7 ოთახი (ფართი 25X25X21X16X14X14X12) სამზარეულო, შესასვლელი, აბაზანა, ტუალეტი, პირსაბანი ცალ-ცალკე. ეზოში ცალკე სამეურნეო კაპიტალური ნაგებობა, რომელზეც შესაძლებელია დაშენება. ხინათლე და ცხელი წყალი მუდმივად არის. მისამართი: საქ. სამხედრო გზის მე-15 კმ (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის იქით, ავტონისპექციის ტიკთან), საბურთალოს რაიონი. გთხოვთ დარეკოთ: 34-55-27, ნანა ან ვალერი.

ქირავდება ერთოთახიანი, იზოლირებული ბინა მეტრო „პოლიტექნიკურთან“ ახლოს, ტელ.: 36-48-87.

ვყიდი ოროთახიან ბინას დიდი ლოჯიით, სარდაფით, მანქანის ადგილით, ვაჟა-ფშაველას მე-3 კვ. მე-10 კორ. ბინა 43, ტელ.: 31-56-97.

ვყიდი ერთოთახიან, ურემონტო ბინას გლდანულაში ან გლდანის მასივში. ტელ.: 93-10-83 ინგა, დღისით 68-43-59 საღამოს, მაია.

სასწრაფოდ იყიდება კერძო, კაპიტალური, ერთოთახიანი სახლი ბუხრით, 25 კვ. მ. ფართობით, სახლს აქვს მიშენებული რკინის კარკასი ერთი ოთახისათვის 15 კვ. მ. ფართობით, ეზოს ფართია 1000 კვ. მ. მისამართი: გურამიშვილის გამზირი, 70, ჩიხი № 10. მე-8 საავადმყოფოს ვაჭრების მოპირდაპირე მხარეს. ფასი 14000 დოლარი. მოგვაკითხეთ 12-დან 18სთ-მდე. ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა.

სასწრაფოდ იყიდება სამსართულიანი სახლი ელიავას ბაზართან, კარგად გარემონტებული, ეზოთი, გარაჟით, გამოდგება საოფისედ. ტელ: 95-74-63.

იყიდება კოსტავას ქუჩაზე, სპორტის სასახლესთან 7-ოთახიანი ბინა კარგად გარემონტებული. ტელ: 95-74-63.

ვყიდი ქავთარაძის ქ. № 25-ში ოროთახიან, კეთილმოწყობილ, გარემონტებულ ბინას მე-13 სართულზე. ფასი 25 000 დოლარი. ტელ: 30-44-11. მანანა.

ვაქირავებ ერთოთახიან იზოლირებულ ბინას დიღომში, პროსპექტზე, მეტროსთან ახლოს, ტელეფონით, ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 34-37-31.

იყიდება 4-ოთახიანი გარემონტებული ბინა ბახტრიონის ქუჩაზე. (20x14x13x9), ლოჯი 18 კვ.მ. მიშენება 38 კვ.მ. 9-სართულიანი სახლის მე-5 სართულზე სარდაფით, რკინის კარებით, წყლის გამაცხელებლით, საკაბელო ტელევიზიით. ფასი 57000 დოლარი. ტელეფონი: 37-75-41. 17 საათის შემდეგ.

იყიდება ხუთოთახიანი, არასტანდარტული პროექტის ახლადაშენებული ბინა ატენის ქუჩაზე, ვაკეში (დარჩენილია სამღებრო სამუშაოები). 18-სართულიანი კორპუსის მე-9 სართულზე. 220 კვ.მ. საერთო ფართით. საწყისი ფასია 120 000 დოლარი. ტელ: 99-72-18, 34-16-07, იკითხეთ ბიჭიკო.

ვყიდი შატბერაშვილის ქ. № 4-ში, ბინა 36, ქუჩიდან მაღალ ბელეტაჟზე, ეზოდან მე-2 სართულზე, არასტანდარტულ 3-ოთახიან ბინას, რომლის ფართობია 120 კვ.მ. ფასი შეთანხმებით. ტელ: 29-26-45.

იყიდება სამსართულიანი აგარაკი სოფელ გლდანის თავზე, რემონტით, საუნით, ეზოში აუზით, კაპიტალური გარაჟით, საკუთარი გათბობით. ფასი 12 000 დოლარი. ტელ: 95-30-47. ჯიმშერი.

იყიდება ვაკეში, ვაკის პარკთან, მოსაშვილის ქუჩაზე, 6-სართულიანი სახლის მესამე სართულზე 2,5 ოთახიანი ბინა ლოჯიითა და მისი გაფართოების პერსპექტივით (1 სართული უკვე მიშენებულია 22 კვ.მ.) ძველი რემონტით, რკინის კარებით, ტელეფონით, ავტომანქანის სადგომით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 22-30-13 (საღამოს საათებში).

ქირავდება საოფისედ ვაკეში ერთი ოთახი, რომლის ფართია 14 კვ.მ. და სარდაფი 12 კვ.მ. ფასი შეთანხმებით. ტელ: 22-65-15.

ქირავდება ვერაზე, ბარნოვის მე-2 შესახვევში ოროთახიანი ბინა, რომლის ფასია თვეში 150 დოლარი. წინასწარ სამი თვის გადახდით. ტელ: 36-49-12. თამაზი, ნელი.

იყიდება ოროთახიანი ბინა ვაშლიჯვარში ცხრასართულიანი სახლის მე-2 სართულზე. ბინაში მიმდინარეობს რემონტი, შესრულებულია შავი სამუშაოები, ფასი 12 000 დოლარი. ტელ: 95-06-03.

იყიდება, ან იცვლება ქალაქის ცენტრში, მეტრო „გოცირიძესთან“, (ყოფილი ღელისი) სახლი 10X14, პირველი სართული სქელი ბეტონისაა (სისქე 60 სმ. აგურის ტიხრებით), სარდაფით, ჭერის სიმაღლეა 2-60 სმ. მეორე სართული (თლილი ტუფითაა აშენებული, ტიხრები აგურისაა), ჭერის სიმაღლეა 3-50, 500 კვ.მ. ხეხილის ბაღით, მუდმივი ცხელი წყლით, საკუთარი ხიდით, ძირითადი სარემონტო მასალით, ლია აივნით, დაშენების პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 39-26-54. დღისით და საღამოს.

ვაქირავებ ერთოთახიან ბინას ვაჟა-ფშაველას გამზირის მე-6 კვარტალში, ხუთსართულიანი სახლის მე-2 სართულზე, ტელეფონით, ავეჯით, ტელევიზორით, მაცივრით. ფასი 100 დოლარი. ტელ.: 37-36-37, გიორგაძე.

სასწრაფოდ იყიდება ოროთახიანი, პერსპექტიული ბინა — ვაჟა-ფშაველას გამზირი 30, VI სადარბაზო IV სართული, ბინა — 87, სამედიცინო ინსტიტუტის მოპირდაპირე მხარეს. ვაჟა-ფშაველას მხრიდან აივანია. ეზოს მხრიდან (ყაზბეგის პროსპ.) 20 კვ. მ. ლოჯია. გარდა ამისა სახლს 36 კვ.მ. მიშენებარე კარკასები აქვს. ფასი 28 ათასი დოლარი. ტელ.: 29-26-77; 38-67-11.

იყიდება ოთხოთახიანი გადაკეთებული სამოთახიანად, გარემონტებული ბინა მაღალჭერიანი, აგურის ხუთსართულიანი სახლის IV სართულზე სამი აივნით. ოთახების ფართი 32x17x12. არის უზმარი შეფუთული ავეჯი — საძინებელი „ანტონინა“, სამზარეულო „ლილა“, მისამართი: შავი ზღვის ქუჩა № 10, მეტრო 300 არაგველებთან. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 68-01-29; 94-19-45; 23-02-46.

ვყიდი სამოთახიან სარემონტო ბინას წყნეთის ქუჩაზე, რვასართულიანი სახლის მე-7 სართულზე, ტელეფონით, სარდაფით, ფასი 26000 დოლარი. 23-12-21, 94-12-75, გაგი.

ვყიდი ოროთახიან იზოლირებულ, კეთილმოწყობილ ბინას ალმაშენებლის № 26-ში (ვარანცოვის მხარეს) ან ვაქირავებ 200 დოლარად. ტელ.: 96-34-31.

ვყიდი 5 ოთახიან, სარემონტო, სუფთა ბინას ალმაშენებლის № 26-ში, III სართულზე. ტელ.: 96-38-89.

ვყიდი თემქის მე-3 მ/რ-ში სამოთახიან, ლვოვის პროექტის ბინას. საბოლოო ფასი 6.500 დოლარი. ტელ.: 95-09-86.

ვაქირავებ სამოთახიანი ბინის ერთ ოთახს ქალისათვის. ბინა კეთილმოწყობილია ავეჯით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-63-30.

იყიდება აგარაკი ცხვარიჭამიაში კაპიტალური სახლით 7X7, ეზო 600 კვ. მ. ხეხილის ბაღით. ფასი 9500 ლარი. ტელ.: 68-97-51.

იყიდება მიწის ნაკვეთი ორსართულიანი სახლით მუხათწყაროში, თბილისთან სამ კილომეტრზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-90-87.

იყიდება ვაკეში ოთახნახევრიანი ბინა სარდაფით შვიდსართულიანი სახლის მე-5 სართულზე. ფასი შეთანხმებით, ტელ.: 22-09-83, ჟუჟუნა.

ვაქირავებ 100 კვ. მ. სარდაფს. მისამართი: ათონელის 31, თამარ ზანდუკელი. ტელ.: 99-08-15.

გირავდება ერთოთახიანი ბინა შუშაბანდით, ფართი 18 კვ. მ. ქალაქის ცენტრში, მეტრო მარჯანიშვილთან, გ. ჩიტაიას ქ. № 4-ში (ყოფილი საბჭოს ქუჩა) ტელ.: 95-74-60, გოგი.

სასწრაფოდ იყიდება 4-ოთახიანი ბინა ვერაზე, მაღალი ჭერით, 90 კვ. მ. ფართით. დიდი აივნით, სარდაფი 17 კვ. მ. კარგ მდგომარეობაში. ზანდუკელის ქუჩაზე, მეტრო რუსთაველის უკან. ფასი 60000 დოლარი.

იყიდება ან იცვლება ალაიანში (კასპის რ.) მიწის ნაკვეთი და სახლი ნახევრად აშენებული თბილისში ერთოთახიან ბინაზე. ტელ: 78-16-43 (ფერია).

იყიდება სამოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა, გლდანის 7 მ/რ, პირველ სართულზე, ბინას აქვს რკინის კარები. კარ-ფანჯრები გამოცვლილია, ფასი შეთანხმებით. ტელ: 93-68-11 (საღამოს 7 საათამდე).

იყიდება ერთოთახიანი სუფთა ბინა მეტრო სამედიცინო ინსტიტუტთან, რვასართულიანი აგურის სახლის მე-6 სართულზე, ლია აივნით, ტელეფონით, ფასი შეთანხმებით. 39-82-60.

იყიდება ერთოთახიანი სუფთა ბინა რვასართულიანი სახლის მე-6 სართულზე, კინო „საქართველოსთან“. ფასი 6000 დოლარი. 61-85-70.

იყიდება ოთხოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა საბურთალოზე, ანტონოვსკაიას ქუჩაზე (პაელოვზე, პურის ქარხნის უკან), მე-7 სართულზე, ტელეფონით, სარდაფით, მანქანის დასაყენებელი ადგილით. აქვს კაპიტალური მიშენება 80 კვ. მ. ფართის, მიშენებულია ვერანდის სახით. ბინის საერთო ფართი მიშენებიანად არის 190 კვ. მ. აბაზანა და ტუალეტი მოპირკეთებულია, ავეჯით და აქვს შემინული ჭერი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 39-36-47.

იყიდება ცხრასართულიანი სახლის მე-2 სართულზე შეერთებული ოთახნახევრიანი და ერთოთახიანი ბინები გადაკეთებული ოთხოთახად. რკინის კარებით, პარკეტით, რემონტით, აბაზანა და ტუალეტი მოპირკეთებულია კაფელით, ლია აივნით, სარდაფით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ფასი 15000 დოლარი. მისამართი: მოსკოვის პროსპექტი, 40 ა, ოთახი 5, ტელ: 71-46-20.

ვიქირავებ იზოლირებულ ბინას ავეჯით, სასურველია ტელეფონით, 90 ლარის ფარგლებში. ტელ: 38-31-00.

იყიდება ლვოვის პროექტის, 3-ოთახიანი, კუთხის ბინა მეტროს სადგურ „ვარკეთილთან“, ფეხით 5 წუთის სავალზე. უბანს ემსახურება სამარშრუტო ტაქსიც. ბინის ფასი 12 000 დოლარი. მისამართი: ვარკეთილის IV მკ/რ. 11 რიგი, V კორპუსი, VI სადარბაზო, VII სართული, ბინა 120. დარეკეთ 96-41-21, ნინო.

იყიდება 4-ოთახიანი ბინა, III სართულზე, გარაჟით, ტელეფონით, ბალანჩივაძის ქუჩაზე, საბურთალოში. ტელ: 36-78-76.

ვყიდი ერთოთახიან ბინას ლოჯიით, სათავსოთი, ტელეფონით, მიშენებული აქვს 42 მ². ფართი. მისამართი: დოლიძის ქ. კორპ. 9, II სად. ბინა 21. ტელ: 36-59-31, ეგუკლავა ლამარა.

იყიდება კერძო ორსართულიანი სახლი ეზოთ, ორი გარაჟით ნაძალადევის რაიონში. (გადასასვლელ ხიდთან). მის: ჩხიკვაძის ქ. № 9. ტელ: 95-16-09. დარეკეთ საღამოს საათებში. ფასი შეთანხმებით.

იყიდება ოროთახიანი, იზოლირებული, გარემონტებული, პარკეტიანი ბინა, აბაზანა და ტუალეტი ცალ-ცალკეა, დიდი სამზარეულოთი, სარდაფით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ჩუბინაშვილის ქ. № 12-ში (ყოფილი ორჯონიკიძის ქ.). ტელ: 95-37-97. ფასი შეთანხმებით. იკითხეთ ლია.

ვაქირავებ ოროთახიან, იზოლირებულ, ტელეფონიან, უავეჯო ბინას „ვარკეთილის“ მეტროსთან. ფასი 100 ლარი. ტელ: 22-22-46.

ვაქირავებ ვერის უბანში ფილარმონიის მახლობლად ერთ ოთახს 30 კვ.მ. მე-2 სართულზე. სასურველია ქალისათვის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 99-67-76.

სასწრაფოდ იყიდება დიდუბეში, წერეთლის გამზირზე, გამოფენის წინ ოროთახიანი იზოლირებული ბინა რვასართულიანი სახლის პირველ სართულზე, დაუმთავრებელი მიშენებული ლოჯიით, რომლის ფართია 35 კვ.მ. სარდაფები 50 კვ.მ-ია, საგარაჟე ადგილითა და ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. 34-73-29; 39-07-27.

იყიდეთ, იყიდეთ, რამე...



უფასო განცხადებები

სხვადასხვა

იყიდება ახალი აკორდეონი „აკორდი“ 80 ბანიანი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-11-06.

იყიდება პოლონური წარმოების 2 მ. სიმაღლის ტურისტული კარავი (6 კვ. მ. ფართობის წყალგაუმტარი იატაკით და ამავე ფართობის ავტოსადგომით). ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-11-06.

იყიდება დიდი ზომის იტალიური წარმოების 2-სართულიანი მასიური ბრინჯაოს ჭაღი ბროლის მოსართავებით — ერმიტაჟის ერთ-ერთი ჭაღის ასლი, საწყისი ფასი 4 ათასი დოლარი. ტელ: 37-68-61, 37-06-96.

იყიდება ქარხნული წესით დამზადებული უჟანგავი ლითონის კასრები ტევადობით 300 ლიტრით, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სითხისათვის. 1 ცალის საწყისი ფასი 120 ლარი. ტელ.: 34-84-83.

იყიდება ფრანგული პიანინო „ბებაინი“. გამოშვებულია 1848 წელს. შავი ფერისაა, შანდლებით. ფასი 250 დოლარი. იყიდება აგრეთვე ფეხის საკერავი მანქანა „ჩაიკა“, რომელიც 12 ოპერაციას აკეთებს. ფასი 200 დოლარი. იყიდება ქარხნული ახალი შედუღების აპარატი. ფასი 200 ლარი. მისამართი: გურამიშვილის გამზირი 30, I კორ. ბინა 56. ტელ.: 60-68-16 ან 61-37-49, რურუა.

იყიდება დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, მეორე გამოცემა, 52 ტომი. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ ხარაგაულში, 9 აპრილის 35-ში, ტელ.: 2-11-61.

იყიდება შავი ფერის პიანინო „მუზტრესტი“. ფასი 300 ლარი. იყიდება აგრეთვე ერთსაწოლიანი სამილე, რომელშიც შედის ორკარიანი კარადა, საწოლი და სარკე თავისი სადგამით. ფასი 300 ლარი, საბარგული ტახტი — 120 ლარი, ქუთაისის მაგიდა 22 კაცზე — 150 ლარი, ძველებური კაკლის კარადა — 300 ლარი. ტელ.: 66-07-22.

იყიდება ახალი არაბული მისაღები ოთახის კომპლექტი ექვსი ნაჭრით. ფასი 1400 დოლარი. ტელ.: 61-11-39 ან 61-33-45.

ვამზადებ მოწაფეებს ინგლისურ ენაში ბინაზე მისვლით, შეღავათიან ფასებში. მსურველებს ვთხოვ დარეკოთ ტელ: 93-10-04, თამუნა. 15 საათის შემდეგ.

იყიდება ანტიკვარული, გერმანული პიანინო საშუალო ზომის, შანდლებით, შავი ფერის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 96-75-87, იკითხეთ კობა.

ვყიდი საქსოვ მანქანას კარგ მდგომარეობაში, ფასი 200 ლარი. ასევე თეთრ სამინებელ გარნიტურს, ფასი 1500 ლარი, სამეულს — 1000 ლარი. ტელ: 99-90-66. მედიკო.

შევიძენთ ავტოგასამართ სადგურებს. გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: ტელ: 99-72-18 (34-16-07) იკითხეთ ილია, ლევანი;

იყიდება მსუბუქი ავტომანქანა „ზიმის“ ახალი სათადარიგო ნაწილები: 1. კაპოტი, საბარგულის სახურავი; უკანა საქარე მინა; ვენტილატორი ხარკმელები; ძარის მონიკელებული ნაწილები; ბენზინის ავზი; სიჩქარეთა კოლოფი; გიდრომუფტა; წინა და უკანა ხიდების დეტალები; ტრავერსი; და სხვა მრავალი წვრილმანი. ტელ: 23-57-18.

იყიდება თერთმეტი ცალი ბალტიისპირეთის სკამ-საავარძელი, ავეჯის დიქტი სისქით 20 მმ. 155 სმ.X155 სმ. საველე თერმოსი 24 ჯამით; წყლის თერმოსი 50-ლიტრიანი; ფრანგული თეთრი აკრმიღრანი ჭერისათვის, თერამეტმილიმეტრიანი არმატურა II კლასის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-38-34, 18 საათიდან.

იყიდება როიალი „ფრიდრიხ ფრერე“ და პატარა კაბინეტი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 38-95-47.

იყიდება რუსეთის ქარხნული წარმოების ღვინის ბოთლის საცობები, 8000 ცალი. ცალის ფასია 8 თეთრი, ტელ: 93-46-83.

იყიდება ანტიკვარული გერმანული პიანინო შანდლებიანი „შრედერი“. ფასი შეთანხმებით. 95-74-60, გოგი.

იყიდება მოხარშული კაკლის ხის ძველებური გერმანული სამინებელი გარნიტური, რომელიც სარესტავრაციოა. ფასი შეთანხმებით. 95-70-58.

იყიდება ნახევარი ტონა თეთრი ქაღალდი, რომელიც გამოიყენება ბროშურის გარე ყდად, კონვერტებად, ეტიკეტებად და ა. შ. ფასი შეთანხმებით.
ტ. 39-47-96.

ვყიდი რუსეთის ახალ ელექტროგენერატორს 2 ვოლტის სიმძლავრისას. იგი არის 230 ვოლტის ერთ ფაზიანი. ფასი 500 დოლარი. ტელ: 95-50-55 ან 36-41-23.

ვყიდი ჩეხურ ორპედლიან პიანინო „პეტროფს“. კარგ მდგომარეობაშია. ფასი 900 ლარი. ვყიდით ამასთანავე იაპონური ყავის სერვიზს „დრაკონს“ 6 კაცზე. საწყისი ფასი 170 ლარი: ტელ: 74-37-08, ჟუჟუნა.

იყიდება ორასკილოვატიანი სიმძლავრის დიზელგენერატორი. იყიდება აგრეთვე გერმანული მეხის ცელოფანი. ტელ: 38-58-60, გია.

ვყიდით იუგოსლავურ ხუთ სკამიან „კედელს“. ტელ: 22-51-26.

სასწრაფოდ იყიდება ახალი არაბული ავეჯის კომპლექტი სასადილო ოთახისთვის, სულ 6 ნაჭრი ჩუქურთმებით, ხავერდი მუქწითელი, ფასი 1370 დოლარი. 61-11-39 ან 61-33-45.

იყიდება ფიზიოთერაპიის აპარატი „ПАТОК-1“, დარსონვალიზაციის აპარატი „ИСКРА-1“, გერმანული წნევის გასაზომი აპარატი, წყლის გამოსახდელი, წარმადობა 6 ლიტრი საათში. ლაბორატორიული ელექტროსარეველა, კომპრესორი ინჰალიატორისათვის, საპროცედურო საათი. ტელეფონი: 22-22-46.

იყიდება ახალი არაბული წარმოების ორი სავარძელი, მახოური ხის, ჩუქურთმებიანი და ჟურნალის მაგიდა მარმარილოს ზედაპირით, ფასი 600 დოლარი. ტელ.: 61-11-39, 61-33-45.

ვაქირავებ ი. ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე კეთილმოწყობილ, კაპიტალურ გარაჟს, ფართობი 25X18 კვ. მ. გამოდგება კომერციული ან სხვა საქმიანობისათვის, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-22-46.

იყიდება იაფად ჩეხური წარმოების კაფელი, სალათისფერი, („ჰენკა“) ფასი შეთანხმებით. ტელ: 22-65-15.

იყიდება სამი ცალი 18-ტონიანი ემალირებული ავზი, ერთი ცალის ფასია 1000 დოლარი. ასევე შესადუღებელი აპარატი „საკი“, გაზის მოტორით, ფასი 1400 დოლარი. 30-37-09 (საღამოს).

იყიდება ანტიკვარული ტანსაცმლის კაკლის კარადა; კარგ მდგომარეობაშია. ფასი 100 დოლარი. ტელ: 71-08-76.

იყიდება წითელი ხისაგან დამზადებული ანტიკვარული კამოდი, ფასი შეთანხმებით. 93-37-86. (დღის საათებში).

ავტომანქანები



იყიდება ავტომანქანა „ფორდსიერა“, რომელიც გამოშვებულია 1984 წელს. მანქანა თეთრი ფერისაა და ორკარიანია, მოტორის სიმძლავრე 1,6 მოცულობისაა. აქვს ყველა სათადარიგო ნაწილი, ფასი შეთანხმებით. ტელ: 31-59-20, 31-59-52, 31-93-79, ზაური, გურამი.

იყიდება „გაზ-69“, ძალიან კარგ მდგომარეობაში, ახლად გაკეთებული ძრავითა და ხიდით, ფასი შეთანხმებით, ან იცვლება აგარაკზე. დარეკეთ: 95-19-53, ლაშო.

იყიდება ტრაქტორი „ტ-16“ 4 წლის. უკანა მხარეს დამონტაჟებული აქვს ამწე და მისაბმელი მექანიზმი, თან მოჰყვება წინა და უკანა ახალი საბურავები და სხვადასხვა ნაწილები. ფასი შეთანხმებით. ტელ: 64-36-88.

იყიდება „უაზი“-471, უჯანჯრებო, 1989 წლის გამოშვება, გარბენი 1000 კილომეტრი. ფასი 8000 დოლარი. ტელ: 93-37-86. მერაბი.

იყიდება ავტომანქანა „გაზ-53“ მარკის ბენზინმზიდი, 4200 ლიტრის ტევადობის, კარგ ფორმაში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 78-58-89, საღამოს, გურამი.

იყიდება ავტომანქანა „ფიატ-ქრომა“, 1988 წლის გამოშვება. ფასი 5700 დოლარი. ტელ.: 96-74-75, გიორგი.

იყიდება ავტომანქანა „მულტიკარი“ ახალი ძრავით, კარგ მდგომარეობაში. ტვირთამწეობა 2 ტონა. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 71-25-11.

ვყიდი შეღავათიან ფასებში ავტომანქანა „ვოლგა-21“-ის სათადარიგო ნაწილებს — კარებს, ძარას, ფრთებს, კარნიზებს და სხვ. ტელ: 98-40-29.

იყიდება „ზილ-157“, ახალი, სამხიდიანი მანქანა. ფასი 2000 დოლარი. მისამართი: ჩაპაევის I შესახვევი, № 11, ტელ: 66-70-...

იყიდება ახალი ჩამოყვანილი, ძალიან კარგ მდგომარეობაში მიკროავტობუსი „ფოლკსვაგენი“, გავლილი აქვს 22000 კმ. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-22-46.

იყიდება „ვაზ 21-09“ მარკის ავტომანქანა 1991 წ. გამოშვებული. კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 93-10-80.

ვყიდი 1990 წელს გამოშვებულ „ზაპოროჟეცს“. ტელ: 94-23-43.

სასწრაფოდ იყიდება თეთრი ფერის „ვაზ-21-06“, გამოშვებული 1989 წელს. ფასი 2800 ლარი. ტელ: 37-28-23, ანიკო.

სააქციო საზოგადოება „წყალმშენი-I“ აქციონერთა საყურადღებოდ

1997 წლის 25 თებერვალს მოწვეულია სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება
ღღის წესრიგი:
1. წლიური შედეგების შესახებ
2. საორგანიზაციო საკითხები
3. ს.ს. „წყალმშენი-I“-ის საწესდებო ფონდში ცვლილებების შესახებ.

საერთო კრება ჩატარდება 1997 წლის 25 თებერვალს დღის 12 საათზე ქ. თბილისში მოსაშვილის ქ. № II-ში, მე-7 სართულზე (ინსტიტუტ „საქწყალპროექტის“ შენობაში)

აქციონერთა დასწრება სავალდებულოა.

სააქციო საზოგადოება „წყალმშენი-I“-ის მეთვალყურეთა საბჭო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტეგრაცია

# ევროპარლამენტმა მიიღო რეკომენდაცია საქართველოსთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების რატიფიკაციის თაობაზე

**20-21 იანვარს ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობის, უშიშროებისა და თავდაცვის კომისიაში გაიმართა ყაზახეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან და საქართველოსთან ევროკავშირის მიერ ხელმოწერილი პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებათა შესახებ მოხსენებების განხილვა. განხილვის მიზანი იყო საგარეო ურთიერთობის კომიტეტს გამოეტანა დასკვნა, თუ რამდენად მიზანშეწონილია ამ ქვეყნებთან აღნიშნული შეთანხმებების რატიფიცირება ევროპარლამენტში.**

განხილვის შედეგად კომისიამ თავი შეიკავა ამ ეტაპზე ყაზახეთთან ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე კენჭისყრის გამართვისაგან. კენჭისყრა გაიმართა სომხეთთან, აზერბაიჯანთან და საქართველოსთან მიღწეული შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.

ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობის, უშიშროებისა და თავდაცვის კომისიამ რეკომენდაცია მისცა სომხეთთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების ევროპარლამენტში რატიფიკაციას. კენჭისყრის დროს ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ მხოლოდ სამი ევროდეპუტატი გამოვიდა.

კენჭისყრის შედეგად მიღებულ დასკვნაში, რომლის წინააღმდეგ ხმა მისცა შვიდმა დეპუტატმა, კომისიამ ასევე რეკომენდაცია მისცა ევროპარლამენტს მოახდინოს შეთანხმების რატიფიკაცია აზერბაიჯანთან, მაგრამ ყურადღებით ადევნოს თვალი დემოკრატიზაციის პროცესის განვითარებას ქვეყანაში.

წარმატება ხვდა წილად საქართველოს შესახებ მოხსენებას. მომხსენებელმა, ევროდეპუტატმა მაგდალენ ჰოფმა ძალზე მაღალი შეფასება მისცა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებსა და დემოკრატიზაციის პროცესს. როგორც მან განაცხადა, 1995 წლის არჩევნები საქართველოში გაიმართა უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების დონეზე და დააგვირგვინა 1994 წელს დაწყებული პოლიტიკური სტაბილიზაციის პროცესი. აფხაზეთსა და ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების თაობაზე მომხსენებელმა გამოთქვა აზრი, რომ ევროკავშირმა მყარი პოზიცია უნდა დაიკავოს საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძოდ, ეუთოს წინაშე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების მხარდასაჭერად. აღინიშნა, რომ ბოლო ორი წელია ქვეყანაში გამოცხადებულია მორატორიუმი სიკვდილით დასჯაზე და ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს უახლოეს მომავალში კანონით გააუქმოს სასჯელის ეს უკიდურესი ფორმა.

ეკონომიკური ვითარების კონტექსტში აღინიშნა, რომ საქართველომ თავი დააღწია კრიზისს და აღმავლობის გზაზე დგას, იმის მიუხედავად, რომ დიდ სიძნელეებს ქმნის ლტოლვილთა პრობლემა. მოხსენების დასკვნებში საქართველო ნახსენებია, როგორც ევროპული კულტურის ქვეყანა, რომელიც მიისწრაფვის დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისაკენ. გეოგრაფიული მდებარეობის გამო მას დიდი როლი ენიჭება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, აგრეთვე, ამიერკავკასიის ქვეყნებთან ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების საქმეში. მიუხედავად ამისა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემების გადაწყვეტამდე მისი სტაბილურობა არ არის გარანტირებული. ამ თვალსაზრისით პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება გააძლიერებს საქართველოს როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად. განხილვის დროს ევროდეპუტატები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს შეუძლია შეასრულოს წამყვანი როლი მთელი ამიერკავკასიის სტაბილიზაციაში და აუცილებელია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა უმცირესობათა უფლებების მიმართ მტკიცე გარანტიებით.

კენჭისყრის დროს საქართველოსთან მიღწეული შეთანხმების რატიფიკაციის წინააღმდეგ მხოლოდ ერთი დეპუტატი გამოვიდა.

საქინფორმი.

# ევროპარლამენტის რეზოლუცია

## „ევროკავშირის სტრატეგიის შესახებ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მიმართ“

ევროპარლამენტი:

— ითვალისწინებს რა კომისიის დოკუმენტს (კომ) 95) 0205 – (4-0242) 96)

— ითვალისწინებს რა საგარეო ურთიერთობის, უშიშროების და თავდაცვის პოლიტიკის კომიტეტის ანგარიშს, ასევე მეცნიერების, ტექნოლოგიური განვითარებისა და ენერგეტიკის და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტების მოსაზრებებს,

ა) რადგანაც ამიერკავკასიას კლასიკური ანტიკური ეპოქიდან მჭიდრო კულტურული და ისტორიული კავშირები აქვს ევროპის გარკვეულ ქვეყნებთან, რაც უნდა იწვევდეს ევროკავშირის მხრივ ცხოველ ინტერესს მის მიმართ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1991 წელს სომხეთმა, აზერბაიჯანმა და საქართველომ აღადგინეს თავიანთი დამოუკიდებლობა,

ბ) რადგანაც ამიერკავკასია, თავისი სტრატეგიული ადგილმდებარეობით რუსეთს, თურქეთსა და ირანს შორის, წარმოადგენს საარსებო მნიშვნელობის რეგიონს მთლიანად ევროპის უშიშროებისათვის,

გ) რადგანაც ეს რეგიონი მოიცავს რიგ პოტენციურად სამიშ და პოლიტიკურად არასტაბილურ ზონებს,

დ) რადგანაც ამიერკავკასიის სახელმწიფოებს, რომლებიც არიან დსთ-ის წევრები, სურთ გახდნენ ევროპის პოლიტიკური და უშიშროების სტრუქტურათა შემადგენელი ნაწილები,

ე) რადგანაც ევროკავშირმა უნდა გაითვალისწინოს ამიერკავკასიის ფაქტორი თავისი საგარეო პოლიტიკის გატარებისას და შეიმუშაოს ყველა მხარისათვის ხელსაყრელი განვითარების სტრატეგია,

მოუწოდებს ევროკავშირს გააქტიუროს თავისი როლი ამიერკავკასიაში, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში;

მოუწოდებს ევროკომისიასა და ევროკავშირის საბჭოს* უფრო აქტიურად გაატარონ ერთობლივი უშიშროებისა და საგარეო პოლიტიკა (ცფს) და ჩამოაყალიბოს (აღნიშნულ ქვეყნებში. მთ.) საელჩოები იმისათვის, რათა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა „ლეგიტიმური“ ეკონომიკური ინტერესები სრულად შეესაბამებოდეს ევროპული პოლიტიკის პრინციპებს ამიერკავკასიის მიმართ;

ადასტურებს, რომ ევროკავშირის სტრატეგია ამიერკავკასიის მიმართ მიზნად უნდა ისახავდეს:

ა) რეგიონის სამი ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებას;

ბ) ძალისხმევას, რათა მოლაპარაკების გზით მოგვარდეს ის პოლიტიკური კრიზისები, რომლებიც გავლენას ახდენენ მთლიანად კავკასიის რეგიონზე და ამიერკავკასიაზე, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნას ერთიანი პრინციპები, სხვადასხვა კონფლიქტური პრობლემების შესაძლო ურთიერთმოქმედების გათვალისწინებით;

გ) სამივე ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებას, კანონიერების განმტკიცებას, ადამიანის უფლებების დაცვასა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას;

დ) სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერას, რაც უნდა განხორციელდეს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფარგლებში და გარემოსდაცვითი პრინციპების პატივისცემით;

ხაზს უსვამს, რომ 1995 წლის 15 დეკემბერს პარაფირებული და 1996 წლის 22 აპრილს ხელმოწერილი ხელშეკრულებები სომხეთთან, აზერბაიჯანთან და საქართველოსთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენენ პოლიტიკურ ინსტრუმენტებს, რომელთა ერთ-ერთი მიზანია ამ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების დამოუკიდებლობის გამტკიცება, ევროკავშირთან მჭიდრო პოლიტიკური და საპარლამენტო დიალოგის მეშვეობითა და ეკონომიკური ურთიერთობების დივერსიფიკაციის გზით;

მიესალმება სომხეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, ასევე დსთ-ის სხვა წევრ-სახელმწიფოებთან მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივებს, რასაც ითვალისწინებს პარტნიორობის სამივე ხელშეკრულება და რამაც შესაძლებელი უნდა გახადოს ტრადიციული სავაჭრო კავშირების აღდგენა ენერგეტიკის, ნედლეულითა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობის სფეროებში;

აღნიშნავს რა სასწრაფო ჰუმანიტარული დახმარების გაგრძელების აუცილებლობას, მიიჩნევს, რომ ევროკავშირმა და სხვა დონორებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ რეგიონში ინვესტიციების მზარდ დაბანდებას, რათა მოხდეს ჰუმანიტარული აქციების შეცვლა გრძელვადიანი განვითარების პროგრამებით;

ხაზს უსვამს, რომ ამიერკავკასიის სახელმწიფოები მონაწილეობენ „მშვიდობისათვის თანამშრომლობის“ პროგრამაში, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ ნატო-ს დიალოგში ყოფილი საბჭოთა კავშირიდან წარმოქმნილ ქვეყნებთან, უპირველეს ყოვლისა, რუსეთთან, და რაც უნდა წარმოადგენდეს განუყოფელ ნაწილს სრულიად ევროპული უსაფრთხოების სისტემისა, ეუთო-ს გადამწყვეტი მონაწილეობით;

მოუწოდებს ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს, რათა გაატარონ საერთაშორისო ორგანიზაციებში (გაერო, ეუთო, ევროპის საბჭოს) ერთობლივი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (ცფსრ) ამიერკავკასიაში არსებული კონფლიქტების პოლიტიკური მოგვარების მიზნით;

ხაზგასმით აღნიშნავს იმ მნიშვნელობას, რომელსაც იგი ანიჭებს საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას; კვლავ ადასტურებს რეგიონის ყველა ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საერთო მხარდაჭერას;

ყურადღებას ამახვილებს აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში ლტოლვილთა დრამატულ მდგომარეობაზე; მიუთითებს რა რეგიონში „ექო“-ს (ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების სამსახური. მთ.) საქმიანობის ეფექტურობაზე, აღნიშნავს, რომ ევროკავშირმა ყველა ღონე უნდა იხმაროს ლტოლვილთა პრობლემების მოსაგვარებლად;

მოუწოდებს ევროკომისიას უფრო მიზანდასახულად განახორციელოს სამივე ქვეყანაში „ტასისის“ დემოკრატიის პროგრამა და უზრუნველყოს პირდაპირი კავშირი რეგიონებთან, დეცენტრალიზებული პოლიტიკის ფარგლებში და ქვეყნების საჭიროებების შესაბამისად;

აღნიშნავს „ტასისის“ პროგრამასთან დაკავშირებით მისი შემდგომი განხორციელების აუცილებლობას, კერძოდ სოციალური და ჯანდაცვის სამსახურების რესტრუქტურიზაციის სფეროში;

მხარს უჭერს გამონაკლისის სახით სამივე ამიერკავკასიის რესპუბლიკისათვის ფინანსური დახმარების აღმოჩენას („ტასისის“ ფარგლებში გაწეულ დახმარებასთან ერთად) სსფ-სთან შეთანხმების კონტექსტში, 1991 წელს ევროკავშირის მიერ გაცემული სესხების დაბრუნების გააღვილების მიზნით;

განიხილავს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (ებრდ) და ევროპის საინვესტიციო ბანკის (ეიბ) მიერ ტრანს-ევროპული ქსელების სპეციფიკური პროექტებისათვის გათვალისწინებულ სესხებს, როგორც ამიერკავკასიის რეგიონის მდგრადი განვითარებისათვის საჭირო ფინანსური დახმარების ეფექტიან საშუალებას;

მოუწოდებს ევროკომისიას გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში ეკონომიკის განვითარების წახალისების, ევროკავშირთან ვაჭრობის გაფართოების, თანამედროვე საბანკო სისტემის შექმნისა და ამიერკავკასიის რეგიონში ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობისათვის, კერძოდ, ერთიანი ბაზრის სახით, ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარების დასაჩქარებლად;

ხაზს უსვამს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ამიერკავკასიაში ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ქსელის განვითარებას;

მოუწოდებს ევროკომისიას განიხილოს საკითხი იმის თაობაზე, თუ რა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები შეიძლება დაფინანსდეს ამიერკავკასიის სახელმწიფოებთან ევროკავშირის ურთიერთობებისათვის ევროკავშირის მიერ არსებული ან ახალი ინსტრუმენტების საშუალებით;

განიხილავს მთავარ პრიორიტეტად ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სექტორებში ინფრასტრუქტურის განახლებას და მიიჩნევს, რომ მზარდი რეგიონული თანამშრომლობა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროებში შეამცირებდა დაძაბულობას რეგიონში და ხელს შეუწყობდა შემდგომ ზრდას;

მიიჩნევს, რომ ევროკავშირი მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდოს შავი ზღვის ფაქტორს ამიერკავკასიის ქვეყნებთან მისი ურთიერთობის განვითარებისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ შავი ზღვა აკავშირებს რეგიონს ევროპის ინდუსტრიულ „პარტლანდთან“ (ცენტრებთან — მთ.) რეინ-დუნაის სამდინარო კავშირის საშუალებით, რომელიც იუგოსლავიაში კონფლიქტის დამთავრების შემდეგ შესაძლოა სრულყოფილად ამოქმედდეს;

ავალებს თავის თავმჯდომარეს წარუდგინოს ეს რეზოლუცია ევროკომისიასა და ევროკავშირის საბჭოს, ეუთო-ს სამდივნოს, ასევე სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობებსა და პარლამენტებს.

## ...ელცინი კი ჯუნას არ იკარებს

განთქმული მკურნალი ჯუნა აცხადებს, რომ იგი ბორის ელცინის უკანასკნელი იმედია, — წერს ჟურნალი „ტაიმსი“. როგორც ცნობილია, ჯუნამ სხვადასხვა ავადმყოფობისაგან განკურნა ბევრი პოლიტიკოსი და ლეონიდ ბრეჟნევის „პირადი ექიმიც“ კი იყო. მაგრამ როგორც სტატიის ავტორს მიაჩნია, რუსეთის პრეზიდენტი არ ეკუთვნის ჯუნას ნიჭის თაყვანისმცემელთა რიცხვს. საქმე ის არის, ჯუნას დღემდე ვერ მიუღწევია პირადი შეხვედრისათვის ბორის ელცინთან. და ამაში ჯუნა ბრალს სდებს პრეზიდენტის გარემოცვას, რომელსაც, მისი რწმენით, ელცინის სიკვდილი სწადია. მიუხედავად ამისა, სწორუპოვარი მკურნალი იმედს არ ჰკარგავს. იგი დარწმუნებულია, რომ რუსეთის მომავალი – ეს არის ელცინი, და ყოველნაირად ცდილობს დააჯეროს პრეზიდენტის ოჯახის წევრები, რომ მას შეუძლია უშველოს ბორის ელცინს.

## მოსახლეობა კლებულობს

მარტო გასულ წელს რუსეთის მოსახლეობა დაახლოებით ნახევარი მილიონით შემცირდა — იუწყება ამერიკის გაზეთი „იუ ეს ეი თუდეი“. საშუალოდ ყოველწლიურად იხოცება ერთნახევარჯერ მეტი ადამიანი, ვიდრე იბადება, და, როგორც სტატიის ავტორს მიაჩნია, ეს უწინარესად დაკავშირებულია ეკონომიკურ გაჭირვებასთან და ცხოვრების მძიმე პირობებთან. რუსები ტოვებენ სამშობლოს და გადადიან საცხოვრებლად ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, მაგალითად, კავკასიაში ან ციმბირში. აქ, როგორც გაზეთი წერს, ცხოვრების დონე უფრო მაღალია, რაც ყოველ ოჯახს საშუალებას აძლევს რამდენიმე შვილი იყოლიონ. მაგრამ რუსეთის მცხოვრებთათვის ნამდვილი „აღქმული მიწაა“ ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია და ისრაელი.

## შირაკი მხოლოდ სანახავად არ ჩამოსულა

საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი გახდა პირველი უცხოელი სტუმარი, რომელიც თავის დასავლელ მოკავშირეებსა და პარტნიორებს დაუდასტურებს, რომ საკუთარი თვალით ნახა „ფეხზე წამომდგარი“ ელცინი.

მაგრამ საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაურის ვიზიტის მიზანი მარტოოდენ ავადმყოფის მონახულება როდი იყო. ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა იმსჯელეს ნატოს გაფართოების სხვადასხვა ასპექტებზე.

გარდა ამისა, საფრანგეთის პრეზიდენტმა რუსეთის სახელმწიფოს მეთაურის წინაშე დააყენა კიდევ ორი საკითხი, რომლებსაც ფრანგები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. პირველი, — ეს არის ფრანგული არქივების დაბრუნება, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა ჯარისკაცების ხელში მოხვდა და მოსკოვის სპეცსაცავში აღმოჩნდა.



ფრანგები მალაია ლუბიანკაზე მდებარე ამ შენობის ნაწილზეც ყაბულს არიან...

და, მეორე, შირაკს იმედი აქვს, რომ მოსკოვი, ალბათ, მაინც დათანხმდება ფრანგებს დაუბრუნოს რაღაც გასამრჯელოს ფასად მოსკოვში მალაია ლუბიანკაზე მდებარე წმინდა ლუის ეკლესია. აქ მათ სურთ გახსნან თავიანთი ლიცეუმი, რომელშიც რუსებიც ივლიდნენ.

# მომავლის სილუეტი და წარსულის ჩრდილი




მოსკოვში, თეთრ სახლთან გამართულ მიტინგზე მთელი რუსეთის მასწავლებლების წარმომადგენლები მოვიდნენ.

როდესაც გასული წლის ივლისში ბორის ელცინი მეორე ვადით აირჩიეს, ამან აღტაცება გამოიწვია აშშ სახელმწიფო დეპარტამენტში. მაგრამ, როგორც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა მოწმობს, მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში არავითარი სიხარული არ ყოფილა. იგრძნობოდა მხოლოდ შვება იმასთან დაკავშირებით, რომ შეძლეს თავიდან აეცილებინათ წარსულის დაბრუნება და კომუნისტური პარტიის გახელისუფლება. ბოლოს და ბოლოს, აღფრთოვანება ჩვეულებრივ ახასიათებს პოლიტიკური პროცესის პირველ სტადიებს. მაგრამ იმის თქმა, რომ ელცინის რეჟიმი ესეს არის იწყებს თავის საქმიანობას, ბუნებრივია, არ შეიძლება.

ახალი ოლიგარქია ამცირებს რუსებს არა იმიტომ, რომ მისი წარმომადგენლები მდიდრები არიან, არამედ იმიტომ, რომ მათი კაპიტალის მხოლოდ მცირე ნაწილი უბრუნდება რუსეთის ეკონომიკას. ინტერპოლის მონაცემებით, მდიდარმა რუსებმა უცხოეთის ბანკების ანგარიშებზე გადარიცხეს 300 მილიარდ დოლარზე მეტი. ამ კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნიდან არალეგალურად და დაუბეგრავად გააქვთ.

კრემლის კაპიტალიზმმა ელცინის მმართველობის პირობებში ჯერჯერობით ვერ შეძლო შეექმნა ბრიტანეთის საშუალო კლასის მაგვარი საზოგადოებრივი ფენა. მაგრამ გაჩნდა ასიათასობით „მაქო“, ახალგაზრდები, რომლებიც გამუდმებით დადიან ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის ჩინეთი, თურქეთი და არაბთა გაერთიანებული საამიროები, და იქიდან გასაყიდად მოაქვთ ყველაზე მრავალფეროვანი საქონელი. ასეთი ვაჭრობა წარმოადგენს გარდამავალი პერიოდის კაპიტალიზმის უხეში ფორმის ერთ-ერთ გამოვლინებას; იგი უკონტროლოა, გადასახადით არ იბეგრება და მაფიასთან არის დაკავშირებული.

რუსეთის ოფიციალური სტატისტიკით, 1995 წლის დამლევს ქვეყანაში მოქმედებდა 8 ათასი დანაშაულებრივი დაჯგუფება, ანუ, მოსახლეობის რიცხოვნობის გათვალისწინებით, უფრო მეტი, ვიდრე იტალიაში. მომსახურების სფეროში ყველაზე სწრაფად იზრდება ისეთი სექტორი, როგორიც არის პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ასიათასობით ქალი და მამაკაცი მუშაობს კერძო ბიზნესზე შეიარაღებულ მცველად. მილიცია ერთობ მცირერიცხოვანია და, ჩვეულებრივ, მეტისმეტად კორუმპირებულია საიმისოდ, რომ შეასრულოს ეს სამუშაო.

პრესა ჯერ კიდევ მთლად არ გათავისუფლებულა, თუმცა საბჭოთა პერიოდთან შედარებით მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. სახელმწიფო ტელევიზია, რომელიც მნიშვნელოვანწილად ეკუთვნის ახალ ოლიგარქიას, ძალზე ფრთხილობს, როდესაც საქმე ეხება ელცინს. ზოგიერთი გაზეთი და ჟურნალი, რომლებიც არჩევნების დროს ყოველნაირად უჭერდნენ მხარს ხელისუფალთ, ახლა კვლავ კრიტიკულად, ხშირად კი აგრესიულად არის განწყობილი. ჟურნალისტები ურცხვად ჰყოფენ ცხვირს ისეთ სფეროშიც კი, როგორიც არის პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ჟურნალ „იტოგის“ მიერ მოწყობილმა გამოკვლევამ აიძულა ხელისუფალნი გამოექვეყნებინათ ინფორმაცია ელცინის გულის ავადმყოფობის შესახებ, რომლის გამოც გაუკეთდა აორტა — გვირგვინოვანი შუნტირების ოპერაცია.

თანამედროვე რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე საგანგაშო ხარვეზია ზნეობრივი ავტორიტეტის უქონლობა. იდეასა და იდეალებზე მრავალი წლის ლაპარაკის შემდეგ ჟურნალისტები ცინიკურად არიან განწყობილნი და აინტერესებთ მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური საკითხების განხილვა. მათი აზრით, ყველაზე მთავარი მინუსია არ გამოჩნდნენ მიამიტებად, გულუბრყვილოებად, არავის ეგონონ რეალობას მოწყვეტილი მეოცნებენი.

„დემოკრატიის ხარისხი დიდად არის დამოკიდებული დემოკრატებზე, — თქვა კოვალიოვმა. — ჩვენ უნდა მოვიცადოთ, სანამ დაგროვდებოდეს დემოკრატიული პრინციპების მქონე ადამიანთა კრიტიკული მასა. ეს ბირთვულ აფეთქებას ჰგავს: კრიტიკული მასა უნდა დაგროვდეს. უამისოდ არაფერი გამოვა. რომანტიკული დემოკრატიის ხანა წარსულს ჩაბარდა. ჩვენ უკვე მიწაზე დავეშვით“.

80-იანი წლების დამლევიდან რუსეთმა უკან მოიტოვა დასავლეთთან კონფრონტაციის ათწლეულები. რუსეთმა, ასე ვთქვათ, დამალა ჭანგები და აღარ უქმნის განსაკუთრებულ საფრთხეს მსოფლიოს, საუკუნეთა მანძილზე იზოლაციის შემდეგ რუსეთი მზად არის არათუ ითანამშრომლოს გარე სამყაროსთან, არამედ იცხოვროს კიდეც მის შუაგულში. იგი საშიშროებას გვიქმნის არა იმდენად აშკარა სამხედრო საფრთხით, რამდენადაც საერთო ქაოსითა და ისეთი შემთხვევითი ამბებით, როგორიც არის ცუდად შენახული ბირთვული იარაღის დატაცების შესაძლებლობა.

უახლოეს პერსპექტივაში რუსების უმრავლესობა ბევრს არაფერს უნდა ელოდეს, მეტადრე, თავისი პოლიტიკოსებისაგან. ელცინმა კარდინალურად რომ არ მოიკეთოს, მოსკოვში შეიძლება დაისადგუროს პერმანენტული კრიზისის ატმოსფერომ.

როგორი პრეზიდენტი დადგებოდა მისგან. ლებედი გენერალია, მაგრამ კოლინ პაუელის თუ დუაიტ ეიზენჰაუერისაგან განსხვავებით, რომ არაფერი ვთქვათ მის კერპზე შარლ დე გოლზე, საეჭვოა, მას რომ ჰქონდეს რაიმე სხვა გამოცდილება, გარდა სამხედროსი. ლებედს უნდა მივაგოთ ჯეროვანი პატივი ჩეჩნებთან საზავო ხელშეკრულების ხელმოწერისათვის. თანაც იგი, რუსების უმრავლესობის აზრით, წესიერი და პატიოსანი კაცია, რაც განასხვავებს იმ ადამიანებისაგან, ვინც ახლა ფეხი მოიკიდა კრემლში. მაგრამ ლებედი იჩენდა ჯიუტ, ის კი არა, აღმაშფოთებელ უგულებელყოფას პრეზიდენტის მიმართ, რომლის მარჯვენა ხელიც უნდა ყოფილიყო.

ალექსანდრე ლებედის უმთავრესი ამოცანა, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ის არის, რომ იგი ალექსანდრე ლებედად დარჩეს. ძალზე სამწუხაროა, რომ გარეშე მეთვალყურეებისათვის ყველაზე თვალშისაცემი პოლიტიკური კავშირი, რომელიც მან შექმნა კრემლიდან წასვლის შემდეგ, გახდა ალიანსი ალექსანდრე კორჟაკოვთან, ელცინის ახლო მეგობართან და მცველთან, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის დროს გააგდო. ახლა კორჟაკოვი კვლავ ფეხზე დადგა და გადაწყვიტა კენჭი იყაროს პარლამენტში ტულის ოლქისაგან, რომელმაც თავის დროზე აირჩია ლებედი. იმ შემთხვევისათვის, თუ რომელიმე ძველი მოწინააღმდეგე გადაწყვეტს დაემუქროს მას, კორჟაკოვი აცხადებს, რომ გამოაქვეყნებს ელცინისა და მისი თანამშრომლების სახელგამტეხ მასალას.

„მე მინახავს, რა ხდებოდა ბრეჟნევის, ანდროპოვისა და ჩერნენკოს მმართველობის ბოლო ეტაპზე, და მე ვიცი, რომ იმათ ავადმყოფობას, ვინც ხელისუფლების სათავეში დგას, შედეგად მოსდევს საშიშროების წარმოშობა, — თქვა მიხეილ გორბაჩოვმა. — ჩვენ მაშინ გადავრჩით მხოლოდ იმ ინერციის ძალის წყალობით, რომელიც კიდევ მოსდევდა საბჭოთა სისტემას. მაგრამ რუსეთს ხელისუფლების სათავეში ჭირდება დინამიკური ადამიანები, ახლა კი რა არის, რას ჰგავს ეს“...

გორბაჩოვს არასდროს არ ეხატებოდა გულზე ელცინი, ისევე როგორც ელცინს — გორბაჩოვი, მაგრამ აქ იგი სწორია. მთავრობამ ახლა რომ გადაწყვიტოს არჩევნების მოწყობა, პრეზიდენტობის ყველაზე ნაღდი პრეტენდენტები იქნებოდნენ ჩერნომირდინი, ლუჟკოვი, ლებედი და ზიუგანოვი.

ამ ოთხეულიდან ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს ლებედი, მაგრამ კაცმა არ იცის, ლებედის პოტენციური მეტოქენი მეტ სიმტკიცეს და სიცხადეს იჩენენ, მაგრამ მათი შანსები ვერ არის მაინცდამაინც დიდი. ზიუგანოვს ჯერ კიდევ ჰყავს მომხრეები, მაგრამ გამარჯვების შანსები თითქმის აღარ აქვს.

კომუნისტებმა მთლიანად უნდა თქვან უარი წარსულზე, დაარქვან თავიანთ პარტიას ახალი სახელი და დააყენონ უფრო ახალგაზრდა ხელმძღვანელები. რუსეთში სოციალ-დემოკრატთა პარტიის გაჩენა გარდაუვალია, ოღონდ, არა ზიუგანოვის ხელმძღვანელობით.

დღევანდელი რუსეთი გაცილებით ნაკლებად არის ცენტრალიზებული ქვეყანა, ვიდრე თავის დროზე იყო საბჭოთა კავშირი. თუმცა დედაქალაქის პოლიტიკური ცხოვრება ინტრიგებით არის აღსავსე და ავტორიტარული ამპარტავნობის შთაბეჭდილებას ახდენს, მოსკოვი დღეს შედარებით სუსტია. საბჭოურ ხანაში რეგიონული პარტიული ხელმძღვანელები მოსკოვს მექად მიიჩნევდნენ. ახლა ერთი ბრძანებულება მეორეს მოსდევს, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფალნი მათგან იღებენ მხოლოდ იმას, რომელიც მოსწონთ, დანარჩენებს უგულებელყოფენ.

საბაზრო რეფორმების წყალობით ზოგიერთი რეგიონი, მაგალითად, ნიჟნი ნოვგოროდის ოლქი, აყვავებას აღწევს. მაგრამ სხვები, კერძოდ, დასავლეთ ციმბირის ქვანახშირის რაიონები სიძნელეებსა და გაჭირვებას განიცდიან: ქვანახშირის მარაგი თითქმის ამოწურულია, ხოლო განვითარებული ალტერნატიული მრეწველობა ამ მხარეებში არ არსებობს. სასოფლო-სამეურნეო რეგიონების უმრავლესობა ეწინააღმდეგება ძნელ გადასვლას კერძო მეწარმეობაზე ძირითადად თანამედროვე ტექნიკის შესასყიდად საკმარისი კაპიტალის უქონლობისა და პრივატიზაციის შედეგად თანამედროვე ტექნიკის შესყიდვის შეუძლებლობის გამო.

მაფია და ძნელი ზნეობრივი პრობლემები ასევე ასრულებენ თავიანთ როლს ადგილებზე იმ საკითხის გადაწყვეტისას, თუ როგორ გაატარონ რეფორმა და გაატარონ თუ არა იგი საერთოდ. ბანდიტი, მეტსახელად პუდელი, მტკიცედ აკონტროლებს ხაბაროვსკს, ჩეჩნეთი კიდევ დიდხანს იქნება მოსკოვის სინდისის ქენჯნის თუ არა, ყურადღების საგანი მაინც. ჩეჩნეთის დედაქალაქი დანგრეულია, ხოლო ადგილობრივი ხელისუფალნი თავს გამარჯვებულად თვლიან. ახლა იქ მართავს ისლამი, და არა მოსკოვი. როდესაც რუსეთის მდგომარეობას და ამ ქვეყნის პერსპექტივას ახასიათებენ, ანალიტიკოსები ეძებენ ანალოგიებს სხვა ქვეყნებთან და ეპოქებთან. ოლიგარქიის აღზევება არგენტინას გვაგონებს, ხელისუფლების ვაკუუმი — ვაიმარის გერმანიას, მაფიის ყოვლისშემძლეობა გვახსენებს ომისშემდგომ იტალიას, ხოლო საპრეზიდენტო კონსტიტუცია მეხსიერებაში გვიცოცხლებს 1958 წლის დე გოლის საფრანგეთს. მაგრამ, თუმცა რუსეთის პრობლემები დროდადრო საგონებელში აგდებს მსოფლიოს, არცერთი ანალოგია არ ითვალისწინებს ამ ქვეყნის შესაძლებლობებს.

1991 წლის შემდეგ რუსეთმა საბოლოოდ უკუაგდო აბსოლუტისტური წარსული. ჩინეთის მომავლის მიმართ თითქმის ერთსულოვნად სასიხარულო წინასწარმეტყველება და რუსეთის მიმართ ლამის ასპროცენტიანი შავბნელი პროგნოზები ძნელია გაამართლო. პოლიტიკური რეფორმა რუსეთის ერთადერთი მიღწევა როდია. ჩინეთისაგან განსხვავებით, რომლის სასოფლო რაიონებში დღემდე სიღატაკე და უწიგნურობა სუფევს, რუსეთი სულ უფრო ურბანიზებული ხდება, მისი მოსახლეობის წიგნიერება 99 პროცენტს აღწევს. რუსეთის ეკონომიკის თითქმის 80 პროცენტი კერძო ხელშია მოქცეული. ინფლაციის ტემპი, რომელიც ყველა პოსტკომუნისტური ქვეყნის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო, 1992 წლის 2500 პროცენტიდან 1995 წლის 130 პროცენტამდე შემცირდა. ბუნებრივი რესურსების მხრივ რუსეთს მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვება. ჟურნალ „ეკონომისტის“ ყოფილი მოსკოველი კორესპონდენტი ჯონ პარკერი და ეკონომისტი რიჩარდ ლეიარდი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე წინასწარმეტყველებენ, რომ 2020 წლისათვის რუსეთს „სავსებით შეუძლია მნიშვნელოვნად გაუსწროს ისეთ ქვეყნებს, როგორიც არის პოლონეთი, უნგრეთი, ბრაზილია, მექსიკა და შორს მოიტოვოს ჩინეთი“.

რუსეთის მიღწევათა ნუსხაში თავისი მნიშვნელობით უკანასკნელი ადგილი როდი უკავია იმ გარემოებას, რომ ყველა ნიშნის მიხედვით მის მოქალაქეებს არ სურთ დაუბრუნდნენ კომუნიზმის მაქსიმალისტურ მოთხოვნებს, ანდა პირწავარდნილი ნაციონალიზმის ქსენოფობიას. რუსეთის განსაკუთრებული გზის იდეა სულ უფრო ნაკლებად მომგებიანი ლოზუნგი ხდება კომუნისტებისა და ნაციონალისტებისათვის. ეროვნული პროგრამების წმიდა წყლის ვულგარიზებული ვარიანტები — ზიუგანოვის „ნაციონალ-ბოლშევიზმი“, თუ ისეთი ადამიანების სხვადასხვაგვარი ანტისემიტური, ანტიდასავლური პლატფორმები, როგორიც არის ექსტრემისტული გაზეთის რედაქტორი ალექსანდრე პროხანოვი, — უარყო რუსეთის ამომრჩეველთა უმრავლესობამ. ზოგიერთების შიშის მიუხედავად, ანტისემიტიზმს აქ არ გააჩნია საგრძნობი პოლიტიკური მიმზიდველობა. თვით ლებედმაც კი, რომელსაც ჰქონდა ნაციონალისტური გულისწყრომის მომენტები, საჭიროდ სცნო, ბოდიში მოეხადა ცალკეული გამონათქვამებისათვის. იგი ვერ შეძლებს გამარჯვების მოპოვებას, თუ ექსტრემისტი იქნება. ამიტომ ლებედი ხალხის ყურადღებას ყველაზე მეტად მიაპყრობს კორუფციას, ძალადობას და პატიოსნების არარსებობას ახლანდელ მთავრობაში.

შესაძლოა, იმაში, რომ ამერიკელი მეთვალყურენი რუსეთისაგან ესოდენ ბევრს მოელიან ასეთ მოკლე ვადაში, ვლინდება „ცივი ომის“ მემკვიდრეობა. რუსეთი მტერი აღარ არის, იგი სულ არ ჰგავს მტერს. მაგრამ ამერიკელები მოითხოვენ პასუხს კითხვაზე, რატომ არ არის, მაგალითად, რუსეთში მოწიფული პოლიტიკური პარტიები, და ავიწყდებათ, რომ შეერთებულ შტატებს — მთელი მისი ისტორიული უპირატესობების, მათ შორის, განათლებული დამაარსებელი მამების მიუხედავად, — დასჭირდა დამოუკიდებლობის 60 წელიწადზე მეტი, რათა შეექმნა ორპარტიული სისტემა.

1991 წლის დრამატულმა მოვლენებმა ისეთი აჩქარება მიანიჭეს რუსეთის ისტორიას, რომ დასავლეთის მოლოდინმა უცნაური ხასიათი შეიძინა. ახლა, როდესაც ბევრი მათგანი არ გამართლდა ან დაგვიანებით ახდა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ დასავლეთი უკან დაბრუნდა და კვლავ მოელის რუსეთისაგან მხოლოდ ყველაზე უარესს.

„ფორინ აფეირსი“,
ნიუ-იორკი

იბეჭდება მცირედი შემოკლებით.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას“ და „პლანეტა-ფორტეს“ მასალების მიხედვით.

უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

საქართველოს რესპუბლიკა
№28. ოთხშაბათი, 5 თებერვალი, 1997 წელი

# ნოდარ კომახიძე



გარდაიცვალა საქართველოს პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ნამდვილი წევრი, თურქეთის მეცნიერებათა აკადემიის საისტორიო საზოგადოების პირველი უცხოელი წევრ-კორესპონდენტი ნოდარ ვლადიმერის ძე კომახიძე.

ნოდარ კომახიძე დაიბადა 1931 წლის 15 ივნისს. 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი თურქეთის ისტორიის განხრით.

1954-80 წლებში ნოდარ კომახიძე ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობდა საქართველოს ახალგაზრდულ, პოლიტიკურ და პარტიულ ორგანიზაციებში. 1980-85 წლებში იყო საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის თავმჯდომარე. 1985-89 წლებში კომპარტიის მარნეულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, 1989-92 წლებში საქართველოს მინისტრთა საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგე, ხოლო 1992-94 წლებში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, პარლამენტის თავმჯდომარის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი. 1994 წლიდან ნოდარ კომახიძეს თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის საპატიო თანამდებობა ეკავა. იგი სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატად.

ნოდარ კომახიძე სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობასაც ეწეოდა. 1961 წლიდან ლაწყვეტული შეთავსებით იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, სწავლული მდივანი, განყოფილების ხელმძღვანელი. 1990 წელს იგი აირჩიეს საქართველო-თურქეთის საქმიანი ურთიერთობის ასოციაციის პრეზიდენტად. 1992 წელს მან დააარსა გაზეთი „ხიდი", რომლის მთავარი რედაქტორიც თვითონ იყო.

პროფესორი ნოდარ კომახიძე თურქული ენის, ამ ქვეყნის ისტორიისა და დღევანდელობის დიდი მცოდნე იყო. როგორც პროფესიონალ თურქოლოგს, მას გამოქვეყნებული აქვს თურქეთის თანამედროვე ისტორიისა და ეკონომიკის საკითხებისადმი მიძღვნილი 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მათ შორის, 5 მონოგრაფია. მისი ეს ნაშრომები საქართველოსა და რუსეთის გარდა გამოიცა თურქეთში და სხვა ქვეყნებშიც. ნოდარ კომახიძე მონაწილე იყო თურქეთში გამართული ყველა სამეცნიერო სიმპოზიუმისა, რომელთა თემა იყო საქართველო-თურქეთის თანამედროვე ურთიერთობანი და მათი პერსპექტივები. ამ თემას მიუძღვნა მან თავისი 1994 წელს ქართულ ენაზე თბილისში გამოცემული წიგნი „მეზობელო კარისაო". წიგნის ბოლო ორი წლის მოვლენებით უკვე შევსებული თურქულენოვანი გამოცემის დაბეჭდვას, რომელსაც დღედღეზე ელოდა, ველარ მოესწრო.

ნოდარ კომახიძე წლების განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. საქართველოში ის იყო ერთადერთი მეცნიერებათა დოქტორი თურქეთის უახლესი ისტორიის დარგში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უძღვებოდა ლექციების ციკლს თურქეთის უახლესი ისტორიისა და ეკონომიკის საკითხებზე. ამასთან ნოდარ კომახიძე როგორც ექსპერტი, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოსა და თურქეთის მეთაურებისა და სამთავრობო დელეგაციების შეხვედრებსა და მოლაპარაკებებში, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობათა ფორმირებასა და წარმართვაში. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი სიცოცხლის ბოლო პერიოდი, როცა იგი საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იყო თურქეთის რესპუბლიკაში. ცოტა წვლილი როდი მიუძღვის მას იმაში, რომ თურქეთ-საქართველოს თანასწორუფლებიანი, ურთიერთსასარგებლო და კეთილმეზობლური ურთიერთობა აღმაღლობის გზით ვითარდება და თვისებრივად ახალ ეტაპზე ავიდა. ნოდარ კომახიძეს კარგად იცნობდნენ თურქეთში, მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქვეყნის ხელმძღვანელებთან, პატივს სცემდნენ თურქეთის პოლიტიკურ წრეებში, სამთავრობო სტრუქტურებსა და საზოგადოების სხვადასხვა ფენაში, ქართულ დიასპორაში.

ნოდარ კომახიძის ნათელი სახელი სამუდამოდ დარჩება ყველას ხსოვნაში, ვინც კი მას იცნობდა.

ი. შევარდნაძე, ზ. ჟვანია, ნ. ლეკიშვილი, ი. მენაღარიშვილი, ზ. აბაშიძე, ი. ანდრიაძე, გ. ბარამიძე, გ. ბურდული, ქ. გაბაშვილი, თ. გამყრელიძე, ჯ. გიუნაშვილი, თ. გოგოლაძე, შ. დოლიძე, ბ. თავართქილაძე, მ. კაკაბაძე, ვ. ლორთქიფანიძე, თ. მამაცაშვილი, ლ. მიქელაძე, მ. უკლება, თ. შარაშენიძე, გ. ჩარკვიანი, მ. ჩაჩავა, ვ. ჩიჩელაშვილი, ა. ჩიქვაიძე, ქ. ჩიტაია, გ. ჩოგოვაძე, პ. ჩხეიძე, გ. ჭანტურია, თ. ჯაფარიძე.

## გამოვიდა



### საკუთარი სტილის ძიებაში

ქართულ პრესას ახალი ეკონომიკური გაზეთი შეემატა: „კომერსანტი NEWS" გლობალური ფერიცვალების, ღირებულებათა გადაფასებისა და ახალ ურთიერთობათა მოთხოვნილებების პირობებში. ამიტომ მისი გამოჩენა, უწინარესად, ისეთი წრეების წარმომადგენლებს ემებათ, ვისაც პერიოდით სჭირდებათ ცინცხალი და ტევადი ინფორმაცია ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის, საბანკო სისტემის, საერთაშორისო სავალუტო, საფინანსო და სავაჭრო ორგანიზაციების, სტატისტიკის, საკანონმდებლო ბაზისა და ეკონომიკური რეფორმების რთული, მაგრამ შეუქცევადი გზის ყოველი წერტილიდან. ახალი გაზეთი სწორედაც რომ ამგვარი თემატიკის ამსახველი პუბლიკაციებით წარუდგა თავის პირველ მკითხველებს.

გაზეთი ეძებს საკუთარ სტილს, ცდილობს, განსხვავებული რაკურსით და ორიგინალურად ასახოს საქართველოს ეკონომიკის პრობლემატიკის ფართო სპექტრი, უცხოეთის ბიზნესის საყურადღებო მოვლენები, საბაზრო ურთიერთობები, რასაც გამორჩეული დიზაინის ფონზე გასაგებად და ნოვატორულად აწვდის მკითხველებს.

უხვი და ოპერატიული ინფორმაციებით მდიდარი „კომერსანტი NEWS" იმედია, თავის კუთვნილ ადგილს დაიჭერს წამყვანი გაზეთების გვერდით.

გიორგი მელუავა.

### „საგადასახადო მაცნე"

გადამხდელთა სრულყოფილი ინფორმირების მიზნით საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახური ყოველკვარტალურად გამოსცემს ჟურნალ „საგადასახადო მაცნეს".

ამ დღეებში გამოვიდა ჟურნალის მორიგი ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები, საქართველოს კანონები და დადგენილებები, საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებები, განმარტებები საგადასახადო საკითხებზე.

მსურველებს ჟურნალის შეძენა შეუძლიათ საგადასახადო სამსახურთან არსებულ სპეციალიზებულ მაღაზიაში „საგადასახადო ლიტერატურა", ყველა რაიონის საგადასახადო ინსპექციებთან მდებარე ჯიხურებში.

საგადასახადო სამსახურის პრესცენტრი.

### თავდასხმა ფოსტის შენობაზე

თბილისი. (იბერია), 3 თებერვალს 18.30 საათზე ავტომატური იარაღით შეიარაღებული ნიღბებიანი ბოროტმოქმედების ჯგუფი შეიჭრა თბილისის მთავარი ტელეგრაფის შენობაში და გაიტაცა 25 ათასი ლარი. დაცვამ არანაირი ზომები არ მიიღო ამის აღსაკვეთად, მიუხედავად იმისა, რომ თავდაც შეიარაღებული იყო. თავდამსხმელებს მათთვის არანაირი ყურადღება არ მიუქცევიათ და არც კი უცდიათ მათი განიარაღება.

შექმნილია საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც ამ საქმეს იძიებს. იბერიის კორესპონდენტს შსს-დან აცნობეს, არ არის გამორიცხული, რომ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას დაცვის თანამშრომლების წინააღმდეგაც.

## შემთხვევები

### მძიმე შედეგებით

23 იანვრიდან 3 თებერვლამდე თბილისში მოხდა 33 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, დაიღუპა 6, დაშავდა 32 ადამიანი.

25 იანვარს, საღამოს, ცოტნე დადიანის ქუჩაზე, დაუდგენელი მარკისა და სახელმწიფო ნომრის ავტომანქანა დაეჯახა დაახლოებით 40 წლის უცნობ მამაკაცს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. 26 იანვარს, საღამოს, ამავე ქუჩაზე „ვაზ 2107" (სახელმწიფო ნომერი ააძ-313), რომელსაც მართავდა 21 წლის მამუკა ხოსრაშვილი, დაეჯახა 50-55 წლის ქალს, რომელიც № 4 საავადმყოფოში მოყვანისას გარდაიცვალა.

26 იანვარს, ღამით, ყაზბეგისა და ქართველიშვილების ქუჩების გადაკვეთაზე „მოსკვიჩი 2141" (სახელმწიფო ნომერი აბმ-370), რომელსაც 22 წლის ვლადიმერ მინაძე მართავდა, შეეჯახა ტროტუარს. მძღოლი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა, მგზავრმა – ერიკ ბაღდასოვმა სხეულის დაზიანება მიიღო.

30 იანვარს, ღამით გელოვანის გამზირზე „ვაზ-2107" (სახ. ნომერი ე-82-89 გზ), რომელსაც მართავდა 39 წლის ვლადიმერ ლომთათიძე, დაეჯახა ფეხით მოსიარულეს, დაახლოებით 55 წლის მამაკაცს, რომელიც რკინიგზის საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა.

ქალაქ თბილისის საგზაო პოლიციის პრესსამსახური.

# ელდარ კურტანიძემ და დავით პოლოსიანმა გვასახელეს



ახალი სპორტული სეზონის პირველ „ა" კატეგორიის საერთაშორისო ტურნირად თავისუფალ ჭიდაობაში 34 წლის განმავლობაში მიჩნეული იყო თბილისის ტრადიციული შეჯიბრება ჩვენი საამაყო ფალაენის, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ვახტანგ ბალავაძის სახელობის პრიზზე, რომელიც იანვრის ბოლოს ტრადიციულად იმართებოდა თბილისის სპორტის სასახლის სამ ხალიჩაზე. ახლა მდგომარეობა, გარკვეული მიზეზების გამო, შეიცვალა და ფილამ ასეთ ტურნირად, რომელსაც სპეციალისტები მსოფლიოს მცირე ჩემპიონატსაც უწოდებენ, ზუსტად იმავე დღეებში კრასნოიარსკში ორი ზაფხულის ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულის ივანე იარიგინის მშობლიურ ქალაქში გადაიტანა. უფრო მეტიც, 1997 წლის ზაფხულში სწორედ კრასნოიარსკი უმასპინძლებს მსოფლიოს წლევანდელ პირად-გუნდურ ჩემპიონატს თავისუფალ ჭიდაობაში.

ცნობილი რუსი მოჭიდავის ივანე იარიგინის (მისი მწვრთნელი დიმიტრი მინდიაშვილი გახლდათ) წლევანდელ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში მსოფლიოს სხვადასხვა უძლიერეს მოჭიდავეებთან ერთად 6 ქართველი ფალავანი გამოდიოდა. 58 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოქროს მედალი მოიპოვა გორელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა დავით პოლოსიანმა (მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნუგზარ სხიერელი) და 1996 წლის ატლანტის ზაფხულის XXVI ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა, სოხუმელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ელდარ კურტანიძემ (97 კილოგრამი), რომელსაც შოთა კიკაბიძე, გია გალდავა და გურამ სადარაძე წვრთნიან. ნიშანდობლივია, რომ უკვე თბილისელმა კურტანიძემ ზედიზედ მეორედ მოიგო ივანე იარიგინის სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი.

პრიზების სახით ჩვენს გამარჯვებულ ფალავნებს 5000-5000 ამერიკული დოლარიც გადაეცათ.

შალვა ბახტაძე.

### ამაგდარი მწვრთნელის ხსოვნის თასზე

საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვლადიმერ მაისურაძემ არაერთი ცნობილი ფალავანი აღუზარდა საქართველოს, რომელთა შორის არიან მსოფლიოს ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, დღეს მილიციის პოლკოვნიკი მიხეილ სალაძე, ცნობილი მძიმეწონოსანი, ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი ავთანდილ მაისურაძე და მრავალი სხვა...

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია ტრადიციულად ატარებს ამაგდარი აღმზრდელის ხსოვნისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ ტურნირს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში და ასე იყო ამჯერადაც – თბილისის გლდანის სპორტული სკოლის დარბაზში. ვლადიმერ მაისურაძის ხსოვნის თასის გათამაშებაში 1982-1983 წლებში დაბადებული ასაკის ჭაბუკი მოჭიდავეები, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონისა და ქალაქის 160 ნორჩი ფალავანი გამოვიდა.

გაგაცნობთ ტრადიციული ტურნირის გამარჯვებულებს: 42 კგ. შმაგი სახლთხუციშვილი (მარტყოფი), 45 კგ. – ომარ ბაკურაძე (ბათუმი), 48 კგ. მიხეილ გოქაძე (ქუთაისი), 52 კგ – სერგი ონიანი (ოზურგეთი), 57 კგ. გიორგი ბერიძე (თბილისის მოზარდთა და ბავშვთა ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლ), 63 კგ. დათო გუგუნიშვილი (მარტყოფი), 69 კგ. მამუკა ხიმშიაშვილი (თბილისის მოზარდთა და ბავშვთა ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლა), 76 კგ. ზვიად იაკობიძე (ბათუმი), 83 კგ. გოჩა მინაძე (თბილისი) 95 კგ. ზურაბ დევდარიანი (რუსთავი).

### მთავარი პრიზი – გაეროს გუნდს

არმიის სპორტული კლუბის ზამთრის დახურულ დარბაზში 12 დღეს გრძელდებოდა დედაქალაქის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ერთობლივად ორგანიზებული ტურნირი მინი-ფეხბურთში სახელწოდებით – „თბილისური ზამთარი-97", რომელშიც თბილისში აკრედიტებული საელჩოებისა და მათთან გათანაბრებული საერთაშორისო ორგანიზაციების გუნდები მონაწილეობდნენ.

დაძაბული და სპორტულად საინტერესო გამოდგა ასპარეზობის ბოლო დღე. მესამე ადგილისათვის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „კურაციო" (სამედიცინო კონცერნი) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის გუნდები. ასპარეზობის ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა – 0 0. დაინიშნა 5-5 პენალტი, ანგარიშით – 4 : 3 „კურაციოს" ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს.

ფინალურ მატჩში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ გაეროსა და საერთაშორისო მაშველთა კორპუსის გუნდები. აქაც მატჩის ძირითადი დრო ფრედ – 0 : 0 დასრულდა. აქაც მსაჯთა კოლეგიამ პენალტების სერიას მიმართა, სადაც უფრო ზუსტნი (5 : 4) გამოდგა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გუნდი, რომელსაც საზეიმო ვითარებაში გადაეცა ორიგინალური გარდამავალი თასი.

„თბილისური ზამთარი-97"-ის საუკეთესო მოთამაშის პრიზი შეჯიბრების ჟიურიმ თურქეთის საელჩოს გუნდის წევრს ბერგინიდ ჯადირს მიაკუთვნა. ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის სპეციალური პრიზი გადაეცა გია ალთუნაშვილს (საერთაშორისო მაშველთა კორპუსი), რომლის პირად ანგარიშზეა 17 გატანილი ბურთი. გაეროს კარის დარაჯმა ირაკლი მარგველაშვილმა მიიღო პრიზი როგორც შეჯიბრების საუკეთესო მეკარემ.

გაზაფხულზე გაიმართება ანალოგიური ტურნირი მინი-ფეხბურთში, სახელწოდებით – „თბილისური გაზაფხული-97".

შალვა ქორიძე.

### ვინ გაიზიარებს ბეკენბაუერის აზრს?

კლუბ „ბაიერნის" (მიუნხენი) პრეზიდენტი, განთქმული „კაიზერ ფრანც" ბეკენბაუერი თვლის, რომ საჭიროა რეფორმების განხორციელება, რათა გერმანული ფეხბურთი უფრო საინტერესო, სანახაობრივი გახდეს.

რა უნდა გაკეთდეს ამისათვის? ბეკენბაუერი თვლის, რომ გუნდებს გატანილი გოლებისათვისაც უნდა დაემატოთ ქულები. ამით წახალისდება შემტევი ფეხბურთი, ზოგი გუნდი აღარ დაამყარებს იმედს აშკარა დაცვით სისტემებზე და წინ წავა. რა თქმა უნდა, ამ ცვლილებებმა შეიძლება ზოგ კლუბს გარიგებებისაკენ უბიძგოს და ასტრონომიული ანგარიშებიც კი აღინიშნოს, ამიტომ ბეკენბაუერს ასეთი ღონისძიება აქვს ჩაფიქრებული: თითოეულ გოლზე გუნდს თითო ქულა ჩაერიცხება, მაგრამ არაუმეტეს სამისა.

რა თქმა უნდა, ბეკენბაუერის წინადადებები აზრთა დიდ სხვადასხვაობას იწვევს. თვით „კაიზერი" კი ამტკიცებს, რომ მსგავსი წესები ამ 20 წლის წინათ მოქმედებდა აშშ-ს საფეხბურთო ლიგაში და სპეციალისტების დადებითი შეფასებაც ჰქონდა.

### დიდი კარლ ლუისი ტოვებს ასპარეზს

კარლ ლუისი ამჟამად მსოფლიოში ყველაზე უფრო განთქმული მძლეოსანია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იგი ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონია, რვაჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, 10 მსოფლიო რეკორდი დაამყარა. თუკი კარლ ლუისს რომელიმე მძლეოსანს ადარებენ, ეს მხოლოდდამხოლოდ ჯესი ოუენსია, ამასთან უპირატესობას მაინც ლუისს ანიჭებენ.

ამიტომ დიდი გამოხმაურება გამოიწვია სახელოვანი სპრინტერის განცხადებამ იმის შესახებ, რომ ზაფხულში იგი აპირებს დაასრულოს თავისი სპორტული კარიერა. კარლ ლუისი 35 წლისაა და თვლის, რომ, თუმცა ჯერ კიდევ ძალა შესწევს, მაინც სჯობს ლამაზად დაასრულოს გამოსვლები. როგორც ლუისმა ჟურნალისტებს უთხრა, მას ხშირად აჩერებენ ქუჩაში, თხოვენ ნუ მოაკლებს გულშემატკივრებს სიამოვნებას, მაგრამ მაინც ფიქრობს, რომ ყველაფერს თავისი დასასრული აქვს.

ის ჟურნალისტები, რომლებიც კარგად იცნობენ კარლ ლუისს, თვლიან, რომ მან მაინც შეიძლება გადათქვას და გააგრძელოს თავისი სპორტული საქმიანობა, მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ თამამად შეუძლია ახალი მიღწევებისათვის ბრძოლა.

გივი გამრეკელი.

---

გაზეთების „საქართველოს რესპუბლიკისა" და „სამშობლო ფორტეს" ჟურნალისტები მწუხარებით იუწყებიან

**ნოდარ კომახიძის**

გარდაცვალებას და უთანაგრძნობენ მის ოჯახს.

---

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს აპარატის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მინისტრს დავით ზუბიტაშვილს მამის

**ვლასი ტყეშელაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

დეპარტამენტ „საქნავთობის" კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დავით ზუბიტაშვილს მამის

**ვლასი არკადის ძე ტყეშელაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

სახელმწიფო ჰოლდინგური კომპანია „საქნავთობპროდუქტის" კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დავით ზუბიტაშვილს მამის

**ვლასი ტყეშელაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო თანაგრძნობას უცხადებს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დავით ზუბიტაშვილს მამის

**ვლასი ტყეშელაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი თანაუგრძნობს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დავით ზუბიტაშვილს მამის

**ვლასი არკადის ძე ტყეშელაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

„თბილტრანსის" კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ბატონ დავით ზუბიტაშვილს

**მამის**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია თანაუგრძნობს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დავით ზუბიტაშვილს მამის

**ვლასი ტყეშელაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

სახელმწიფო კომპანია „ენერგოგენერაცია" თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დავით ზუბიტაშვილს მამის

**ვლასი ტყეშელაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს მრეწველობის დეპარტამენტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება

**ვაჟა ნოეს ძე გაგუას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სამძიმარს უცხადებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს ბატონ იაკობ ფუტკარაძეს

**დედის**

გარდაცვალების გამო.

---

სს თბილაბრეშუმი „ცისარტყელა"-ს მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან გაერთიანების თანამშრომლის იუზა ინასარიძის შვილის

**გია (გიორგი) ინასარიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

დედა მარინა პირველი, შვილი ლიზიკო, ბებიები რონა, ნანული, ბაბუა თენგიზ, ბიძა თენგიზ (ბიჭი) პირველები, ბიძები თემურ, ავთო სტურუები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბაჩო (ალექსი) ტარიელის ძე სტურუა.**

პანაშვიდი 6, 7 II 4 ს. დაკრძალვა 8 II, 2 ს. ბახტრიონის 7 ა, პირველი სადარბაზო, მეორე სართული.

## ხსოვნა

### ვაჟა გაგუა



მოულოდნელად გარდაიცვალა თვალსაჩინო მოღვაწე, ჭეშმარიტი მოქალაქე და მამულიშვილი ვაჟა ნოეს ძე გაგუა.

იგი დაიბადა 1954 წელს. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მუშაობდა რაიონული და საქალაქო პარტიული ორგანოების აპარატში, საქართველოს მრეწველობის სამინისტროში პასუხსაგებ თანამდებობებზე. ბოლო წლებში ვაჟა გაგუა მისთვის ჩვეული ენერგიულობით საქმიანობდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატში სახელმწიფო მრჩევლად აფხაზეთის საკითხებში.

აფხაზეთისა და აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისადმი მისი საჭირისუფლო დამოკიდებულების კიდევ ერთი ნათელი გამოხატულება გახდა ჰუმანიტარულ ინიციატივათა სამეგრელოს რეგიონული ცენტრის შექმნა. ცენტრის ხანმოკლე, მაგრამ უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობით მან შესძლო დახმარებოდა და მხარში ამოდგომოდა ბევრ ჩვენს თანამემამულეს აფხაზეთიდან, გასაჭირში მყოფ მრავალ ადამიანსა და ოჯახს.

წიგნიერი და განათლებული, საქმისადმი ერთგული, მცოდნე, ენერგიული იყო ვაჟა გაგუა. ასეთებზე იტყვიან ხალხში, დასაყრდენი და ნაღდი კაციაო.

დედ-მამის მოსიყვარულე, მოყვასის მომფერებელი, ზნეობრივად ამაღლებული და მტკიცე, ასეთი ემახსოვრება იგი ყველას... ასეთი წავიდა იგი უკვდავებაში.

მეგობრები.

### ავთანდილ ქემოკლიძე



ტრაგიკულმა შემთხვევამ შეიწირა შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლის, შინაგან საქმეთა ორგანოების ღვაწლმოსილი მუშაკის, პოლიციის პოლკოვნიკ ავთანდილ იუსტინეს ძე ქემოკლიძის სიცოცხლე.

რთული და ხიფათიანი გზა განვლო ავთანდილ ქემოკლიძემ რიგითი პოლიციელიდან კახეთის რეგიონული სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსობამდე. ყველგან, სადაც კი მუშაობდა ბატონი ავთანდილი, თავის ძალ-ღონეს და ცოდნას ახმარდა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას.

ტკივილიანი დადიოდა ბატონი ავთანდილი... შეილმკვდარი მამა დარდს მაინც არ ეპუებოდა და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ქვეყნისა და ხალხის სიმშვიდის დარაჯად იდგა.

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი შესანიშნავი ადამიანი, გულანთებული მამულიშვილი, ღირსეული მოქალაქე და კაცური კაცი. პოლიციის პოლკოვნიკ ავთანდილ ქემოკლიძის ნათელი სახელი მარად დარჩება მისი მეგობრების და შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადი შემადგენლობის ხსოვნაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი.

### კოტე ცხადაძე



ქართულმა ფარმაცევტულმა საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ფარმაცევტული დარგის ნიჭიერი ორგანიზატორი, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს დამსახურებული პროვიზორი კონსტანტინე ცხადაძე.

დაიბადა 1933 წელს ქუთაისში, ცნობილი ფსიქიატრისა და საზოგადო მოღვაწის ანდრო ცხადაძის ოჯახში.

1956 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობა როსტოვში, ქალაქის აფთიაქის მმართველის თანამდებობაზე დაიწყო, სადაც თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში მოღვაწეობდა, პარალელურად ბატონი კოტე ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას როსტოვის უნივერსიტეტის ქიმიის კათედრაზე, სადაც აკადემიკოს იური ჟდანოვის ხელმძღვანელობით დაასრულა საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობა და დაიცვა 1976 წელს.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ბატონი კოტე აგრძელებს კვლევით საქმიანობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტში, წლების განმავლობაში იყო მთავარი სააფთიაქო სამმართველოს პასუხისმგებელი მუშაკი. სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში მუშაობდა თბილისის ოცდამეჩვიდმეტე აფთიაქის გამგედ.

მის მიერ შესრულებულია 28 სამეცნიერო შრომა, მიძღვნილი ქიმიისა და ფარმაცევტული მეცნიერების აქტუალური საკითხებისადმი.

წავიდა ჩვენგან ჭეშმარიტი მამულიშვილი, მოქალაქე, პროფესიონალი, რომლის მიერ განვლილი ცხოვრების გზა მისაბაძი მაგალითია ახალგაზრდა კოლეგებისათვის.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში, აფხაზეთის პრობლემის მოგვარებისთვის აქტიური მებრძოლი

**ნოდარ კომახიძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი და თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი-აღმოსავლეთმცოდნე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ნოდარ კომახიძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ „ხიდის" რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გაზეთის ერთ-ერთი დამაარსებელი

**ნოდარ კომახიძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

აბესალომ იმედაშვილი, ვახტანგ გამცემლიძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნოდარ კომახიძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ლეილა გაჩეჩილაძე, ვანო შენგელაია იუწყებიან უახლოესი მეგობრის

**ნოდარ (ვასიკო) კომახიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

მეუღლე ეთერი, შვილები თემური, ქეთინო, ლევანი, რძალი ნანა ვაშაძე, სიძე პეტრე ლომაია, შვილიშვილები ვერიკო კარანაძე, არჩილ, მიხეილ, თამარ ლომაიები, და ეთერი, ძმები როლანდი, რობერტი, კორნელი, სიძე ვალოდია ჭანტურია, დისწულები, ძმისწულები, ცოლის და ლუარა ჭაჭია, ცოლის დისწულები, მძახლები მერი და შოთა ვაშაძეები, ზინა ნაჭყებია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**აბესალომ ლევანის ძე კარანაძე**

პანაშვიდი 7, 8. II დაკრძალვა 9 II, 15 სთ. მისამართი: ქ. ფოთი, წმინდა გიორგის 40.

---

მეუღლე თალიკო, შვილი რამაზი, რძალი ლუიზა, შვილიშვილი ნიკა, დები იამზე, ნაზო ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ენვერ გრიგოლის ძე თორდია**

პანაშვიდი 6, 7 II 4 სთ. გამოსვენება 8. II 5 სთ. ქ. ზუგდიდი, მაჩაბლის ქ. №8.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურაბ გოგიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ჭობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამუქნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ინდექსი 66434

ნომრის მორიგე რედაქტორი ბონდო მძინარაშვილი.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში ხოშარაულის 29.